გამოცემის 75-ე წელიწადი

№077 (12756) 3 აპრილი პარასკევი 2009 ფასი 50 თეთრი




» 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საფეხბურთო ნაკრები არ არსებობს!

## ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის აზრით, ქართულ ფეხბურთში ყველაფერი შესაცვლელია



ინტერვიუ გია ნაცვლიშვილთან » 4



მარსელო ბორდონი (№5) და ლევან კობიაშვილი

## კობიაშვილი ანორთოსისში?

გერმანული მედია ჩვენთვის საინტერესო ცნობას ავრცელებს - ზაფხულში „შალკეს" ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი, სავარაუდოდ, კვიპროსულ „ანორთოსისში" გადავა. სეზონის ბოლოს კლუბს მარსელო ბორდონი და ლევანი ტოვებენ. ლევანის კუნძულზე სავარაუდო გადასვლის პირველწყარო გერმანული საიტი „ტრანსფერმარკეტია". შეგახსენებთ, რომ კობიაშვილს „შალკესთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



# დიეგო ღმერთმა გაწირა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების სრული მიმოხილვა » 7-9



## ერიქსონი მექსიკიდან გააგდეს

ჰონდურასთან ნაგებული შესარჩევი მატჩის შემდეგ (1:3), მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან შვედი სვენ-გორან ერიქსონი დაითხოვეს. მექსიკელებმა ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით ბოლო შვიდ მატჩში მხოლოდ ერთხელ მოიგეს და შესამჩნევად გაიუარესეს მომავალ მუნდიალზე გამგზავრების შანსი. ერიქსონმა შარშან ივნისში, ლეგენდარული უგო სანჩესისგან ჩაიბარა ეს გუნდი.

# ჰემილტონს ქულები ნაართვეს

## ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ტრულის მესამე ადგილი დაუბრუნა

» 16



საქართველო-ჩერნოგორიის შემდეგ

# ჩერნოგორია და ფიქრის გორა

## ანუ რატომ გორავს საქართველოს ნაკრები

თამაშის მეორე დღეს გონება გრილდება, ემოცია არ ქრება, მაგრამ ტვინი ისე მუშაობს, რომ უფრო ობიექტურად უნდა ასახოს მომხდარი. ჟურნალისტის აზრი კი ყოველთვის სუბიექტურია, მაგრამ თუ ის არგუმენტებით არის გამყარებული, მაინც საყურადღებო უნდა იყოს.

საქართველო-ჩერნოგორიის მატჩზე ბევრის თქმა შეიძლება მიუხედავად იმისა, რომ თამაში დიდად შინაარსიანი ვერ გამოვიდა. გადავწყვიტეთ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებისთვის ნიშნები არ დაგვეწერა და ციფრების მაგიერ სიტყვებით შეგვეფასებინა მათი ნაჯაფარი. ვფიქრობთ, ამით სუბიექტურობის ხარისხიც მინიმუმამდე დავიყვანეთ...

### გიორგი ლომაია

ბევრი საქმე არ ჰქონია, ჩერნოგორიელებმა კარში ხეირიანად ერთხელაც ვერ დაარტყეს. მიუხედავად ამისა, ლომაია მაინც მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოდგა - როცა მეკარე არ ცეტობს, დაცვაც მშვიდადაა და მთელი გუნდიც. საქართველოს ნაკრები მიმდინარე შესარჩევში ბოლო ადგილზე რომ არის, ლომაია ამაში, ფაქტობრივად, უბრალოა. რაც შეეხება პასებს, ლომაიას თანაგუნდელებისთვის ბურთის გადაცემა არ დაუგვიანია.

### ლაშა სალუქვაძე

დისკვალიფიცირებულ-ტრავმირებული მცველების არყოფნაში **ექტორ კუპერმა** მას შანსი მისცა. სალუქვაძე ნომინალურად ცენტრალური მცველია, თუმცა არაერთხელ უთამაშია დაცვის მარჯვენა ფლანგზე. რუსეთის ჩემპიონმა საქმეს თავი გაართვა, სხვა საქმეა, რომ ზოგადად, განაპირა მცველს უფრო ეფექტურად მართებს თამაში, ანუ შეტევებში ჩართვა. პირველი ტაიმის ერთ ეპიზოდში სალუქვაძე კარგად გაიჭრა წინ, თუმცა ამას სისტემური ხასიათი არ ჰქონია. სალუქვაძემ დაგვანახვა, რომ საქართველოს ნაკრებში მარჯვენა მცველის პოზიციაზე ადგილი არავის უნდა ჰქონდეს დაჯავშნილი, თუნდაც იმიტომ, რომ მას არავისზე უარესად არ უთამაშია.



გიორგი მერებაშვილი კუპერმა სასტარტოში პირველად ათამაშა

### გურამ კაშია

მისი დამაჯერებელი თამაში სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე კუპერმა დინამოელის თამაში კარგად შეაფასა. დროა, საქართველოს ნაკრების დაცვის ცენტრში მწვავე კონკურენცია შეიქმნას. **კაშიას** შანსი, ფეხი მოიკიდოს ეროვნულ გუნდში, ჩერნოგორიასთან მატჩმა აშკარად გაზარდა. კაშიას ცენტრალური მცველისთვის საჭირო თითქოს ყველა თვისება აქვს, ის **რაინერ ცობელის** „ჯილაც“ იყო და **პეტარ შეგრტისაც** (ახალგაზრდულ ნაკრებში). კაშია სანაკრებო ასპარეზზე კარგად გამოჩნდა. წესითა და რიგით, წონამომატებულ კონკურენტებთან პაექრობა მას ძალიან არ უნდა გაუჭირდეს.

### ალექსანდრე კვახაძე

ნაკრების ძირითადში თავს უცხოდ არ გრძნობს, თუმცა მას და კაშიას უდავოდ წაადგებოდათ უცხოეთში გადასვლა სანაკრებო კარიერისთვის. ჩერნოგორიასთან **კვახაძეს** უხეში შეცდომა არ დაუშვია, საერთო ჯამში ნორმალურად ითამაშა, საჰაერო ორთაბრძოლებშიც არ ყოფილა ჯაბანი.

### დავით კვირკველია

მისგან მეტს ველოდით, რადგან ნაკრებში უკეთაც უთამაშია. **კვირკველიას** შეუძლია, იყოს ეფექტური შეტევაში, ერთი-ორჯერ დრიბლინგიც გვიჩვენა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ჩერნოგორიელთა დასაწიოკებლად. კვირკველიას ბოლო დროს კუპერი არ სწყალობდა, წინა შეხვედრაში (კვიპროსთან) არ ათამაშა და ყოველივე აქედან გამომდინარე, მისგან ბევრად შთამბეჭდავ თამაშს ველოდით. ფლანგებიდან შეტევა უაღრესად მნიშვნელოვანია და კვირკველიას აქვს შანსი, საქართველოს ნაკრებში საკვანძო ფეხბურთელი გახდეს.

### ლევან ხმალაძე

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი საიმედო ცენტრალური ნახევარმცველია, სანიმუშოდ იცავს სათამაშო დისციპლინას, მაგრამ სანაკრებო დონეზე მეტია საჭირო. ფაქტია, **ხმალაძე** კუპერის გემოვნებაში ჯდება, ოლონდაც, საკითხავია, ამით რა ემატება ჩვენს ნაკრებს. ჩერნოგორიელთა შორის საუკეთესო **სტევან იოვეტიჩი** ხშირად მოედნის სიღრმიდან იწყებდა შეტევას და ასეთ დროს, მისი განეიტრალება, მცველთა გარდა, ცენტრალურ ნახევარმცველებსაც მართებდათ. არ გვყავდა ტრავმირებული **ზურაბ მენთეშაშვილი** და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მისი დარი ბურთის ამრთმევი შუახაზელი კუპერის გუნდს ძნელად თუ მოეპოვება. ხმალაძისა კი რა გითხრათ, თუ ლევანი უფრო აქტიურად ათამაშდება, ვინძლო, კუპერის ნაკრებში პოზიციებიც გაიმყაროს.

### ლევან კობიაშვილი

8 ათეული მატჩი მოილია ეროვნულ ნაკრებში და ყველაზე კარგად ის უნდა ამჩნევდეს ჩვენი გუნდის ავან-ჩავანს. კუპერი მას უფრო შემტევ ნახევარმცველად მიიჩნევს, ვიდრე ჩამშლელად. თუ **კობიაშვილის** ფრაიბურგულ მატჩებს გავიხსენებთ, მას შეეძლო გუნდის გაძღოლა შეტევაში, მაგრამ საქართველოს ნაკრებში ეს ყოველთვის არ გამოსდის და ასე მოხდა ჩერნოგორიასთანაც. საკითხავია, რაღა მოტივაცია უნდა ჰქონდეს კობიაშვილს ნაკრებში? მის პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანა არ ეგების, მაგრამ ლევანი ვერ იქნება რობოტი - კარგად ხედავს, რომ ამ გუნდით რაიმე ღირებულის მიღწევა შეუძლებელია და ეს მასზეც მოქმედებს...

### დავით ოდიკაძე

შეუძლია ბურთის ჩაწოდება მეტოქის საჯარიმოში - შეიძლება, კუპერი ამიტომ ენდობა ამ მარჯვენაფლანგელს. **ოდიკაძე** 5-6 წლის წინ გამოჩნდა საქართველოს ჩემპიონატში, როგორც მართლაც საინტერესო ფეხბურთელი, სწრაფი და დრიბლინგის მოყვარული შემტევი, მაგრამ... მას მერე ბევრი რამ მოხდა მის ცხოვრებაში. უნგრეთში წასვლამდე ოდიკაძე ერთ-ერთი საუკეთესო კი იყო თბილისის „დინამოში“, მაგრამ ნაკრებში ამას ჯერაც ვერ ახერხებს. ასე იყო ჩერნოგორიასთან მატჩშიც.

### ალექსანდრე იაშვილი

გარემარბობიდან კუპერმა ის სულაც მარცხენა ნახევარმცველად „გადააკეთა“. ეგებ, ამის ბრალიც იყო, რომ **იაშვილმა** კარგად ვერ ითამაშა. კობიაშვილის არ იყოს, ისიც კარგად ხვდება ყველაფერს. მიუხედავად ყველაფრისა, მისგან მაინც მეტს ველოდით.

### ბექა გოცირიძე

შეიძლება ითქვას, ჩერნოგორიასთან შეხვედრაში ის კუპერის ექსპერიმენტს შეეწირა. **ბექა გოცირიძეს** ცენტრფორვარდად მოუწია თამაშმა, თუმცა სულ იმას ცდილობდა, რაც ყველაზე კარგად იცის - თამაშის გამწვავება მოედნის სიღრმიდან. ვფიქრობთ, მწვრთნელის უშედეგო ექსპერიმენტმა გოცირიძის თამაშს ჩერნოგორიასთან დაღი დაასვა. ის ისე ვერ წრიალებდა მეტოქის საჯარიმოში, როგორც ეს ცენტრალურ თავდამსხმელს მართებდა. ფეხბურთი წინ მიდის, როცა ვუყურებთ კარგი კლუბებისა თუ ნაკრებების თამაშს, ვხედავთ ზონების შევსების ქრესტომათიულ ნიმუშებს და ხშირად ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციიდან გოლი მცველს თუ ნახევარმცველს გააქვს, მაგრამ საქართველოს ნაკრებს ეს ჯერ არ შეუძლია და კუპერი ძალიან ხელოვნურად ცდილობს რაღაცებს...

### გიორგი მერებაშვილი

ის, რაც მას გამოსდის „სიონთან“, „მესხეთთან“ ან თუნდაც „ვიტ ჯორჯიასთან“, არ გამოუვიდა ჩერნოგორიასთან, თუმცა დაგვანახვა, რომ ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია. **მერებაშვილმა** არა ერთხელ აილო თამაში საკუთარ თავზე და ეს დასაფასებელია. კუპერმა ის პირველად ათამაშა სასტარტოში. მისთვის საუკეთესო ნაბიჯი, ალბათ, უცხოეთში წასვლა იქნება - ასე უფრო გამოადგება საკუთარ თავსაც და ნაკრებსაც.

### ირაკლი კლიმიაშვილი

ბოლო დროს ეფექტურად ვერ თამაშობს „ვიტ ჯორჯიაში“, მაგრამ გამომდინარე მისი შესაძლებლობებიდან, კუპერმა ის მაინც აიყვანა ნაკრებში და შეცვლაზე ათამაშა. **კლიმიაშვილი** სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ნაკრებისთვის, თორემ ამ ეტაპზე ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად ვერ წყვეტს.

### დავით სირაძე

უგუნდო და, შესაბამისად, სათამაშო პრაქტიკას მოკლებულ ფეხბურთელს კუპერი ნაკრებში რომ იწვევს, ვერ არის მოსაწონი საქციელი. აქედან არც არაფერი გამოვიდა - კვიპროსსა და ჩერნოგორიასთან **სირაძე** გუნდს ვერაფრით დაეხმარა.

**დავით თავართქილაძე**

---

უცხოელთა თვალში...

# კმარა დაცინვა!

საქართველოში ყველაფერი პოლიტიზებულია და არა მხოლოდ საქართველოში. სიმართლე გითხრათ, შეგნებულად ვცდილობდი, არ დამეწერა იმ პოლემიკის თაობაზე, რომელიც უკრაინულ ინტერნეტგაზეთ „ფუტბოლში“ საქართველოსა და კვიპროსის ეროვნულ ნაკრებთა მატჩის შემდეგ გაჩაღდა. ჯობს, ახლა მაინც დავწეროთ, როგორ უბღალავს ჩვენს ქვეყანას სახელს ფეხბურთელთა თითოეული წაგება, მით უფრო, სისტემატური, უსახელო და სამარცხვინო წაგებათა სერიალი.

*„აყროლებულო ქართველებო! შეეჩვიეთ მუხლებზე დგომას და ასეც მოგიხდებათ. უკვე კვიპროსთანაც აგებთ... ასეთია თქვენი ბედი, ამიერიდან ყველა თქვენ დაგამცირებთ“.*

*„იუშჩენკოს მეგობართა შემადგენლობამ გამახარა. ეს ბანდაა. კუპერი გერმანელ მწვრთნელზე უარესი გამოდგა“.*

*„ასეთ მეტოქესთან წაგება როგორ შეიძლება“?!*

*„ზომბირებულო „დურაკებო“ და მთელ მსოფლიოზე გამწარებულებო, გამოფხიზლდით!“*

*„აფროქართველებო, თქვენი დედაც“...*

*„ასე მოუვათ მათ! ახლა ეცოდინებათ, როგორ უნდა აღმართონ რუსეთზე ხელი (ვინ ვისზე აღმართა?! - რედ). ამიერიდან ქართველებს ყველა დააჩოქებს, რადგანაც ასე სურს რუსეთს - მუხლებზე“!*

*„მადლობა კვიპროსს, ამ უბედურებს რომ მოუგეს“.*

ჩერნოგორიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ საქართველოსთან დაკავშირებული ფორუმი დაიბლოკა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამხელა პოლიტიკურ-საფეხბურთო ანტაგონიზმის მიზეზი გახდა ეს საფეხბურთო სტატია - რა თქმა უნდა, რუსებსა და ქართველებს შორის. უკრაინელთა გამოხმაურებებში, უმთავრესად, გულისტკივილი იგრძნობოდა. არავინ თქვას, რომ ძნელი გასარჩევია, რომელია რუსის აზრი და რომელი უკრაინელის - ყველაფერი ადვილად იკითხება.

სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობაში გვაგდებს საქართველოს ნაკრები, მთელ მსოფლიოში თავს გვჭრის. „ქართული ფეხბურთი“ ყველაზე სამარცხვინო, ლამის კეთროვანის ტოლფასი იარლიყი გახდა. და რაც მთავარია, ეს არის ნაკრები, რომელიც ჩვენს მტერს უზომო „სიამოვნებას“ ანიჭებს. დროა ამ სამარცხვინო ისტორიას წერტილი დაესვას. ფეხბურთში ყველაფერი უნდა შეიცვალოს! თავიდან ბოლომდე! პირველით დაწყებული, დარაჯით დამთავრებული.

კეთილი უნდა ინებოს საფეხბურთო სამყარომ, ფედერაციან-ოპოზიციანად ერთად შეიკრიბოს, დანიშნოს საერთო საფეხბურთო ყრილობა და სახელმწიფოს ჩაურევლად გადაწყვიტოს, რა გზას დაადგეს, ვინ იყოს ამ თემის მმართველი და როგორ ვუწამლოთ ქართულ ფეხბურთს. მარტო კუპერის შეცვლით ჩვენს ფეხბურთს არ ეშველება და ხელის მხოლოდ მასზე შეხოცვაც თავის მოტყუება იქნება. თქვენ, საფეხბურთო სამყარომ და მისმა მმართველებმა, საქართველო შეარცხვინეთ და დროა, ამ უმსგავსობას წერტილი დაესვას!

**მერაბ მამულაშვილი**

---

ზესტაფონი

# მარცხიანი კონტროლი ჩიხურასთან

სანაკრებო მატჩების გამო შეჩერებული ეროვნული ჩემპიონატი ხვალ განახლდება. „ზესტაფონი“ დამდეგ ტურს გამოტოვებს და შესაბამისად, პაუზაც სხვა გუნდებზე მეტი გამოსდის. ფეროელებმა დრო უქმად მაინც არ დაკარგეს და პირველი ლიგის ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან ამხანაგურად ითამაშეს - საჩხერეში „ჩიხურასთან“ 0:1 დამარცხდნენ. გოლი **ლადო კობახიძემ** გაიტანა.

„ზესტაფონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **მეშველიანი, კვესიეშვილი, ს. თოდუა, მაკარიანი, კაჭკაჭიშვილი, გრიგალაშვილი, კუხიანიძე, კაკალაძე, ჭელიძე (63. ჭანკოტაძე), იონანიძე, მელქაძე.**

გასაგები მიზეზის გამო, „ზესტაფონმა“ „ჩიხურას“ ოპტიმალური შემადგენლობა ვერ გაუყვანა - ფეროელთა 8 ფეხბურთელი ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული. ზესტაფონელებისთვის ეროვნული ჩემპიონატი 10 აპრილს ერთობ პრინციპული დაპირისპირებით განახლდება - ისინი თბილისის „დინამოს“ ისტუმრებენ.

**დავით თავართქილაძე**

---

საქართველოს ჩემპიონატი

**მეორე ლიგა**

**დასავლეთი**

**XV ტური**

| | |
|---|---|
| სამტრედია 2-სქური | 2:0 |
| კოლხეთი 2-გურია 2 | 2:0 |
| მერცხალი-ადელი | 1:0 |
| ჭიათურა-ბაია 2 | 0:3 |
| მარტვილი 2-იმერეთი | 1:3 |
| ძ. ტორპედო-ტორპედო 2 | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერცხალი | 15 | 12 | 3 | 0 | 31-9 | 39 |
| 2. ბაია 2 | 15 | 9 | 4 | 2 | 34-14 | 31 |
| 3. კოლხეთი 2 | 15 | 9 | 1 | 5 | 25-15 | 28 |
| 4. მარტვილი 2 | 15 | 8 | 2 | 5 | 23-18 | 26 |
| 5. სამტრედია 2 | 15 | 7 | 2 | 6 | 17-15 | 23 |
| 6. იმერეთი | 14 | 7 | 1 | 6 | 18-17 | 22 |
| 7. გურია 2 | 15 | 6 | 1 | 8 | 24-23 | 19 |
| 8. ტორპედო 2 | 15 | 6 | 1 | 8 | 24-29 | 19 |
| 9. მარგვეთი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-23 | 15 |
| 10. ადელი | 15 | 4 | 3 | 8 | 19-26 | 15 |
| 11. ძ.ტორპედო | 14 | 4 | 2 | 8 | 10-17 | 14 |
| 12. სქური | 15 | 4 | 1 | 10 | 16-29 | 13 |
| 13. ჭიათურა 2 | 15 | 4 | 0 | 11 | 17-37 | 12 |

**აღმოსავლეთი**

**გადადებული მატჩი**

| | |
|---|---|
| კახეთი-ნ/დინამო | 1:0 |

**XXI ტური**

| | |
|---|---|
| ლიახვი-ერთობა | 6:2 |
| გარეჯი-ალაზანი | 2:0 |
| იმედი-ჰერეთი | 0:1 |
| სპარტაკი 2-ბორჯომი 2 | 3:0 |
| ამერი 2-ლოკომოტივი 2 | 1:3 |
| 45-ე სკოლა-ნ/დინამო | 4:2 |
| ალგეთი-ზოოვეტი | 3:1 |
| IBSU-დუშეთი | 3:1 |
| არაგველები-სამგორი | შეწყდა |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი 2 | 22 | 15 | 3 | 4 | 53-25 | 48 |
| 2. ამერი 2 | 22 | 14 | 3 | 5 | 43-16 | 45 |
| 3. სპარტაკი 2 | 22 | 13 | 5 | 4 | 55-24 | 44 |
| 4. დუშეთი | 22 | 13 | 3 | 6 | 42-25 | 42 |
| 5. I.B.S.U. | 22 | 13 | 1 | 8 | 48-35 | 40 |
| 6. 35 ს.ს. | 22 | 12 | 4 | 6 | 45-34 | 40 |
| 7. გარეჯი | 21 | 12 | 3 | 7 | 36-23 | 39 |
| 8. ლიახვი | 22 | 11 | 4 | 7 | 43-33 | 37 |
| 9. ჰერეთი 2 | 22 | 9 | 2 | 11 | 40-35 | 29 |
| 10. იმედი | 22 | 7 | 6 | 9 | 29-35 | 27 |
| 11. სამგორი | 21 | 7 | 6 | 8 | 39-35 | 27 |
| 12. არაგველები | 21 | 7 | 5 | 9 | 25-29 | 26 |
| 13. ალგეთი | 22 | 7 | 4 | 11 | 29-45 | 25 |
| 14. ერთობა | 22 | 7 | 2 | 13 | 27-53 | 23 |
| 15. ბორჯომი 2* | 22 | 7 | 1 | 14 | 23-49 | 22 |
| 16. ალაზანი | 22 | 5 | 3 | 14 | 15-38 | 18 |
| 17. ზოოვეტი | 22 | 4 | 4 | 14 | 24-48 | 16 |
| 18. ნ. დინამო 2 | 22 | 3 | 3 | 16 | 17-51 | 12 |

*ბორჯომი 2 მოხსნილია გათამაშებიდან

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ლევან კობიაშვილი

# ეტყობა, მეტია საჭირო

## ნამდვილად მეცოდება კუპერიც და ჩვენი ნაკრებიც...

კვიპროსთან უფერული თამაშისა და მარცხის შემდეგ ოთხშაბათ საღამოს გულშემატკივრები ჩვენი ნაკრებისგან თავდადებასა და მოგებას ელოდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ - ჩერნოგორიელთა შემდეგ კალენდარში ერთი საშინაო მატჩიღა გვაქვს და ისიც იტალიასთან. აბა, ვისთან უნდა მოგვეპოვებინა პირველი გამარჯვება, თუ არა ბალკანელებთან?! თან ის ტენდენციაც ხომ არის, საქართველო ყველა შესარჩევში ერთ კარგ მატჩსა და მოგებას რომ გვჩუქნის ხოლმე?

მაგრამ აი, მორიგი განბილება - უგოლო ფრე ჩერნოგორიასთან. მხოლოდ 3 ფრე 7 მატჩში - ასეთია ექტორ კუპერისა და საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი მონაგარი. მაინც, რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ჩერნოგორიასთან მატჩიდან, რა იყო ვერმოგების მიზეზი, რა ვითარებაა გუნდში და რას უნდა ველოდეთ მომავალში? ნამატჩევს ეს და სხვა კითხვები ლევან კობიაშვილს დავუსვით...



ლევან კობიაშვილი (№17) ჩერნოგორიასთან მატჩში

**- ლევან, ზოგადად როგორ შეაფასებდით ჩერნოგორიასთან მატჩს?**

- ფაქტია, ამჯერად უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე კვიპროსთან, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოგებისთვის არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. მატჩის დაწყებამდე, როცა მოედანზე გავედით, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდით - მოგება ყოველ მიზეზგარეშე! ვერავინ იტყვის, რომ მონდომება გვაკლდა, მაგრამ... რაკი ვერ მოვიგეთ, ეტყობა, მეტია საჭირო. თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გვაკლდა, მერე საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ... ეს ყველაფერი ერთმანეთზე მიეწყო და საბოლოოდ მივიღეთ ფრე, რომელიც ვერავის დააკმაყოფილებს.

**- კვიპროსთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრები კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. ეთანხმებით თუ არა მედიაში გამოთქმულ მოსაზრებებს?**

- ნაწილობრივ ვეთანხმები. იცით, მე პირადად, კრიტიკის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუმცა აქ ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი - მე და ჩემი თაობის სხვა ფეხბურთელები ამ კრიტიკას უფრო იოლად გადავიტანთ, მაგრამ იმ ახალგაზრდა და გამოუცდელ მოთამაშეებზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, ვინც ეს-ესაა იწყებს ნაკრებში თამაშს? ჩვენთან შედარებით, ასეთ ფეხბურთელს ფაქიზი ფსიქიკა აქვს - როცა მოედანზე რაღაც არ გამოუვა და მეორე დღეს გააკრიტიკებენ, შესაძლოა, ამან მასზე უარყოფითად იმოქმედოს და ძალიანაც რომ მოინდომოს, თამაში არ გამოუვიდეს. კიდევ ერთხელ ვამბობ - ნუ იფიქრებთ, რომ კრიტიკის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ჩვენს ნაკრებს, ალბათ, ერთგვარი ფსიქოლოგიური პრობლემაც აქვს...

**- რას გულისხმობთ?**

- ნაკრების ახალ ფეხბურთელებს, (რა თქმა უნდა, ამას ყველა მათგანზე არ ვამბობ), თავდაჯერება აკლიათ. შესაძლოა, თამაშს ვიგებდეთ და მათ უჭირდეთ იმის დაჯერება, რომ შეგვიძლია იმ მატჩის მოგება. მგონი, გასაგებად ვთქვი, რაც ვიგულისხმე...

**- გასაგებია, მაგრამ ეს თქვენი ზოგადი შთაბეჭდილებაა, თუ არიან კონკრეტული მოთამაშეები, რომელთაც უჭირთ, დაიჯერონ, შეუძლიათ ამა თუ იმ მატჩის მოგება?**

- როგორ გითხრათ... იცით, ზოგჯერ ნამდვილად მრჩება ასეთი შთაბეჭდილება. თუ ჩვენს ნაკრებში მართლაც არიან ასეთი ფეხბურთელები, თავადვე მიხვდებიან ამ ნაკლს და მის გამოსწორებაზე იმუშავებენ.

**- ნაკრებმა ჩერნოგორიასთან უკეთ ითამაშა, ვიდრე კვიპროსთან, მაგრამ წუნი მაინც ძალიან ბევრი გამოჩნდა. უკვე თქვით, მეტი იყო საჭიროო. მაინც რა აკლია ნაკრებს? მარტო გამოუცდელობასა და თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესშია საქმე?**

- ორგანიზებულობა, შეტევებისას მეტი სიმწვავე იყო საჭირო. სამწუხაროდ, საგოლე მომენტების გამოუყენებლობა ისევ რჩება ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ მთავარ ნაკლად. გარდა ამისა, საკუთარი ძალების რწმენასა და თავდაჯერებულობაზე მუშაობაც არ გვაწყენდა.

**- თავდაჯერებულობა და გამოცდილება ნამდვილად აქვს იმ რამდენიმე მოთამაშეს, რომელთაც კუპერი ნაკრებში არ იძახებს და ამის გამო არგენტინელს მკაცრად აკრიტიკებენ. ჩერნოგორიასთან ცქიტიშვილი, ასათიანი, მუჯირი რომ გვყოლოდა, ალბათ, მოგების მეტი შანსი გვექნებოდა. როგორია თქვენი აზრი ამ ფეხბურთელების იგნორირებასთან დაკავშირებით?**

- ნაკრების ერთი რიგითი ფეხბურთელი ვარ და ბუნებრივია, ამ საკითხში მწვრთნელთან კამათს არ ვაპირებ, ეს მისი კომპეტენციაა და მან ყველაზე უკეთ იცის, ვინ როდის უნდა გამოიძახოს, ან საერთოდ, უნდა გამოიძახოს, თუ არა. ისე, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ნამდვილად ვისურვებდი ეროვნულ გუნდში ისეთი ფეხბურთელების მხარდამხარ თამაშს, მუჯირი, ასათიანი და ცქიტიშვილი რომ არიან. თუმცა სხვანაირად არავინ გამიგოს - ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალი თაობის ფეხბურთელების მიმართ რაიმე საწინააღმდეგო მაქვს. პირიქით, თაობათა ცვლა გარდაუვალი პროცესია და ამისთვის მუდამ მზად უნდა იყო. იმ ახალმა ფეხბურთელებმა ხომ სწორედ გამოცდილი თანაგუნდელების გვერდით უნდა აიმაღლონ კლასი...

**- 7 მატჩი და მხოლოდ 3 ქულა გვაქვს და ამის გამო უკვე ითხოვენ კუპერის გაშვებას. თქვენ რა აზრისა ხართ?**

- კუპერი მართლაც თავდაუზოგავად მუშაობს და ვერავინ იტყვის, რომ 3 ქულაზე მეტს არ ვიმსახურებდით. ნამდვილად მეცოდება ისიც და ჩვენი ნაკრებიც. არ შეიძლება, არ დავაფასოთ არგენტინელის მუშაობა. მჯერა, მალე ეს შედეგშიც პოვებს ასახვას. კუპერს შეუძლია, ჩვენს ნაკრებს წარმატება მოუტანოს, მაგრამ უნდა გავიაზროთ, რომ ამისთვის დროა საჭირო.

**- მომდევნო შესარჩევი მატჩი 5 სექტემბერს გვაქვს - იტალიას უნდა ვუმასპინძლოთ. იქამდე ბევრი დროა და როგორ უნდა მოხერხდეს ამ პერიოდის ნაყოფიერად გამოყენება?**

- ვფიქრობ, შესაძლებელია ამ დროის სასარგებლოდ გამოყენება. ჯერ ერთი, კუპერი სამშაბათობით ვარჯიშებს აწყობს და ფეხბურთელებს სხვადასხვა კომპონენტებში ავარჯიშებს. გარდა ამისა, ივნისსა და აგვისტოში ამხანაგური მატჩები გვექნება. ასე რომ, ამ დიდი პაუზის გამოყენებაც შეიძლება. იმედი მაქვს, ასეც იქნება.

**- ჩერნოგორიასთან მატჩში გულშემატკივარი ელოდა, რომ ნაკრები რეაბილიტაციას შეძლებდა. რას ეტყოდით ქომაგებს?**

- ალალად ვამბობ და მერწმუნეთ - ჩვენზე, ფეხბურთელებზე მეტად, მოგება და კარგი თამაში ნამდვილად არავის უნდა. კრიტიკასაც მივიღებთ, მაგრამ გულშემატკივრებისგან მხარდაჭერა რთული პერიოდისას უფრო გვჭირდება. საქართველოს ნაკრებში ახლა არაერთი ახალი ფეხბურთელია. ფაქტობრივად, ეს არის ახალი გუნდის შენების პროცესი, რასაც ასეთი ჩავარდნები ყოველთვის თან ახლავს. ჰოდა, ამიტომაც ვამბობ კიდევ ერთხელ - სწორედ ახლა გვჭირდება ქომაგებისგან გვერდში დგომა. სხვათა შორის, მადლიერი ვარ გულშემატკივრის - კვიპროსული მარცხის შემდეგ მაინც მოვიდნენ სტადიონზე და მხარი დაგვიჭირეს. დამიჯერეთ, სულ სხვაა და ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა მოედანზე მოთამაშე ფეხბურთელს ტრიბუნების გუგუნი და სკანდირება ესმის, მით უმეტეს, ეს ეხება ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ამითიც ხდება მათი წრთობა. ნაკრებში ყოველთვის გულით მოვდივარ, თამაშში მთელ გულსა და სულს ვდებ. როგორ ფიქრობთ, მსიამოვნებს, კლუბში გულმოკლული რომ ვბრუნდები? ასეა ყველა ლეგიონერი. ჩვენ ძალიან გვინდა, გავახაროთ გულშემატკივარი და თავაწეულებმა, ამაყად მივაშუროთ ჩვენ-ჩვენს კლუბებს. იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრები მალე სტაბილურად, წარმატებით იასპარეზებს და ამით ყველა გავიხარებთ.

ექსკლუზივი

ინტერვიუ ანჯელო დი ლივიოსთან

# რას იზამთ, თაობათა ცვლის პროცესი მტკივნეულია

## რა ამბავს ჩაუტანს დი ლივიო ლიპის?



ანჯელო დი ლივიო

საქართველოს ნაკრებს მომდევნო შესარჩევი მატჩი 5 სექტემბერს, „სკუადრა აძურასთან“ საკუთარ მოედანზე უწევს. მარჩელო ლიპიმ თადარიგი აქედანვე დაიჭირა და ჩვენს ეროვნულ გუნდზე დასაკვირვებლად თბილისში თავისი შტაბის ერთ-ერთი წევრი აფრინა - ჩერნოგორიასთან მატჩს VIP-ლოჟიდან იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ყოფილი ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიო ადევნებდა თვალს. ცხადია, ასეთ სტუმარს ინტერვიუს გარეშე ვერ გავუშვებდით და მატჩის შემდეგ შეხვედრაზე ვცადეთ მისი დათანხმება. სამწუხაროდ, დი ლივიომ ცივი უარი მტკიცა - მატჩის შემდეგ არ გამოვაო. რა გაეწყობოდა, იტალიელ მზვერავს მეგობრის დახმარებით თამაშის დაწყებამდე გავესაუბრეთ...

- თბილისში საქართველოს ნაკრებზე დასაკვირვებლად ვარ ჩამოსული. თქვენს გუნდს სექტემბერში ვუმასპინძლეთ და 2:0 მოვუგეთ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იოლი თამაში გვქონდა. იმ შეხვედრაში იყო მომენტები, როცა მეტოქე გამართულად და აზრიანად თამაშობდა. ჰოდა, მარჩელო ლიპის აინტერესებდა, იმის მერე რამდენად შეიცვალა საქართველოს ნაკრები და სწორედ ამ კითხვაზე პასუხი უნდა ჩავუტანო „სკუადრა აძურას“ მწვრთნელს.

**- კვიპროსისა და საქართველოს ნაკრებთა მატჩი თუ ნახეთ?**

- არა, არ მინახავს. როგორც მითხრეს, საქართველოს ნაკრებს ვერ უთამაშია კარგად და ორივე გოლი კონტრშეტევებზე გაუშვია... არ ვიცი, რამდენად ზუსტია ეს ინფორმაცია. ისე, კახა კალაძე რომ გაკლიათ, ნათელია: ეს სერიოზულად აზარალებს თქვენს გუნდს... მოდი, ამაზე მეტს ნუ ვისაუბრებთ. მომიტევეთ, მაგრამ არ მაქვს უფლება, ზოგიერთი ჩემი მოსაზრება საჯაროდ გამოვთქვა. ეს არის ინფორმაცია იტალიის ნაკრების მწვრთნელისთვის...

**- გასაგებია. მაშინ, ასეთი კითხვა - იტალია თითქმის გასულია ჯგუფიდან, ვინ გავა ჯგუფში მეორე ადგილზე?**

- ვერ ვიტყოდი, თითქოს მუნდიალის საგზური უკვე ჯიბეში გვიდევს. საამისოდ, ირლანდიასთან მოგება გვჭირდება (როგორც იცით, იტალია-ირლანდიის შეხვედრა 1:1 დასრულდა - ავტ). თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის ყველაზე რეალური შანსი ჩვენს ნაკრებს აქვს და დარწმუნებული ვარ, ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ. რაც შეეხება იმას, თუ ვინ მოიპოვებს მეორე საგზურს... ძნელია ამაზე ლაპარაკი და მარჩიელობა, ირლანდიასაც კარგი გუნდი ჰყავს და ბულგარეთსაც. საქართველოს, კვიპროსსა და ჩერნოგორიას კი შეუძლიათ, ყველა გუნდს წაართვან თითო ქულა მაინც. ასე რომ, თავად განსაჯეთ, რაოდენ რთული სიტუაციაა და პროგნოზის გაკეთებაც უაზრობაა.

**- საინტერესოა, რა აზრისაა ლიპი საქართველოს ნაკრებზე, ან რას ამბობს ექტორ კუპერზე?**

- უნდა გითხრათ, რომ ლიპი მეტოქის შეფასებისას არასდროს ცდება. ისიც და ფეხბურთის სხვა სპეციალისტებიც თანხმდებიან იმაში, რომ საქართველოს ნაკრებმა კუპერის ხელში პროგრესი განიცადა. მართალია, სტაბილურობა გაკლიათ და ორგანიზებული თამაშიც ხშირად არ გამოგდით, მაგრამ ეს დროის ამბავია. მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ საქართველოსთან თამაშს იოლ გასეირნებად არ მივიჩნევთ და ამიტომაც ვარ ახლა თბილისში...

**- მით უმეტეს, ეს თავადაც გამოგიცდიათ...**

- (იცინის)... კი, 1996 და 1997 წლებში საქართველოსთან ორივე მატჩში ვითამაშე. მახსოვს, პერუჯაში 1:0 მოვიგეთ, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდა, მშვენიერი მომენტები გქონდათ მეორე ტაიმში, თუმცა არც ჩვენ დაგაკელით... უფრო მძიმე მატჩი გვქონდა თბილისში. ის შეხვედრა უგოლოდ დასრულდა და ახლაც კარგად მახსოვს, რომ ამაში ქართველების მეკარეს მიუძღოდა დიდი წვლილი. მის გვარს ვერ ვიხსენებ ახლა...

**- მაშინდელი და დღევანდელი საქართველოს ნაკრები დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან?**

- ნუ ეწყინებათ ახლანდელ მოთამაშეებს, მაგრამ ფაქტია, მაშინ უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები გყავდათ. ახლა კი ვხედავ, რომ ბევრი ახალგაზრდა და გამოუცდელი მოთამაშეა. ეს არის თაობათა ცვლის ჩვეულებრივი, თუმცა მტკივნეული პროცესი და უნდა შევეგუოთ ამას. ეს პროცესი ყველა გუნდს გამოუცდია. 1982 წელს, როცა იტალია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, „აძურაში“ სერიოზული ცვლილებები მოხდა, რის გამოც მომდევნო მუნდიალი ჩავაგდეთ. ახლაც, თუ აკვირდებით, ლიპი ნელ-ნელა ცვლის იმ შემადგენლობას, რომელთან ერთადაც 3 წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო.

**- რა აზრის ხართ კუპერზე?**

- ის მაღალი რანგის მწვრთნელია და ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. კუპერი რომ „ინტერში“ მუშაობდა, იმ დროს მე უკვე „ფიორენტინაში“ ვიყავი და მისი გუნდის წინააღმდეგ თამაში განსაკუთრებულად გვიჭირდა. მართალია, „ინტერი“ ყოველთვის “ინტერია“, მაგრამ კუპერს თავისი ხელწერა აქვს და ეს ეტყობოდა კიდეც მის კრებულს.

**- საქართველოს ახლანდელი ნაკრებიდან ვის იცნობთ?**

- რა თქმა უნდა, კახა კალაძეს...

**- ...ეს გასაგებია, მაგრამ სხვებს?**

- კალაძის გარდა, გამორჩეულები არიან კობიაშვილი, იაშვილი, ხიზანიშვილი... იტალიაში პრესა ძალიან აქებს „პალერმოში“ მოთამაშე ქართველ ფორვარდს... ლევანს, სამწუხაროდ, მისი გვარის წარმოთქმა მიჭირს...

**- მჭედლიძე...**

- დიახ... ჩინებული ფორვარდია და მიმაჩნია, რომ კარგი მომავალი აქვს.

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გია ნაცვლიშვილი
# საქართველოს საფეხბურთო ნაკრები არ არსებობს!

## ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის აზრით, ქართულ ფეხბურთში თავიდან ბოლომდე ყველაფერი შესაცვლელია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი ქართული ფეხბურთის სატკივარზე, მძიმე სიტუაციიდან გამოსავალსა და პრობლემათა გადაჭრის გზებზე გვესაუბრება. „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ყოფილი სახე, კახეთის ასევე ყოფილი გუბერნატორი, ამჟამად კი ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი - მისთვის სპორტული პრობლემატიკა უცხო არ არის...



**- ბატონო გია, ქართული ფეხბურთი უმძიმეს დღეშია. რაც ხდება, იმას მხოლოდ ერთი სახელი შეეფერება - კატასტროფა. რა ვქნათ, როგორ ვუწამლოთ სახეობას, რომელიც საქართველოში ხალხს უკვე შეაზიზღეს?**

- სამწუხაროდ, ასეა. პრობლემა ნამდვილად სერიოზულია. ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ თავიდან ბოლომდე ყველაფერი შესაცვლელია. ექტორ კუპერის მიმართ პრეტენზია არ მაქვს, რადგან პრობლემები გაცილებით ღრმაა. მხოლოდ მწვრთნელის შეცვლა და მასზე ხელის შეწმენდა უაზრობაა. რა ფეხბურთელებიც ჰყავს მწვრთნელს, ნაკრებიც იმ ფეხბურთს თამაშობს. მატჩის დროს, ტრიბუნებზე გამოჩნდა ტრანსპარანტები - „ჩვენ გვჭირდება ასათიანი, ცქიტიშვილი, ამისულაშვილი და გოგუა"! იცით, მე არ მჯერა, რომ ისინი ნაკრებს რადიკალურად გააძლიერებენ, თუმცა საჭირო ფეხბურთელები არიან. შესაძლოა, ცვლილებამ გუნდი ოდნავ უკეთ აათამაშოს, მაგრამ ჩვენ უნდა წავიდეთ რადიკალურ ცვლილებებზე და არა კოსმეტიკურზე. ქართულ ფეხბურთში ერთი-ორი მოთამაშე ვერაფერს შეცვლის, უკვე ვთქვი - პრობლემა გაცილებით ღრმა და მტკივნეულია. პირველ რიგში, რასაც ვამჩნევ, ფეხბურთში, როგორც იტყვიან ხოლმე, არ არის ჯიგარი! მე სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებთანაც მიწევს ურთიერთობა - მოჭიდავეებთან, მორაგბეებთან სხვა სული ტრიალებს, სათამაშოდ თუ საჭიდაოდ ისე გადიან, როგორც ომში. ჩემი აზრით, ფეხბურთში მსგავსი სულისკვეთება არ არის და ამაში ვხედავ მთავარ პრობლემას.

### ფეხბურთში ჯიგარს ვერ ვამჩნევ, სხვა სახეობებში სხვა სული ტრიალებს...

**- მორაგბეები, მოჭიდავეები და ფეხბურთელებიც ქართველები არიან და, თქვენი აზრით, რატომ არის მათ შორის ამხელა განსხვავება?**

- საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს მეტი თვითშეგნება უნდა ჰქონდეთ. ისინი არა საკუთარი სიამოვნებისთვის, არამედ, ქვეყნისთვის თამაშობენ. რა თქმა უნდა, ამას ყველაზე ვერ ვიტყვი, რამდენიმე ფეხბურთელმა იომა, ბოლომდე დაიხარჯა, მაგრამ ამან საერთო სურათი ვერ შეცვალა. საქართველოსთვის ყველამ თავი უნდა დადოს - აი, ეს განცდა არ იგრძნობა! ვუყურებდი ბოლო ორ მატჩს და მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ თამაშობდა გუნდი, რომელსაც მხოლოდ ქულა სჭირდებოდა. მე ფეხბურთის სპეციალისტი არ ვარ და თამაშების დეტალურ განხილვას არ შევუდგები, მაგრამ ფაქტია - საქართველოს საფეხბურთო ნაკრები არ არსებობს! ვთქვათ, წავიდა კუპერი. რა, ახალი მწვრთნელი ქართულ ფეხბურთს უცებ ააყვავებს? ეს კაცი წვალობს, დადის თამაშებზე, ეწევა სელექციას, მაგრამ შედეგი არ არის. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ცხადაძის, ქინქლაძის და ნემსაძე-ქეცბაია-ჯამარაულის თაობა საბჭოური პერიოდის ინერცია იყო. მას შემდეგ კი კარგი თაობები აღარ წამოსულან, რადგან ზოგი საფეხბურთო სკოლა ჩაკვდა, ზოგიც დაიხურა. რუსთავში, ახალგაზრდული ნაკრების თამაშისას, ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ მითხრა, რომ ბოლნისში სერიოზულ საფეხბურთო სკოლა-ინტერნატს ხსნიან. ეს სკოლა 600 ბავშვზეა გათვალისწინებული. რაც შეიძლება მეტი მსგავსი პროექტი უნდა განხორციელდეს. თუ თაობები არ წამოვიდა, წარმატებაზე არც უნდა ვიფიქროთ. თაობებში დიდი წყვეტაა და ფეხბურთს რამენაირად უნდა ვუშველოთ. სამწუხაროდ, ფეხბურთელი რასაც ჰქვია, ჩერნოგორიასთან მატჩში ვერ დავინახე. როდემდე უნდა გერქვას იმედისმომცემი ფეხბურთელი? აღარ უნდა გაიზარდო?! ჩერნოგორიელთა ყველა შეტევაზე გული მისკდებოდა, გოლი არ გაგვიტანონ-მეთქი. ხომ არ შეიძლება, გულშემატკივარს მუდმივად ასეთ ნევროზულ განწყობილებას უქმნიდე?!

**- ასეთ სიტუაციაში რომელი მწვრთნელი იქნება ჩვენთან წარმატებული? ეს ხომ აბსურდია. სახელმწიფომ სპორტულ პრიორიტეტებს უნდა გადახედოს. ინფრასტრუქტურა არ ვითარდება, საფეხბურთო სკოლები უპატრონოდაა მიტოვებული, ეროვნული ჩემპიონატი კვდება, კლუბები უფულობაში ლაფავენ სულს... წარმატებებს მხოლოდ მინიმოედნების მოწყობით მივაღწევთ?**

- სხვათა შორის, ამის შესახებ თემურ ქეცბაიას, კახა ცხადაძეს და სხვა ვეტერანებს ველაპარაკე. ფეხბურთის განვითარების სერიოზული პროგრამა უნდა შევიმუშაოთ. ჩვენი გათვლებით, მისი განხორციელებისთვის, მინიმუმ, 200 მილიონი ლარი იქნება საჭირო.

**- 200 მილიონი ლარი წელიწადში?**

- არა, ლაპარაკია 5-წლიან პროგრამაზე, რომელიც საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი იქნება. რეგიონებში მინიმუმ 5-6 ბაზა მაინც იქნება საჭირო, თავისი სტადიონებითა და სავარჯიშო დარბაზებით. საჭიროა საფეხბურთო სკოლების მიხედვა. ამას მხოლოდ სახელმწიფო ვერ გასწვდება. თუმცა ახლა რომ ვთქვა, საფეხბურთო ნაკრებს თავს ვანებებთ, ბავშვთა ფეხბურთს მივხედავთ და ნაკრებისთვის 20 წლის შემდეგ მოვიცლით-მეთქი, სტადიონზე კაციშვილი აღარ მოვა. თავიდან, გადავწყვიტეთ, რომ ფეხბურთზე ზრუნვა ეროვნული ნაკრებით დაგვეწყო, რადგან წარმატების შემთხვევაში, ეს ბავშვთა ფეხბურთის ბუმს გამოიწვევდა. საერთოდ კი, ჩემი აზრით, მოძრაობა ზემოდან ქვემოთ უნდა დაიწყოს. ნაწილობრივ, ასეც მოხდა - არჩილ არველაძემ 35-ე სკოლა მოაწესრიგა, ფეხზე დადგა „საბურთალო", მშვენიერი ცენტრი ჩამოყალიბდა „ოლიმპში", ახლა კი კომპანია „ვისოლმა" „ავაზა" ისე გაარემონტა, ნებისმიერ სკოლაში ნატრობენ მსგავს მოედნებსა და გასახდელებს. მართალია, ბევრი უკმაყოფილოა, „ავაზას" ტერიტორია რატომ გაყიდესო, მაგრამ საქმე გაკეთდა, ხომ არ გაფუჭებულა? ახლა ფანტასტიკურ ველოტრეკს, რაგბის მოედანსა და სპორტულ დარბაზებს აკეთებენ. მოკლედ რომ გითხრათ, ვფიქრობ, ფეხბურთი კერძო სექტორიდანაც უნდა განვითარდეს, ამ საქმეს მარტო სახელმწიფო ვერ გასწვდება. სამწუხაროდ, ისეთი ძლიერი ეკონომიკა და ბიუჯეტი არ გვაქვს, წელიწადში 40 მილიონი ლარი ფეხბურთს რომ მივცეთ. გაჭირვებულ ხალხს როგორ აუხსნი ამას? შეიძლება, რომელიმე პენსიონერი ფეხბურთის ფანია და გაუხარდეს კიდეც, მაგრამ უმრავლესობა ამას ვერ გაიგებს და არც მიიღებს. მას საკუთარი პენსიის დროულად მიღება და გაზრდა უფრო აწუხებს და ვერც გაამტყუნებ.

**- ეს გასაგებია, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს ფეხბურთის რაობა არ ესმის. ფეხბურთს კი არ სჭირდება დახმარება, სახელმწიფოს სჭირდება ფეხბურთის სახით ახალი ეკონომიკური დარგის შექმნა და განვითარება. დღეს ასეთად მთელ მსოფლიოში საფეხბურთო ინდუსტრია იქცა. მაგალითად, 2008 წელს მარტო საფეხბურთო მეურნეობიდან წამოსული გადასახადებით ესპანეთის სახელმწიფო ბიუჯეტი 8 მილიარდი (?!) ევროთი შეივსო...**

- მესმის, მაგრამ საფეხბურთო მენეჯმენტის შექმნაც საჭიროა. ამის თვალსაჩინო მაგალითია „ვიტ ჯორჯია", რომლის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ საქართველოში პირველმა მოახერხა მომგებიანი საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბება. შესაძლოა, მისი კლუბი ძალიან მომგებიანიც არ არის, მაგრამ ასე თუ ისე, ბიზნესი აწყობილი აქვს. არადა, ყველა ამბობს, რომ საქართველოში ფეხბურთი წამგებიანია. მაშინ, როგორ მუშაობს რუხაძე? დროა, მენეჯმენტის კარგად მცოდნე ხალხი ფეხბურთშიც ჩაერთოს და საქმე ამგვარადაც უფრო სწრაფად გამოსწორდება. შესაძლოა, სახელმწიფო კლუბებს რაღაცაში დაეხმაროს, მაგრამ მენეჯმენტს ნამდვილად ვერ აუწყობს. კახეთის გუბერნატორი რომ ვიყავი, რეგიონის ნაკრების შექმნა დავიწყე. პირდაპირ გეუბნებით - ყველა რაიონს თითო გუნდის ჩამოყალიბება და მისი შენახვა-დაფინანსება დავავალე. წესით, ეს ბავშვებისთვის სტიმული უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ რეგიონის ნაკრებში მოხვდებოდა, მერე კი უმაღლესი ლიგის გუნდში, რეგიონშიც ფეხბურთი ნელ-ნელა განვითარდებოდა... თუმცა საფეხბურთო მეურნეობას მხოლოდ სახელმწიფო ვერააწყობს. ამას სპეციალისტები და მათი აღზრდა სჭირდება. გინება ადვილია, შენებაა ძნელი. ამაზე ქეცბაიასთან ვლაპარაკობდით მე, შელია და სხვები. თურქეთის მაგალითსაც ახსენებენ ხშირად, მაგრამ მათი და ჩვენი ეკონომიკის შედარება შეიძლება?

- იმავე კითხვას ვუბრუნდები. თურქეთის ეკონომიკის ზრდას სტიმულირების კანონმაც შეუწყო ხელი. მიწისა და წყლის გადასახადის შემცირებით, თურქეთის მთავრობა სასტუმროებს კი არ აძლევდა შეღავათს, არამედ, სასტუმროთა ქსელის მშენებლობას, ტურიზმისა და სპორტული ინდუსტრიის განვითარებას ერთდროულად აძლევდა სტიმულს. სწორედ დაბალი გადასახადები გახდა „რეიგანომიკისა" და დუბაის ეკონომიკური სასწაულის წინა პირობა...

### ვიტ ჯორჯიას პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ საქართველოში მომგებიანი საფეხბურთო კლუბის ჩამოყალიბება მოახერხა. არადა, ყველა ამბობს, რომ ფეხბურთი საქართველოში წამგებიანია. ანუ, კარგი მენეჯმენტით შესაძლებელია საქმის აწყობა...

- მე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვარ, და არა „ნაციონალური მოძრაობის" უფლებამოსილი პირი, ან სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი. ამ პოსტიდან კანონების შეცვლას ვერ მოვახერხებ. მხოლოდ ის შემიძლია, რომ ოლიმპიური საფეხბურთო ნაკრების წარმატებას შევუწყო ხელი. მართალია, ბელარუსთან თამაში არ მომეწონა, მაგრამ კახა ცხადაძეს საქმის საკეთებლად დრო უნდა მივცეთ. პირადად მე ცხადაძის მჯერა. კახას სიამოვნებით დავუფინანსებდით რომელიმე კლუბში სტაჟირებას, ან კურსების გავლას. ახალგაზრდული ნაკრების დახმარება იქნება თბილისის საერთაშორისო ოთხთა ტურნირიც, რომლის ჩატარებაც სექტემბერ-ოქტომბერში გვსურს. მალე შვეიცარიაში გამგზავრებას ვაპირებ, სადაც ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს უნდა შევხვდე და ამ საკითხებზე დაველაპარაკო.

**- დეტალებს ვერ დააზუსტებთ?**

- თავიდან ვფიქრობდით თურქეთის ახალგაზრდული ნაკრებების მოწვევას, მაგრამ ერთ შესარჩევ ჯგუფში მოვხვდით და მათი ჩამოსვლა გამოირიცხა. გვსურს ინგლისის ნაკრების ჩამოყვანა და ვნახოთ, რა გამოვა. ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები შესარჩევ ციკლს არ ატარებს და საკონტროლო მატჩებს ინტენსიურად მართავს. ამას გარდა, ლაპარაკია უკრაინის, ბულგარეთის, რუმინეთისა და შავი ზღვის აუზის რომელიმე ქვეყნის ნაკრების მოწვევაზეც. ჩვეულებრივ, როგორც არის მიღებული, ეს ტურნირიც ორდღიანი უნდა იყოს და ვფიქრობ, გულშემატკივრისთვის ეს პატარა საჩუქარი იქნება. მოკლედ, ოლიმპიური კომიტეტის რესურსებით ფეხბურთს ყველანაირად დავეხმარებით, მაგრამ ჩვენი პროგრამა შედეგზეა აწყობილი და ბუნებრივია, ის ვერ გახდება პრიორიტეტული. მისახედია სხვა სახეობებიც, რომელთა შენახვაც უფრო იაფია, წარმატების მიღწევა კი ფეხბურთზე გაცილებით იოლი და ბუნებრივია, მათ უფრო პერსპექტიულად მივიჩნევთ. ფეხბურთს კი, ასე ვთქვათ, წერტილოვან დახმარებას აღმოვუჩენთ - ვთქვათ, ცხადაძეს სასწავლებლად გავუშვებთ, ტურნირს ჩავატარებთ და ასე შემდეგ... სხვათა შორის, წელს, ოლიმპიური კომიტეტის 20 წლის იუბილეზე, ჩვენი ვიცე-პრეზიდენტის რამაზ გოგლიძის დახმარებით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგის ჩამოყვანა გვსურს. არის იდეა, რომ მან ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო სესია გახსნას. ამჟამად, ჟაკ როგი წინასაარჩევნო კამპანიას ატარებს და თავადაც დაინტერესებულია, მის თბილისურ ვიზიტს ლამაზი ელფერი რომ მიეცეს. როგი თბილისში 1985 წელს იმყოფებოდა. მაშინ, რამაზ გოგლიძემ ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრების თბილისში დანიშვნას მიაღწია. ახლახან, შვეიცარიაში ბატონ რამაზთან ერთად შევხვდი ბატონ როგს. თბილისური ატმოსფერო მან თავად გაიხსენა. ოთხთა ტურნირის ჩატარებაც ოლიმპიური სესიის დღეებში, მისი მონაწილეობით გვსურს, რათა თავად როგმა იამაყოს და ჩვენც თავაწეულნი ვიყოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელი

# გამოცვანა... ცობელი!

## დინამოს ფენომენი

საქართველოს ნაკრების მატჩები რომ არ ყოფილიყო, თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის განთავისუფლების საკითხი ბევრად უფრო რეზონანსული იქნებოდა. ჰო, ძალიან, ბევრჯერ ნათქვამი უნდა გავიმეოროთ: თითოეული ქართველისათვის „დინამო" მაინც რჩება ჩვეულებრივ გუნდზე მეტად. წინა კვირაში, როცა „დინამოს" სამწვრთნელო... კარუსელზე ვსაუბრობდით, ისიც ავღნიშნეთ, რომ ეს გუნდი განსაკუთრებული ფენომენია და დამოკიდებულებაც განსაკუთრებული გვაქვს-თქო. ამიტომაც ვერ დავარქმევთ ჩვეულებრივ სამწვრთნელო გადაადგილებას გერმანელი სპეციალისტის **რაინერ ცობელის** მოხსნას და მის ნაცვლად **კახა კაჭარავას** დანიშვნას. თანაც, იმის მიუხედავადაც, რომ უკვე მიჩვეულები ვართ, „დინამოში" ერთი სეზონის განმავლობაში მთავარი მწვრთნელი ორჯერ ან სამჯერ უნდა შეიცვალოს. ეგ კი არა, უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში მხოლოდ ორი შემთხვევა იყო, როცა მწვრთნელმა სეზონი „მშვიდად" ჩაამთავრა: ჯერ **ივო შუშაკმა**, მერე კი - **დუშან უჰრინმა**. სხვათა შორის, ორივემ წარმატებას მიაღწია - „დინამო" ორჯერვე საქართველოს ჩემპიონი გახდა. ამასთან, ამ ორივე უცხოელ და გამოცდილ სპეციალისტს წარმატების მისაღწევად გარკვეული დროც დასჭირდა - ანუ შუშაკმაც და უჰრინმაც „დინამოში" მუშაობის მხოლოდ მეორე წელიწადს შეძლეს უმთავრესი ამოცანის შესრულება. ახლა, ალბათ, შორს წაგვიყვანს იმაზე საუბარი, თუ რა პერიოდი სჭირდება ჩვენთან ჩამოსულ ნებისმიერ უცხოელ მწვრთნელს: სხვა - გარემო, სხვა - ხასიათები, სხვა - მენტალიტეტი, სხვა - საფეხბურთო ინფრასტრუქტურა და ასე შემდეგ. თუმცა საერთო მაინც ყველას ჰქონდა; უფრო ზუსტად, ერთნაირი იყო მათ წინაშე დასახული მიზნები: „დინამოს" საშინაო ასპარეზზე ყველაფერი უნდა მოეგო (ჩემპიონატი, თასი, სუპერთასი) და საერთაშორისოზეც შესაძლებლობების მაქსიმუმი ეჩვენებინა. მაქსიმუმში, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა იგულისხმებოდა, მაგრამ დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, ამას არც უცხოელ მწვრთნელებს მოთხოვდნენ და არც - ქართველებს. თუმცა, იმავე ჩემპიონთა თასზე ორი ეტაპის გავლა რომ დიდი ხანია სანატრელი გვაქვს, ესეც - ფაქტია.

...2008 წლის გაზაფხულზე „დინამომ" ორწლიანი პაუზის მერე საქართველოს ჩემპიონობა დაიბრუნა. ისიც სიმბოლური იყო, რომ ამ წარმატებას გუნდმა საკმაოდ ტიტულოვანი ჩეხი მწვრთნელის დუშან უჰრინის ხელმძღვანელობით მიაღწია. უჰრინი შთამბეჭდავ სამწვრთნელო კარიერას ასრულებდა და სამშობლოში გამგზავრებამდე ვრცელი ინტერვიუ რომ მოგვცა, გვითხრა კიდეც: ძალიან მინდოდა ჩემი ბოლო სეზონი გამარჯვებით დამესრულებინა; ეს არ იყო იოლად მისაღწევი წარმატება. თანაც, პირადად ჩემთვის საქართველოს ჩემპიონობა არანაკლებ ფასეულია, ვიდრე ძველი ტიტულებიო...

მოკლედ, XIX ჩემპიონატის დასრულების მერე მშვიდი და გაწონასწორებული ხასიათების მქონე ჩეხი მწვრთნელი ჩვენც და აქტიურ სამწვრთნელო კარიერასაც დაემშვიდობა და ყველა იმას მოლოდინში ვიყავით, თუ ვინ იქნებოდა „დინამოს" მომავალი თავკაცი..

## პირველი შთაბეჭდილება

2008 წლის 10 ივნისი, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, „დიას" საზეიმო დაჯილდოება - სწორედ იმ საღამოს შევიტყვეთ, რომ თბილისის „დინამოს" ახალი მწვრთნელი უნდა ჰყოლოდა. ჯერ, ასე ვთქვათ, გაცნობითი ხასიათის ჩამოსვლა იყო, მერე კი ყველაფერი იურიდიულად გაფორმდა და ეროვნულ ჩემპიონატებში „დინამოს" რიგით ოცდამეერთე მწვრთნელიც გავიცანით - რაინერ ცობელი! აქტიური საფეხბურთო კარიერა ცობელს ისეთი ჰქონდა,



კაცი უკეთეს რომ ვერ ინატრებდა - იგი ხომ 70-იანი წლების მიუნხენის „ბაიერნის" შემადგენლობაში თამაშობდა. გერმანული გრანდი კი ამ პერიოდში სამშობლოს გარდა ევროპაშიც დომინირებდა და ცობელმაც გენიალურ თანაგუნდელებთან (**ფრანც ბეკენბაუერი, გერდ მიულერი, პაულ ბრაიტნერი, ული ჰიონესი, ზეპ მაიერი**) ერთად ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი. მძიმე ტრავმის გამო კარიერა ნაადრევად დაასრულა და მერე უკვე განათლებას დაუთმო დიდი დრო - იურისტის დიპლომიც აიღო! თუმცა ჯერ მშობლიური კუთხის ერთ-ერთი სამოყვარულო გუნდის გაწვრთნა შესთავაზეს და უარი ვერ თქვა; მერე იმ პროვინციული გუნდთან ლოკალურ წარმატებას რომ მიაღწია, უფრო მაღალი ლიგიდან შეეხმიანენ და ასე დაიწყო კიდეც ცობელი-მწვრთნელის ახალი ასპარეზი. სამშობლოში განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია („ნიურნბერგსა" და „კაიზერსლაუტერნს" იმ დროს სერიოზული მიზნები არ ჰქონიათ); მერე კი, ისე მოხდა, რომ მწვრთნელობა უცხოეთში გააგრძელა და თითქმის ყველა არაბულ ქვეყანაშიც არცთუ წარუმატებლად იმუშავა. აქვე, ბარემ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ცობელის „დინამოში" დანიშვნას ქართული მედია არაერთგვაროვნად შეხვდა: ერთი მხრივ, გერმანელ მწვრთნელს უცხოეთში მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა; თუმცა, იმავე შუშაკისა თუ უჰრინისგან განსხვავებით, საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე მნიშვნელოვანი წარმატებებით ვერ დაიკვეხნიდა.

...ცობელს პირველი „გამოცდა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ელოდა. რა თქმა უნდა, „დინამოს" ხელმძღვანელობა ახალ მწვრთნელს ჯგუფურ ეტაპზე გასვლას არ სთხოვდა, თუმცა, ალბათ, შერცხვენასაც არ აპატიებდა. ჰო, რასაც, „სირცხვილი და თავის მოჭრა" ჰქვია, მსგავსი რამ არ მომხდარა; პირიქით - იმავე „პანათინაიკოსთან" ჩვენმა ჩემპიონმა ღირსეულად ითამაშა (განსაკუთრებით - საპასუხო შეხვედრაში). თუმცა, მანამდე, ცოტა არ იყოს, შემაშფოთებელი სიგნალიც იყო ფარერების ჩემპიონთან საპასუხო მატჩში დამარცხება...

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ცობელის ხელმძღვანელობით „დინამოს" ევროტურნირებზე ასპარეზობა „ჩვეულებრივად" შეფასდა; სულ მალე კი გერმანელ მწვრთნელს საქართველოს ჩემპიონატში დებიუტიც ელოდა. აი, ამ შემთხვევაში კი, ალბათ, ცობელის წინაშე მხოლოდ ერთადერთი ამოცანა იყო - ტიტულის შენარჩუნება!

## კოშმარული სტარტი

საქართველოს ჩემპიონატში ცობელს მეტად წარუმატებელი დებიუტი ელოდა - მოქმედი ჩემპიონი პირველსავე მატჩში დებიუტანტ „გაგრასთან" დამარცხდა. ბევრმა ეს ფაქტი შემთხვევითობას მიაწერა, მაგრამ როცა მომდევნო ოთხ შეხვედრაში „დინამომ" კიდევ ორი შეხვედრა წააგო, აი, მაშინ იყო, ცობელის სამწვრთნელო კვალიფიკაცია ეჭვქვეშ რომ დადგა. რა თქმა უნდა, ჯერ ჩემპიონატის სტარტი იყო და სატურნირო მნიშვნელობით ყოველივე ეს კატასტროფად არ ჩაითვლებოდა; თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი არასახარბიელო სტარტი (ხუთ მატჩში სამი წაგება) საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში „დინამოს" არასდროს ჰქონია!..

...მერე, კერძოდ კი, ამა წლის იანვარში ცობელს იმ კოშმარული ხუთი ტურის გახსენება რომ ვთხოვეთ, წარუმატებლობის მიზეზი ასე აგვიხსნა: გუნდში ახალი მწვრთნელის და შესაბამისად, ახალი მეთოდებისა და იდეების ათვისებას გარკვეული დრო სჭირდებაო. მეც დრო მჭირდებოდა - კონკრეტული მოთამაშეებისათვის ნდობა რომ გამოეცხადებინა და თვითონ ფეხბურთელებსაცო; ავსტრალიელ **ნედ ზელიჩის** წასვლამაც ნეგატიური როლი შეასრულა და საერთოდაც, იმასაც ვგრძნობდი, რომ კლუბშიც და გუნდშიც გარკვეული დაძაბულობა იგრძნობოდაო...

დაძაბულობა თუ გაურკვევლობა როგორ არ იქნებოდა - ასეთ წარუმატებელ და არასტაბილურ ასპარეზობას ბევრგან არც მოუთმენდნენ; თუმცა ცობელი იხტიბარს არ იტეხდა - სწორი გზით მივდივართ და შედეგიც მალე მოვაო...

## ერთადერთი გამონათება

მართალი აღმოჩნდა ცობელი - ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დეკემბრის დასაწყისამდე „დინამოს" აღმავლობის პერიოდი დაეწყო. გუნდმა, ამ ხნის განმავლობაში, მართლაც ჩინებული შედეგი აჩვენა - ცხრა მატჩი მოიგო და ორი ფრედ დაასრულა. თუმცა ამ წაუგებელი სერიის ფონზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო თამაშის ხარისხის გაუმჯობესება - ამის არდანახვა კი, მართლაც, ძალიან ძნელი იყო. ნებისმიერი გუნდის კლასი შესაფერის მეტოქესთან დაპირისპირებისას გამოჩნდება ხოლმე და „დინამომაც" პრინციპულ მოწინააღმდეგეებთან („ვიტ ჯორჯია", „ზესტაფონი", „სიონი", „ლოკომოტივი") შეხვედრებში ეს არაერთხელ დაამტკიცა. ზოგ შემთხვევაში სასურველი შედეგი ცობელის იღბლიან შეცვლებს მოჰყოლია, ზოგჯერ - ვარჯიშებზე კარგად დამუშავებული სტანდარტული მდგომარეობის შესრულებას („ზესტაფონთან" განმეორებითი სათასო მატჩი და იმავე გუნდთან სუპერთასის შეხვედრა გავიხსენოთ). ამას გარდა, ნებსით თუ უნებლიეთ, ცობელს ძირითად შემადგენლობაში ხშირი როტაციის მოხდენაც უწევდა და ამ შემთხვევაშიც თითქმის ყველა საკადრო გადაწყვეტილებამ გაამართლა: **ნიკა ფირცხალავა** მარჯვენა მცველად გაამწესა, **გიორგი ნერგაძეს**, სულ ცოტა, სამჯერ შეუცვალა ამპლუა, ხოლო **ლევან ხმალაძე** მარცხენა მცველად გადაიყვანა. ხშირად იცვლებოდა „დინამოს" ტაქტიკური განლაგებაც: გუნდში მოსვლის პირველ დღეებში ცობელი თუ 4-2-3-1-ს ანიჭებდა უპირატესობას, მერე უფრო აშკარად შეტევაზე ორიენტირებულით შეცვალა და ხან „კლასიკური" (4-4-2) სქემით ასპარეზობდა, ხანაც არანაკლებ ეფექტიანი (4-3-2-1) მოდელით. განსაკუთრებულ ყურადღებას ფლანგებს ანიჭებდა - ამ ამპლუის ფეხბურთელებისგან მაქსიმალურ აქტიურობას ითხოვდა; მით უმეტეს, როგორც თვითონ ამბობდა, ამით „დინამოს" ორ მთავარ „დამაგვირგვინებელს" (**გიორგი მერებაშვილი, მათე ვაწაძე**) უფრო მეტი თავისუფალი სივრცე შეექმნებოდა. მოკლედ, ყველა ხმამაღლა აღნიშნავდა, რომ „დინამომ" სასტარტო კრიზისი დასძლია; გუნდმა ჩემპიონატშიც მკვეთრად გამოასწორა საქმე და ერთპიროვნულ ლიდერს „ვიტ ჯორჯიას" კვალში ჩაუდგა, თასის მეოთხედფინალშიც (ყველაზე ძნელი მეტოქე რომ შეხვდა) იყოჩაღა და „ზესტაფონი" ჩამოიცილა; დაბოლოს - ცობელის პირველი აქაური ტიტულიც ვიხილეთ: საქართველოს სუპერთასი!

## უპასუხო კითხვები

„დინამოს" წარმატებული სერია 13 დეკემბერს რუსთავში შეწყდა - ასევე ტემპაკრეფილმა „ოლიმპმა" პირწმინდად დაჩაგრა ცობელის გუნდი; რა თქმა უნდა, მოქმედი ჩემპიონისთვის უდიდესი დანაკლისი იყო მათე ვაწაძისა და გიორგი მერებაშვილის არყოფნა; თუმცა იმ შეხვედრამ თვალნათლივ სხვა რამ უფრო დაგვანახა - „დინამოს" ერთობ მოკლე სათადარიგოთა სკამი...

ამ პრობლემის მოგვარებას ცობელი, ალბათ, ზამთრის პაუზის დროს შეეცდებოდა. გერმანელი მწვრთნელი იმას ნამდვილად ვერ იტყოდა, რომ გუნდმა ნაყოფიერი შეკრება ვერ გაიარა. ვერც ახალწვეულების (**კოშკაძე, ლომია, ჩარასი, ტომიჩი**) ნაკლებობით დაიჩივლებდა, თუმცა ზუსტ პასუხს ვერავინ გვეტყვის - ახალი ფეხბურთელები მწვრთნელის დაჟინებული სურვილით შეიძინეს თუ, უხეშად რომ ვთქვათ, მოუყვანეს?.

...მეორე ეტაპი „დინამოს" ცუდად ნამდვილად არ დაუწყია: არცთუ სუსტ „სიონს" დიდი ანგარიშით მოუგო, მერე [illegible] „ვიტ ჯორჯიაში" სტუმრად ფრედ ითამაშა. აი, ამის მერე კი მოქმედ ჩემპიონს ისეთი „ტკბილი" გრაფიკი ელოდა, რომ აპრილის დასაწყისში ჩასატარებელ ორ ურთულეს მატჩამდე („ოლიმპი", „ზესტაფონი") თავისუფლად შეეძლო ხუთ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი აეღო. ამ ხუთიდან პირველ სამში „დინამომ" გაიმარჯვა, მაგრამ თუ დაუძლურებულ „ბორჯომთან", მართლაც, „გასეირნებას" არ ჩავთვლით, „მგლებთან" და „გაგრასთან" ცობელის გუნდს გაუჭირდა და გაუმართლა კიდეც. ჰო, „დინამომ" ორივე მატჩი მინიმალური სხვაობით მოიგო, მაგრამ თამაშის ხარისხი აშკარად უკეთესის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამასობაში კი 15 მარტიც მოვიდა: წინადღეს „ვიტ ჯორჯიამ" „გაგრას" დამარცხება ვერ შეძლო და „დინამოსაც" ჩინებული შანსი მიეცა, ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო (თანაც - პირველად მთელი სეზონის განმავლობაში); ამისათვის კი აუცილებელი იყო ერთ-ერთი აუტსაიდერი „სპარტაკის" დამარცხება! სამწუხაროდ, „დინამომ" ეს შანსი ხელიდან გაუშვა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა საკმაოდ ორგანიზებულად მოასპარეზე მეტოქესთან. ეგ კი არა, მატჩის მერე ცობელმა, ცოტა არ იყოს, უცნაური განცხადებაც გაკეთა - რიცხობრივ უმცირესობაში ვიყავით და აქედან გამომდინარე, შედეგით კმაყოფილი ვარო! გერმანელ მწვრთნელს არც გარეშე ფაქტორები დავიწყნია: მისი აზრით, არბიტრი ხშირად ცდებოდა და **კრშკოც** უსაფუძვლოდ გააძევა. ერთი კვირის მერე კი „დინამომ" ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა - ამჯერად თანაქალაქელ „ლოკომოტივთან"; სხვათა შორის, უკვე იმ მატჩის მსვლელობის დროს გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ცობელს „დინამოში" დიდი ხანი აღარ გააჩერებდნენ. და ასეც მოხდა: ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა თუ გამოსამშვიდობებელ-თავის გასამართლებელი პრესკონფერენციის გარეშე... ცობელს კარისკენ მიუთითეს. „დინამოს" ვებგვერდზე ნათლად კი არის განმარტებული, რომ გერმანელ მწვრთნელთან ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდა; თუმცა რეალურად ალბათ ნდობის ფაქტორი ამოიწურა და „დინამოს" ხელმძღვანელობამაც სეზონის ძალზე გადამწყვეტ ეტაპზე ერთობ პრინციპული და, ამასთან, სარისკო გადაწყვეტილებაც მიიღო.

საერთო ჯამში ცობელმა „დინამოს" დაახლოებით 30-მდე ოფიციალურ შეხვედრაში უხელმძღვანელა; ჩემპიონთა ლიგაზე სენსაცია ნამდვილად ვერ მოახდინა (არც ველოდით), აქაურ პირველობაზე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შთამბეჭდავ მატჩებს არანაკლები ჩავარდნაც მოჰყვებოდა ხოლმე; ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ „დინამოს" უნიათო და უფერული მატჩები... სუსტ მეტოქეებთან („ოლიმპის" გარდა) უფრო ჰქონდა, ვიდრე - ძლიერებთან. ამას გარდა, ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაც დაგვიტოვა სამშობლოში ვადაზე ადრე გამგზავრებულმა გერმანელმა მწვრთნელმა. არადა, ჩვენც და „დინამოს" ქომაგებსაც ბევრი რამ გვაინტერესებს; ჰოდა, იმედი დავიტოვოთ, რომ გარკვეული დროის მერე ჰერ რაინერი გულახდილად ალაპარაკდება. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც იტყვის: საკუთარი სურვილით წავიდა თუ პოსტის დატოვება აიძულეს. რა თქმა უნდა, ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან მთავარი მოხდა: ცობელი და „დინამო"... დასრულდა!

გია ტუხაშვილი



შალკე



სეზონის ბოლომდე შალკეს მაიკ ბიუსკენსი და იური მიულდერი გაწვრთნიან

# გამოსავალი სეზონის ბოლომდე

## ზაფხულამდე ბიუსკენს-მიულდერი, მერე? გელზენკირხენიდან ბორდონიც მიდის

„შალკეს“ ხელმძღვანელებმა ვერც ახალი მენეჯერი იპოვეს და ვერც მთავარი მწვრთნელი, რის გამოც ფაქტობრივად სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ და შეთანხმდნენ, რომ სეზონის ბოლომდე გელზენკირხენულ კლუბს გაგდებული **ფრედ რუტენის** ასისტენტები, **მაიკ ბიუსკენსი** და **იური მიულდერი** უთავკაცებენ. ამ კვირაში „ხუმარების“ ბოსებს ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **სლავენ ბილიჩის** დათანხმების იმედი ჰქონდათ, მაგრამ რაკი „შალკეში“ მუშაობა ამ უკანასკნელმაც იუარა, პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** სეზონის ბოლომდე მწვრთნელის მოვალეობების შესრულება ბიუსკენს-მიულდერის დიეტს დაავალა, რომლებსაც მეკარეების მწვრთნელი **ოლივერ რეკიც** დაეხმარება. შესაბამისად, ცხადია, რომ დღეს ბილეფელდის „არმინიასთან“ მატჩისთვის.გუნდს ეს ტრიო მოამზადებს.

კლუბის ოფიციალური განცხადებით, ბიუსკენსს, მიულდერს და რეკს თანაბარი უფლებები ექნებათ და საკითხებს დემოკრატიულად გადაწყვეტენ - ანუ, ზუსტად ისე, როგორც ეს შარშან, **მირკო სლომკას** პოსტიდან გათავისუფლების შემდეგ იყო. გუნდის დროებით მწვრთნელებად მაშინაც ბიუსკენსი და მიულდერი დაინიშნნენ. აღსანიშნავია, რომ შარშან ამ დუეტმა „შალკეს“ 18 შესაძლოდან 16 ქულა აალებინა.

გაირკვა, რომ გელზენკირხენული გუნდის ხელმძღვანელებმა 1997 წლის უეფას თასის გამარჯვებულებს გუნდის სეზონის ბოლომდე გაწვრთნა ორი კვირის წინაც შესთავაზეს, მაგრამ მაშინ ბიუსკენსმა და მიულდერმა სამსახურზე უარი თქვეს და რუტენის პოსტზე დატოვებას დაუჭირეს მხარი. ახლა კი, როცა ჰოლანდიელი გათავისუფლებულია, პრეზიდენტ შნუზენბერგს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ტიონისს** სიამოვნებით დათანხმდნენ.

ამასობაში, გუნდის ყოფილმა კაპიტანმა **მარსელო ბორდონმა**, რომელმაც კაპიტნის სამკლავური სამი კვირის წინ საკუთარი სურვილით **მლადენ კრსტაიჩს** დაუთმო, განაცხადა, რომ ზაფხულში „შალკედან“ წავა. *„თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემთვის ბოლო სეზონია, რომელსაც გელზენკირხენში ვატარებ,“* - განაცხადა 33 წლის ბრაზილიელმა მცველმა, რომელსაც „ხუმარებთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

*„გუნდი ზაფხულში მთლიანად უნდა შეიცვალოს და ვატყობ, რომ ზედმეტი ვარ. ბრაზილიაში არ დავბრუნდები, ევროპაში დავრჩები და იმედი მაქვს, კარგი წინადადებები მექნება. ფაქტია, რომ სხვა ბუნდესლიგურ კლუბში არ გადავალ,“* - განუცხადა ბორდონმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. როგორც იცით, პრეზიდენტმა შნუზენბერგმა განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან „შალკე“ უმეტესად ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაეყრდნობა და რომ გუნდის სტრუქტურა მთლიანად უნდა შეიცვალოს.

ბორდონი გელზენკირხენში 2004 წელს, „შტუტგარტიდან“ გადავიდა და წლების მანძილზე კრსტაიჩთან ერთად, ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო დუეტს ქმნიდან დაცვის ცენტრში.

**გოტფრიდ ლენცი**

მუნდიალი 2010. სამხრეთი ამერიკა. XII ტური

# არგენტინა ღმერთმა გაწირა

## რონალდინიოს პორტუ ალეგრეშიც უსტვინეს

**ბოლივია-არგენტინა 6:1**

**ბოლივია:** კარლოს არიასი, ლუის რიბეირო, ხუან მანუელ პეია, რონალდ რივერო, აბდონ რეიესი (53. იგნასიო გარსია), რონალდ გარსია (78. ვალტერ ფლორესი), ლეონელ რეიესი, დიდი ტორიკო, ალექს და როსა (68. მაურისიო საუსედო), ხოაკინ ბოტერო, მარსელო მარტინს მორენო.

**არგენტინა:** ხუან პაბლო კარისო, ხავიერ ძანეტი, დემიკელისი, ჰაინცე, ემილიანო პაპა, მაქსი როდრიგესი (56. დი მარია), მასკერანო, გაგო, ლუის გონსალესი (68. მარკოს ანხელიერი), მესი, ტევესი (75. მონტენეგრო).

**გოლები:** 1:0 მარსელო მარტინს მორენო (11), 1:1 ლუის გონსალესი (24), 2:1 ხოაკინ ბოტერო (33-პენ), 3:1 ალექს და როსა (45), 4:1 ხოაკინ ბოტერო (54), 5:1 ხოაკინ ბოტერო (65), 6:1 დიდი ტორიკო (86)

**გაძევება:** დი მარია (63. არგენტინა)

**მაყურებელი:** 35 000

**ბრაზილია-პერუ 3:0**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დანიელ ალვეში, ლუსიო, ლუიზაო (12. მირანდა), კლებერი, ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო, ელანო (76. რონალდინიო), კაკა, რობინიო (70. პატო), ლუიშ ფაბიანო.

**პერუ:** ლეაო ბუტრონი, ამილტონ პრადო, კარლოს სამბრანო, ალბერტო როდრიგესი, ვალტერ ვნლჩესი, ნოლბერტო სოლანო (69. კარლოს ფერნანდესი), რაინერ ტორესი, ხუან კარლოს ლა როსა, ლუის რამირესი (79. პიერო ალვა), პედრო გარსია (62. ალექსანდერ სანჩესი), ჯონ ფანო.

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (17-პენ), 2:0 ლუიშ ფაბიანო (26), 3:0 ფელიპე მელო (63)

**მაყურებელი:** 45 000

**ეკვადორი-პარაგვაი 1:1**

**ეკვადორი:** ხოსე სევალიოსი, რეასკო, ივან ურტადო, ესპინოსა, პოლლ ამბროსი, სეგუნდო კასტილიო, ანტონიო ვალენსია (86. პატრისიო ურუტია), გერონი (62. კრისტიან ნობოა), ედისონ მენდესი, ფელიპე საისედო (46. ვალტერ კალდერონი), კრისტიან ბენიტესი.

**პარაგვაი:** ხუსტო ვილიარ, დარიო ვერონი, დენის კანისა, პაულო და სილვა, ხულიო მანსური, ენრიკე ვერა, ვიქტორ კასერესი, კრისტიან რივეროსი, სერხიო აკინო, სალვადორ კაბანიასი, ნელსონ ვალდესი (70. ედგარ ბენიტესი).

**გოლები:** 1:0 კრისტიან ნობოა (63), 1:1 ედგარ ბენიტესი (90)

**გაძევება:** პაულო და სილვა (84. პარაგვაი)

**მაყურებელი:** 40 000

**ჩილე-ურუგვაი 0:0**

**ჩილე:** კლაუდიო ბრავო, პონსე, პაბლო კონტრერასი, გონსალო ხარა, მაურისიო ისლა, კარლოს კარმონა, ბოსეჟური (38. მანუელ იტურა/46. რობერტო სერესედა), მათიას ფერნანდესი (59. ფაბიენ ორელიანა), ალექსის სანჩესი , უმბერტო სუასო, მარკ გონსალესი.

**ურუგვაი:** სებასტიან ვიერა, მაქსიმილიანო პერეირა, ლუგანო, დიეგო გოდინი, კასერესი, დიეგო პერესი (40. ალვარო ფერნანდესი), სებასტიენ ეგურენი, ალვარო პერეირა (71. სებასტიან აბრეუ), კრისტიან როდრიგესი (84. ედისონ კავანი), ლუის სუარესი, დიეგო ფორლანი.

**გაძევება:** მაურისიო ისლა (33. ჩილე)

**მაყურებელი:** 60 000

**მარადონას** ნამდვილი კატასტროფა შეემთხვა. ბოლივიასთან არგენტინის ნაკრების ასეთი გამანადგურებელი მარცხი სხვაგვარად უბრალოდ ვერ შეფასდება. დიეგომ ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელის რანგში პირველად წააგო. ყველამ იცის, რომ ის ძალიან ემოციური ადამიანია და გასაკვირი სულაც არ არის, რომ დამამცირებელი ფიასკო საშინლად განიცადა. თუ დავფიქრდებით და ობიექტურად ვიმსჯელებთ, დავასკვნით, რომ ეს სრულიად ალოგიკური შედეგია. მარადონას გამოუცდელობაზე წინა გამარჯვებების მიუხედავად ბევრს ლაპარაკობდნენ, თუმცა 6 ბურთის გაშვება მაინც არანორმალურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. გვინდა, თუ არა, ისევ და ისევ იმაზე ლაპარაკი მოგვიწევს, რომ ალბისელესტეს ლა პასში ზღვის დონიდან 3500 მეტრის სიმაღლეზე მოუხდა თამაში. სტუმართა მთავარი მწვრთნელი წინასამატჩო პრესკონფერენციაზე სიამაყით აცხადებდა, ლა პასის გაიშვიათებული ჟანგბადი პრობლემებს არ შეგვიქმნისო, მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ მარადონას მაშინ ემოციები ალაპარაკებდა. არგენტინისთვის უჩვეულო კლიმატს პრობლემები რომ არ შეექმნა, მწვრთნელმა და ასოციაციის ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. ისინი ბოლივიაში თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩაფრინდნენ, მაგრამ როგორც ხედავთ, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ალბისელესტემ, რომელმაც წინა ტურში „მონუმენტალზე“ ვენესუელა 4:0 დაამარცხა, ახლა თავად განადგურდა. შესაძლოა, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ სტუმრებს ბოლივიურმა კლიმატმა პრობლემები შეხვედრის დებიუტშივე შეუქმნა. არგენტინელი ვარსკვლავები მოედანზე ძლივს მოძრაობდნენ. სწრაფ დრიბლინგებსა და გააზრებულ კომბინაციებზე არაფერს ვამბობთ. მიმომხილველები მწვრთნელის მიერ დაშვებულ შეცდომებზეც საუბრობენ. საქმე ის არის, რომ დიეგომ ვენესუელასთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ცვლილებები განახორციელა. ლეგენდარულმა არგენტინელმა **სერხიო აგუერო** სათადარიგოთა სკამზე დასვა. ურემის გადაბრუნების შემდეგ მსჯელობა და კრიტიკა იოლია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, აგუეროს შეხვედრის სცენარზე რაიმე გავლენა მოეხდინა. არგენტინა ღმერთმა და ბედისწერამ გაწირა. ბოლივიამ ძლევამოსილი მეტოქე პირწმინდად დაამარცხა. ამას წაგება კი არა, დაჩაგვრა უფრო ჰქვია. მასპინძელთა უპირატესობა მთელი შეხვედრის განმავლობაში თვალში საცემი გახლდათ. **გაგოსა** და **მასკერანოს** ტანდემმა პრაქტიკულად ვერაფერი შეცვალა. ორი საყრდენი დახევარმცველი ისევე დაბნეულად და უსუსურად თამაშობდა, როგორც ყველა დანარჩენი. მასპინძლებმა საგოლე მომენტები პირველივე წუთებზე შექმნეს, მაგრამ **ხუან პაბლო კარისომ** იყოჩაღა და მეტოქეს გოლის გატანის საშუალება არ მისცა, თუმცა ბოლივიელებმა არგენტინელი მეკარის წინააღმდეგობა მე-11 წუთზე გატეხეს. ამის შემდეგ ალბისელესტეს განკითხვა დაიწყო. მართალია, 24-ე წუთზე **ლუის გონსალესმა** წონასწორობა აღადგინა, მაგრამ ამით აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა. არგენტინამ ბედისწერას ვერაფერი მოუხერხა. ამ გუნდის ინჩასები ალბათ, საფინალო სასტვენზე ოცნებობდნენ. მსაჯს კიდევ რამდენიმე წუთი რომ დაემატებინა, შესაძლოა, კარისოს კარში გოლები კიდევ გასულიყო.

ბოლივიამ ალბისელესტე 1997 წლის შემდეგ პირველად დაამარცხა. უნდა აღინიშნოს, რომ არგენტინას ამ გუნდთან ადრე ასეთი გამანადგურებელი ანგარიშით არასოდეს წაუგია.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მარადონამ ცრემლები ძლივს შეიკავა: *„ბოლივია არაჩვეულებრივად მომზადებული დაგვხვდა. დღეს ეს გუნდი ნებისმიერ მოწინააღმდეგეს ასევე გაანადგურებდა. გამოვიტყდებით, მასპინძელთა ასეთ თამაშს არ ველოდი. ჩვენ აბსოლუტურად არაფერი გამოგვივიდა. გულწრფელად ვიტყვი, უბედურად ვგრძნობ თავს, რადგან არგენტინის სახელი და ღირსება შევლახეთ. ჩვენ ადამიანები კი არა, იდიოტების ხროვა ვართ. ქვეყანამ ფეხბურთის მართვა და თამაში გვანდო, ჩვენ კი ხალხს სულში ჩავაფურთხეთ. არ არსებობს მიზეზი, რომელიც ოდნავ მაინც გამამართლებს. დიახ, ჩვენ ზღვის დონიდან 3500 მეტრზე ვითამაშეთ, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს არგუმენტი არაფერს ნიშნავს. დღეს გულში 6 ჭრილობა მომაყენეს. ჯობია, დაგემშვიდობოთ, თორემ შეიძლება ავტირდე და თავი შევირცხვინო. მიუხედავად ყველაფრისა, სასოწარკვეთილებამ არ უნდა მოგვიცვას. უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს უბედური შემთხვევა და გამონაკლისი იყო. ბიჭებს სერიოზულად დაველაპარაკები და ვთხოვ, რომ ყველამ ჩვენი შეცდომა ვაღიაროთ. გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი“.*

არგენტინისგან განსხვავებით, სამხრეთამერიკული ფეხბურთის კიდევ ერთმა გრანდმა, ბრაზილიამ საშინაო შეხვედრაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მოგეხსენებათ, წინა ტურში პენტაკამპეონებმა ეკვადორთან ამაზრზენად ითამაშეს და დამადლებული ქულა მოიპოვეს. იმ შეხვედრაში ტრავმის გამო **კაკამ** ვერ ითამაშა. მის ნაცვლად **კარლოს დუნგამ რონალდინიო** დააყენა. „მილანის“ ვარსკვლავმა ღირებული ვერაფერი გააკეთა და პრესის უდიდესი კრიტიკა დაიმსახურა. ამჯერად დუნგამ გამოჯანმრთელებულ კაკას ძირითად შემადგენლობაში უკრა თავი, გაუჩო კი მოედანზე მხოლოდ 76-ე წუთზე შეუშვა. 15 წუთი საკმარისი გახდა იმისთვის, რომ რონალდინიოს გულშემატკივრების გულისწყრომა დაემსახურებინა. პორტო ალეგრე, რომელიც ერთ დროს რონალდინიოს მზეს ფიცულობდა, ახლა უდიდეს რადიკალიზმს გამოხატავს. ძალიან სამწუხარო და დასანანია, მაგრამ, როგორც ჩანს, რონალდინიოს მზე სამუდამოდ ჩაესვენა.

რონალდინიოს ინერტულობის პირობებში სელესაოს ლიდერისა და ვარსკვლავის ფუნქციას კაკა ასრულებს. „მილანის“ ნახევარმცველმა ეროვნული გუნდის გამარჯვების საქმეში დიდი როლი ითამაშა. თავად განსაჯეთ, **ლუიშ ფაბიანომ** ანგარიში მის წინააღმდეგ ჩადენილი უხეშობისთვის დანიშნული პენალტით გახსნა. დაახლოებით 9-10 წუთში „სევილიის“ ფორვარდმა დუბლი შეასრულა და მასპინძელთა გამარჯვება შეუქცევადი გახადა. პერუს ნაკრების განადგურებას **ფელიპე მელომ** დაუსვა წერტილი. ბრაზილიას გოლის გატანის საშუალება კიდევ არაერთხელ ჰქონდა, მაგრამ სამბურთიანი უპირატესობითაც ყველა კმაყოფილი დარჩა.

კარლოს დუნგამ შეხვედრა ასე შეაფასა: *„ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ. დღეს ქულების დაკარგვის უფლება ნამდვილად არ გვქონდა. პერუს ნაკრებს ბევრი პრობლემა აქვს, ამიტომ საკმაოდ იოლად მოვიგეთ. შეგვეძლო, უფრო დიდი ანგარიშითაც გაგვემარჯვა, მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ეკვადორში ორი ქულის დაკარგვის შემდეგ დღევანდელ წარმატებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მეორე ადგილზე ვიმყოფებით და ერთპიროვნულ ლიდერ პარაგვაის 3 ქულით ჩამოვრჩებით. ვფიქრობ, პირველობის მოპოვების არაჩვეულებრივი შანსი გაგვიჩნდა. ამ შესაძლებლობების გამოსაყენებლად ბოლომდე ვიბრძოლებთ“.*

2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო რაუნდის ბოლო ორი მატჩი პარაგვაის ეროვნული გუნდისთვის უკიდურესად უიღბლო და წარუმატებელი აღმოჩნდა. გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა მთლიანობაში 5 ქულა დაკარგა და ახლა მხოლოდ 3 ქულით ლიდერობს. ეკვადორის ნაკრების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ბრაზილიასთან ჩატარებული არაჩვეულებრივი მატჩის შემდეგ მან პარაგვაისთანაც ღირსეულად ითამაშა. მასპინძლებს ყველა წესის მიხედვით უნდა მოეგოთ, მაგრამ წინა დაპირისპირების მსგავსად არ გაუმართლა. ამ ყველაფრის შედეგად ეკვადორი ისევ ფრეს დასჯერდა. 63-ე წუთზე **ნობოას** მიერ გატანილი გოლი საფინალო სასტვენამდე ძალიან მცირე ხნით ადრე **ბენიტესმა** გაქვითა.

ჩილესა და ურუგვაის ნაკრებების შეხვედრა ფრედ დასრულდა. ერთი შეხედვით, ეს შედეგი ხელს არავის აძლევდა, მაგრამ არგენტინის ეროვნული გუნდის ფიასკოს გათვალისწინებით, **მარსელო ბიელსა და ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი** ძალიან უკმაყოფილოც არ უნდა იყვნენ. ჩილეს, არგენტინასა და ურუგვაის ოთხეულში მოხვედრის ფაქტობრივად თანაბარი შანსი გააჩნიათ. მოგეხსენებათ, სამხეთამერიკის ზონის პირველი 4 გუნდი მუნდიალზე პირდაპირ მიემგზავრება. მე-5 ადგილზე გასულ ნაკრებს კი 2-მატჩიანი პლეიოფის გამართვა მოუწევს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 12 | 7 | 3 | 2 | 19-9 | 24 |
| 2. ბრაზილია | 12 | 5 | 6 | 1 | 19-5 | 21 |
| 3. ჩილე | 12 | 6 | 2 | 4 | 17-14 | 20 |
| 4. არგენტინა | 12 | 5 | 4 | 3 | 18-13 | 19 |
| 5. ურუგვაი | 12 | 4 | 5 | 3 | 21-10 | 17 |
| 6. კოლუმბია | 12 | 3 | 5 | 4 | 6-10 | 14 |
| 7. ეკვადორი | 12 | 3 | 5 | 4 | 14-19 | 14 |
| 8. ვენესუელა | 12 | 4 | 1 | 7 | 14-22 | 13 |
| 9. ბოლივია | 12 | 3 | 3 | 6 | 19-25 | 12 |
| 10. პერუ | 12 | 1 | 4 | 7 | 6-26 | 7 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. ევროპა

# ვინ გააჩერებს ესპანეთს?

## I ჯგუფი

### უნგრეთი–მალტა 3:0

მასპინძლებმა ანგარიში უკვე მე-7 წუთზე გახსნეს - **ტომაშ ჰაინალმა** ჩვეულად ოსტატურად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, რომელიც საკუთარი საჯარიმოს გარეთ სტუმართა მეკარე **ჰაბერის** უხეშ თამაშს მოჰყვა. რამდენიმე წუთიან ინტერვალში ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ **ლასლო ბოდნარსა და შანდორ ტორგელეს**, თუმცა მათ თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს. **ერვინ კუმანის** შეგირდები მთელი თამაშის განმავლობაში აკონტროლებდნენ თამაშის მიმდინარეობას. უნგრელებმა **ზოლტან გერასა** და **როლანდ იუჰაშის** გოლებით ანგარიში გამანადგურებელი გახადეს. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა ნაკრები შესარჩევ ჯგუფში ამჟამად შვედებსა და პორტუგალიელებზე მაღლა დგას, მას მაინც გაუჭირდება საბოლოო შედეგის მიღწევა, რადგან ორი ურთულესი გასვლითი შეხვედრა სწორედ აღნიშნულ ნაკრებებთან ელის.

### დანია–ალბანეთი 3:0

**მორტენ ოლსენის** გუნდმა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა პირველივე წუთებიდან ჩაიგდო ხელთ, თუმცა ალბანელთა მედგარ წინააღმდეგობას გადაანწყდა და დომინირების მიუხედავად, მატერიალურ უპირატესობაში ვერ გადაზარდა. მე-20 წუთზე კარის აღების შანსი ხელიდან გაუშვა **მიკაელ იაკობსენმა** - მისი დაბალი და მძლავრი დარტყმა კარს სულ მცირედით ასცდა. 30-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა. თავი ჰანოვერელმა **ლეონ ანდრეასენმა** გამოიჩინა. ვინც კი ბუნდესლიგას თვალს ადევნებს, დაგვეთანხმება, რომ ეს ფეხბურთელი ყოველთვის გამოირჩეოდა შორეული და ყუმბარისებური დარტყმებით, ამჯერადაც ასე მოხდა. მან მიზანს 30-32 მეტრიდან გასროლით უწია. 37-ე წუთზე, ისევე როგორც შაბათს მალტასთან, თავისი გოლი გაიტანა **სიორენ ლარსენმა**, პასის ავტორად ამჯერადაც **დენის რომედალი** მოგვევლინა. მეორე ტაიმში დანიელებმა თამაშის ტემპი დააგდეს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ მომენტი მომენტზე შეექმნათ. თავის გამოჩენა შეეძლოთ **ნიკლას ბენდტნერს, კრისტიან პოულსენსა** და დენის რომედალს. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე საბოლოო ანგარიში ისევ პოულსენმა დააფიქსირა - კუთხურის გათამაშებას სტუმართა საჯარიმოში დიდი არეულობა მოჰყვა, რომელშიც ყველაზე უკეთ იუვენტუსელი გაერკვია და ბურთს სასურველი მიმართულება მისცა. მორტენ ოლსენის განცხადებით, ის კმაყოფილი დარჩა შეგირდების თამაშით და იქვე დაამატა, ახლა უკვე შემიძლია გითხრათ, რომ ევროპის ტოპ-გუნდების დონეზე თამაში შეგვიძლიაო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 5 | 4 | 1 | 0 | 12-2 | 13 |
| 2. უნგრეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-2 | 13 |
| 3. პორტუგალია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-3 | 6 |
| 4. შვედეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 2-1 | 6 |
| 5. ალბანეთი | 7 | 1 | 3 | 3 | 3-6 | 6 |
| 6. მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 0-17 | 1 |

## II ჯგუფი

### ლატვია–ლუქსემბურგი 2:0

### საბერძნეთი–ისრაელი 2:1

ეს გუნდები ერთმანეთს შაბათს ისრაელში დაუპირისპირდნენ და მშვიდობიანი ანგარიშით გაიყარნენ. ამჯერად საკუთარი გულშემატკივრების მიერ შეგულიანებულმა ბერძნებმა უპირატესობა თავიდანვე იგდეს ხელთ. მათ ამაში ის ფაქტი დაეხმარა, რომ შეხვედრის დაწყებამდე ებრაელთა ლიდერმა **იოსი ბენაიუნმა** თავი შეუძლოდ იგრძნო. **დრორ კაშტანმა** ლივერპულელი სათადარიგოთა სკამზე გადასვა. ბერძნებმა ანგარიში პირველივე ტაიმში გახსნეს. **გეორგიოს კარაგუნისის** კუთხურის შემდეგ **დიმიტრიოს სალპინგიდისმა** საჯარიმოს მისადგომებიდან ულამაზესი დარტყმით გაიტანა. მეორე ტაიმში მინდორზე ბენაიუნი გამოჩნდა. მან ისრაელელთა შეტევებს მეტი ფანტაზია შესძინა. 59-ე წუთზე **ელიანივ ბარდას** დარტყმას **ომერ გოლანმა** მიმართულება შეუცვალა და ანგარიში გაათანაბრა. სულ რამდენიმე წუთში **ვასილის ტოროსიდისი** სტუმართა საჯარიმოში შეიჭრა, სადაც ის აკრძალული მეთოდით შეაჩერეს. შეცვლაზე შესულმა **გეორგიოს სამარასმა** მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 2:1.

შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე მინდორზე გამოჩნდა ვეტერანი **ანგელოს ბასინასი**, რომელმაც საბერძნეთის ნაკრებში მე-100 შეხვედრა გამართა. ის მეორე ბერძენი ფეხბურთელია, რომელიც ასეთ შედეგს შესწვდა, მანამდე 100 თამაშის ჩატარება მხოლოდ **თეოდოროს ზაგორაკისს** მოეხერხებინა.

### შვეიცარია–მოლდოვა 2:0

მოლდოველთა დამრიგებელი **იგორ დობროვოლსკი** სერიოზულ რისკზე წავიდა, როცა შვეიცარიასთან შეხვედრა 3-5-2 სქემით დაიწყო. შაბათის შეხვედრისგან განსხვავებით, მან ძირითადში ერთბაშად 4 ახალი ფეხბურთელი დააყენა, თუმცა... შედეგი ისევ ვერ მიიღო.

მასპინძლებმა თავიდანვე მოჰკიდეს ხელი სტუმართა რბევას. განსაკუთრებით სახიფათო იყო შვეიცარიელთა ფლანგის ფეხბურთელების გაუთავებელი ჩაწოდებები მეტოქის საჯარიმოში. მოლდოველებს თავიდანვე გაუჭირდათ **ბლეზ ნკუფოსა და ალექსანდერ ფრაისთან** გამკლავება. პირველი გოლი სწორედ ასეთ ვითარებაში გავიდა: **შტეფან ლიხტენშტაინერის** ზუსტ ჩაწოდებას ნკუფო გამოეხმაურა - 1:0. მოლდოველთაგან ერთადერთი შანსი გოლის გასატანად **ალექსანდრ გაცკანს** ჰქონდა, თუმცა მას მიზანმა უმტყუნა. **დიეგო ბენალიოს** მთელი თამაშის განმავლობაში საქმე რეალურად არც ჰქონია.

მეორე ტაიმში ისევ შტეფან ლიხტენშტაინერმა გამოიდო თავი. მან მარჯვენა ფლანგიდან მცველთაგან მიტოვებული ალექსანდერ ფრაი მონახა, ისიც არ დაიბნა და სტუმართა იმედებს ცივი წყალი გადაავლო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| 2. შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 11-6 | 13 |
| 3. ლატვია | 6 | 3 | 1 | 2 | 10-6 | 10 |
| 4. ისრაელი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-8 | 9 |
| 5. ლუქსემბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-13 | 4 |
| 6. მოლდოვა | 6 | 0 | 1 | 5 | 2-11 | 1 |

## III ჯგუფი

### ჩეხეთი–სლოვაკეთი 1:2

ოთხშაბათის შეხვედრამდე სლოვაკებმა ჩეხები ბოლოს 1997 წელს დაამარცხეს. როგორც ჩანს, ინგლისთან 4:0-ზე განადგურების შემდეგ სლოვაკთა თავკაცმა **ვლადიმირ ვაისმა** შესაბამისი დასკვნები გააკეთა და სასტარტო შემადგენლობიდან ხუთი ფეხბურთელი ამოაგდო. რაც შეეხება ჩეხებს, მათ დისკვალიფიცირებული **ტომაშ უიფალუში** აკლდათ. ანგარიში სტუმრებმა წაიყვანეს - თავი გამოიჩინა **სტანისლავ სესტაკმა. კარელ რადას** შეგირდებმა ტემპს მოუმატეს და 7 წუთში ანგარიში გაათანაბრეს. **იაროსლავ პლაშილის** კუთხურის შემდეგ **მარეკ იანკულოვსკიმ** ბურთი ახლო ძელთან ჩაკიდა, **მარტინ შკრტელმა** კი ბურთი საკუთარ კარში გადაგზავნა. აღსანიშნავია, რომ სლოვაკმა მცველმა, შაბათის შეხვედრის მსგავსად, მეორე სანაკრებო შეხვედრაშიც სუსტად ითამაშა. „უემბლიზე" მისი ასპარეზობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. 83-ე წუთზე **იენდრიშეკმა პეტრ ჩეხის** კარის მიმართულებით ძლიერად დასცხო, მეკარემ პირველი დარტყმა დიდი ვაივაგლახით მოიგერია, თუმცა დაზღვევაზე თამაში არც ერთმა მცველს უფიქრია, იენდრიშეკმა წყნარად დაამატა და ეროვნულ გუნდს მნიშვნელოვანი სამი ქულა შესძინა.

### პოლონეთი–სან მარინო 10:0

რა შეიძლება ითქვას თამაშზე, რომელიც 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთ კარში მიდიოდა? ალბათ ის, რომ პოლონელმა **რაფაელ ბოგუშკიმ** ნაკრების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა. მან თავი 25-ე წამზე გამოიჩინა. წინა რეკორდი **მაცეი ჟურავსკის** ეკუთვნოდა. 2005 წელს მან ალბანეთა კარი 32-ე წამზე აიღო. შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ **ეუსებიუშ სმოლიარეკმა** პოკერი შეასრულა. ამ ორის გარდა გოლის გატანა არ დაზარებიათ **რობერტ ლევანდოვსკის, ირენეუშ იელენს, მარიუშ ლევანდოვსკისა და მარეკ საგანოვსკის.**

### ჩრ. ირლანდია–სლოვენია 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩრ. ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 2. სლოვაკეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-6 | 12 |
| 3. პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 18-7 | 10 |
| 4. ჩეხეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 5. სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 5-4 | 8 |
| 6. სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1-25 | 0 |

## IV ჯგუფი

### უელსი–გერმანია 0:2

ისევე როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის თითქმის ყველა შეხვედრა, უელსისა და გერმანიის ნაკრების მატჩიც წუთიერი დუმილით დაიწყო (აბიჯანში მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელსაც 19 ადამიანი ემსხვერპლა). წუთიერი დუმილი წუთიერია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კარდიფის „მილენიუმი" არც მატჩის დაწყების შემდეგ ახმაურებულა. სტადიონი 74 500 მაყურებელს იტევს, მაგრამ საყვარელ გუნდზე განაწყენებულმა უელსელებმა ნაკრების თამაში არად ჩააგდეს და შეხვედრას მხოლოდ 26 600 ფანი დაესწრო. როგორც ჩანს, ფინეთთან მარცხმა (0:2) უელსელ ქომაგებზე ძალიან მძიმედ იმოქმედა.

გერმანიის ნაკრებმა თამაში ერთადერთი თავდამსხმელით დაიწყო და ისიც **მარიო გომესი** გახლდათ, რომელსაც წელიწადია, ბუნდესგუნდის მაისურით გოლი არ გაუტანია. მოედანზე თავიდანვე იყო **ლუკას პოდოლსკიც**, მაგრამ მარცხენა ნახევარმცველის და არა ფორვარდის რანგში. ალემანებმა თავიდანვე შეუტიეს და უკვე მეორე წუთზე შეეძლოთ დაწინაურება, როცა პოდოლსკის ჩაწოდებას გომესი გამოეხმაურა, მაგრამ სათანადოდ ვერ ახტა. სამაგიეროდ, მე-11 წუთზე **მიხაელ ბალაკმა** 31 მეტრიდან იმდენად ძლიერად დაურტყა უელსელთა კარის დარაჯ **ჰენესის**, რომ ამ უკანასკნელს მოგერიების შანსი არ დაუტოვა - დარტყმის სიჩქარე 108 კმ/სთ იყო. შეგახსენებთ, რომ ბალაკმა ოთხი დღის წინ ლიხტენშტაინსაც შორიდან გაუტანა.

გერმანელთა მხრიდან შეტევაში ბალაკი, უკან კი მეკარე **რობერტ ენკე** ბრწყინავდა. 21-ე წუთზე **ანდრეას ბეკმა** საკუთარ საჯარიმოში საჰაერო ორთაბრძოლა წააგო და ბურთი **ერნშოუს** დარჩა, რომლის დარტყმა ენკემ სასწაულებრივ მოიგერია. 27-ე წუთზე კი **ლედლი** გადიოდა ენკესთან პირისპირ, როცა **სერდარ ტასკი** ჩაუწვა და ბრიტანელი დასცა. წესით, აქ მსაჯ **ტერიე ჰაუგეს** პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ გერმანელთა საბედნიეროდ, მცდარი გადაწყვეტილება მიიღო და უელსს თერთმეტმეტრიანი არ დაუნიშნა. კარგად გამოიყურებოდა უელსელთა მეკარეც, რომელმაც 30-ე წუთზე **თომას ჰიტცლშპერგერის**, ხოლო 32-ე წუთზე კი პოდოლსკის დარტყმები მოიგერია.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა გერმანელებმა მეორედ დალაშქრეს ჰენესის კარი. 48-ე წუთზე, გომესმა ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა, საჯარიმოში გამჭოლად გაისროლა და **უილიამსმა** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. უელსელები ამის შემდეგაც მძლავრად უტევდნენ და ის, რომ ერთხელაც ვერ იხეირეს, ენკეს დამსახურებაა. ერნშოუ მუდმივად პრობლემებს უქმნიდა ტასკის და ერთ მომენტში მაგრადაც გააცურა, მაგრამ „შტუტგარტის" მცველის შეცდომა „ჰანოვერის" მეკარემ გამოასწორა. ცუდი დღე ჰქონდა **ბასტიან შვაინშტაიგერს**, რომელსაც ფაქტობრივად არაფერი გამოუვიდა, მერე ფეხიც ასტკივდა და საბოლოოდ 86-ე წუთზე შეცვალეს. 89-ე წუთზე გომესს კიდევ ერთხელ მიეცა უგოლო სერიის დასრულების შანსი, მაგრამ კარს ზემოდან გადააცილა. 14 თამაშია, მარიოს სანაკრებო მატჩში გოლი არ გაუტანია. ეს კი, თავმომწონე თავდამსხმელისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი შედეგია.

უელსისა და გერმანიის ნაკრების შეხვედრაში იყო ერთი მომენტი, რომელმაც საფეხბურთო გერმანიას ეს თამაში და მისი შედეგი საერთოდ დაავიწყა: პოდოლსკიმ მეორე ტაიმში კაპიტან მიხაელ ბალაკს სილა გააწნა!!! მაგრამ ამ ფაქტზე დაწვრილებით ცალკე სტატიაში მოგითხრობთ. გერმანელებმა ამ გამარჯვებით 16 ქულა დააგროვეს და ერთპიროვნულ ლიდერებად დარჩნენ.



### ლიხტენშტაინი–რუსეთი 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 18-4 | 16 |
| 2. რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-3 | 12 |
| 3. ფინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| 4. უელსი | 6 | 2 | 0 | 4 | 4-7 | 6 |
| 5. აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-4 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-13 | 1 |

## V ჯგუფი

### თურქეთი–ესპანეთი 1:2

ესპანელმა ანგელოზებმა თურქული „ალი სამი იენის" ჯოჯოხეთის ცეცხლი ჩააქრეს და დაუვიწყარი გამარჯვება იზეიმეს. სელექსიონმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროპის უძლიერესი ნაკრებია. **ვისენტე დელ ბოსკეს** ბიჭები **სენთურქის** გოლის გამო 0:1 აგებდნენ, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაყარეს და ბედის ბორბალი წალმა დაატრიალეს. ანგარიში **ჩაბი ალონსომ** გაათანაბრა. გამარჯვების გოლი კი **ალბერტ რიერამ** მსაჯის მიერ მეორე დამატებულ წუთზე შეაგდო. საგოლე პასი მას **დანი გუისამ** მიაწოდა. ამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვების წყალობით, ესპანეთმა 2010 წლის მუნდიალზე მოხვედრა პრაქტიკულად გაინაღდა. ბუნებრივია, სასწაული არ მოხდება და ესპანური არმადა სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი უპირველესი მაძიებელი იქნება.

ვისენტე დელ ბოსკეს ნაკრებისთვის შეუძლებელი არაფერია. მისი მოულოდნელი დარტყმებით არაერთი ძლიერი გუნდი „დასახიჩრებულა". პირენეელები ვერაფერმა შეაშინა. იყო ეპიზოდები, როცა ესპანეთი ესპანეთს არ ჰგავდა, მაგრამ ამ გუნდმა ბოლოს მაინც ყველაფერი ისე დაასრულა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მას სურდა. არადა, თურქები მოედანზე არნახული აგრესიითა და შემართებით გავიდნენ. **ფათიჰ თერიმი** ჯერ კიდევ მადრიდში აცხადებდა, ესპანეთი სტამბოლში ჩამოვა და შურს ვიძიებთო. მასპინძლები საკმაოდ გამართულად თამაშობდნენ. ისინი ძლევამოსილ მეტოქეს ჩინებულად მომზადებული დაუხვდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც არაფერი გამოუვიდათ. წაგება ყოველთვის მტკივნეულია, თორემ თავად ესპანელი ჟურნალისტები აღიარებენ, რომ თერიმის ბიჭებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს. სელექსიონს მათ მრავალი პრობლემა შეუქმნეს, თუმცა პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შეთამაშებული ნაკრების დასამარცხებლად მათი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ, როცა ყველა ფრეს იყო შეგუებული და მსაჯის საფინალო სასტვენს ელოდა, დანი გუისას დახმარებით რიერა ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა და გამარჯვების ბურთი შეაგდო.

ამ წარმატებით სელექსიონმა **ხავიერ კლემენტეს** მწვრთნელობის ხანაში დამყარებული რეკორდი გაიმეორა. ესპანეთის ნაკრებს ზედიზედ 31 შეხვედრაა არ წაუგიათ. ბასკმა სპეციალისტმა ანალოგიურ შედეგს 1994-98 წლების განმავლობაში მიაღწია. აღსანიშნავია, რომ კლემენტეს გუნდმა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ინგლისთან წააგო, თუმცა ეს პენალტების სერიაში მოხდა და სტატისტიკოსები ძირითადი და დამატებითი დროის ფრედ დასრულების გამო ბრიტანელებთან განცდილ წარუმატებლობას წაგებად არ მიიჩნევენ. ახლა კი სელექსიონს ორჯერ ნაკლები დრო დასჭირდა. წაუგებელ სერიას 2007 წლის თებერვალში ჩაეყარა საფუძველი. ბუნებრივია, დელ ბოსკესა და მის ბიჭებს ყველა პირობა აქვთ იმისთვის, რომ ეს მაჩვენებელი გააუმჯობესონ და ყველა დროის რეკორდი დაამყარონ.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს პირველად სენიორ დელ ბოსკე გაესაუბრა: *„ცალკეული ფეხბურთელების ლვაწლის გამოყოფა არ მიყვარს, მაგრამ დღეს გამონაკლისს დავუშვებ და ვიტყვი, რომ გამარჯვებაში დანი გუისამ უდიდესი როლი ითამაშა. დისციპლინის დარღვევის გამო ბევრი ჟურნალისტი ამბობდა, გუისა სელექსიონიდან უნდა მოიკვეთოსო. მის საქციელს არ ვამართლებდი, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, გუისა ეროვნულ გუნდს ძალიან სჭირდება და სკანდალს ნუ მოვაწყობთ-მეთქი. დღეს დავრწმუნდით, რომ მართალი ვყოფილვართ. დანიმ მართლაც არაჩვეულებრივად ითამაშა. გარკვეული საკადრო პრობლემების გამო დღეს შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოვამჟღავნეთ, თუმცა მთავარია, რომ მოვიგეთ. სამ ქულას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა უკვე დარწმუნებული გახლავართ, რომ 2010 წლის მუნდიალზე გავემგზავრებით და იქ პლანეტის ყველაზე პრესტიჟული ტიტულის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთ. ვფიქრობ, დღეს დავიდ ვილია და ანდრეს ინიესტა რომ გვყოლოდა, ბევრად უკეთ ვითამაშებდით, მაგრამ ამას უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მადლობა ღმერთს, სამი ქულა მოვიპოვეთ. სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი."*

დელ ბოსკესგან განსხვავებით, ფათიჰ თერიმი, რა თქმა უნდა, ძალიან უკმაყოფილო იყო. თურქების მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა, იმდენად კარგად ვითამაშეთ, ესპანეთთან ორი მატჩის ჯამში ექვსი ქულის დაკარგვას არ ვიმსახურებდითო. გამოცდილი სპეციალისტი უიღბლობაზე აპელირებდა და ამტკიცებდა, რომ მისი ბიჭები სრულიად უსამართლოდ დაისაჯნენ.

### ბოსნია–ბელგია 2:1

ბელგიის უსახურმა ნაკრებმა ბოსნიასთან ზედიზედ მეორე თამაში წააგო და 2010 წლის მუნდიალზე მოხვედრის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა. ბალკანელებმა კი პირიქით, ბოლო ორ შეხვედრაში მოპოვებული ექვსი ქულისა და თურქეთის ნაკრების ესპანეთთან წაფორხილების წყალობით მშვენივრად ისარგებლეს და გათამაშების ცხრილის მეორე საფეხურზე დამკვიდრდნენ. ბე-

»»» 8

# უცხოური ფეხბურთი

7 «««

ლგიამ უსუსურობა შეხვედრის დებიუტშივე გამოამჟღავნა. მატჩის ბედი პრაქტიკულად 15 წუთში გადაწყდა. მაშინ, როცა სტუმრები უცხო გარემოს ეგუებოდნენ და სრულიად გაუგებარ ფეხბურთს თამაშობდნენ, მასპინძლებმა საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და ფანტასტიკურ შედეგსაც მიაღწიეს. მე-12 წუთზე **ედინ ჯეკომ** თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. სულ რაღაც სამ წუთში ბოსნიელთა ფორვარდმა საშუალო მანძილიდან უძლიერესი დარტყმით დუბლი შეასრულა. „ვოფსბურგის" ერთ-ერთმა ლიდერმა ორივე შემთხვევაში მცველების მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა. მეორე ტაიმის 61-ე წუთზე მთავარმა არბიტრმა ბელგიელი **აქსელ ვიტსელი** გააძევა. სტუმრები ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდენ. ისინი ძალიან ცუდად თამაშობდნენ. როგორც ჩანს, ბოსნია სწორედ ამან მოადუნა - სტუმრებმა ერთი ბურთი გაქვითეს.

**ესტონეთი-სომხეთი 1:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 13-2 | 18 |
| 2. ბოსნია | 6 | 4 | 0 | 2 | 18-7 | 12 |
| 3. თურქეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 4. ბელგია | 6 | 2 | 1 | 3 | 10-11 | 7 |
| 5. ესტონეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-15 | 5 |
| 6. სომხეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-15 | 1 |

## VI ჯგუფი

**ინგლისი-უკრაინა 2:1**



ინგლისის ნაკრების კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** გამარჯვების გოლი მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაიტანა. საგოლე გადაცემა **სტივ ჯერარდმა** მიითვალა. საინტერესო ის იყო, რომ ტერის **რუნის** მიერ შეჭრილი თმა ამშვენებდა. კუსტარული წესით დაყენებულ ვარცხნილობას "ჩელსის" მცველისათვის ოდნავადაც არ შეუშლია ხელი.

ნამატჩევს ტერი ხუმრობის ხასიათზე იდგა - უეინმა მომსახურებაში 10 გირვანქა მომთხოვა და ფული ჯერ არ მიმიციაო, *"თმის შესწორებას გასულ კვირაშიც ვაპირებდი. შეკრებისას სასტუმროდან გასვლის უფლება არ გვაქვს. სხვა გზა არ იყო, დახმარებისათვის უეინს მივმართე და ისიც სიამოვნებით დამთანხმდა. ისეთი კმაყოფილი ვარ, რომ მას შეიძლება კიდევ მივაკითხო."*

ინგლისელმა მიმომხილველებმა ტერის კომენტარში სულ სხვა რამ ამოიკითხეს. კაპიტნის განცხადება იმ პოზიტიურ ატმოსფეროზე მიუთითებს, რომელიც ინგლისელთა ბანაკშია გამეფებული. **ფაბიო კაპელოს** გუნდმა გამარჯვებათა ხუთმატჩიანი სერია გამოაცხო. მას მუნდიალისაგან ერთი ნაბიჯიღა აშორებს. ეს ზუსტად ის გუნდია, რომელიც ნელიწადნახევრის წინ ევრო 2008-ის მიღმა დარჩა. ტერი: *"ვფიქრობ, ყველა ამჩნევს, თუ რა მონდომებით ვარჯიშობენ ბიჭები. ყველა იღიმება. მოწყენილ სახეს ვერ ნახავთ. მწვრთნელმა რაღაც-რაღაცები შეცვალა. საქმე კარგად მიდის. ფეხბურთელებმა იციან, რა ევალებათ. ისინი თავიან მოვალეობას სიამოვნებით ასრულებენ."*

უკრაინასთან მატჩზე საუბრისას კაპიტანმა თქვა: *"ჩვენს ნაკრებს მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდა. 1:0-ისას ყველაფერი გაცილებით იოლი ჩანდა, თუმცა ემოციებს არც 1:1-ისას ავყევით. თამაშის ფრედ დასრულება ტრაგედია არ იქნებოდა, მაგრამ არც ჩვენ და არც მაყურებელი ასეთი ბედნიერები არ ვიქნებოდით. მიხარია, რომ გამარჯვების გოლი შევაგდე. სამწუხაროა, რომ მეტოქემ სტანდარტული მდგომარეობისას გაგვიტანა. ბოლო ათი დღის განმავლობაში ამ კომპონენტის დასახვეწად ბევრი ვიმუშავეთ. თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ ჩვენი გოლებიც სტანდარტულ მდგომარეობებს მოჰყვა. ასე რომ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია."*

ტერის გარდა, ინგლისელთა ბანაკში იყო კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც სხვებზე მეტად უხაროდა - **პიტერ კრაუჩი**. "პორტსმუთის" აყლაყუდა თავდამსხმელი ნაკრებში გოლით დაბრუნდა და მის აღსანიშნავად, უმალ საფირმო ცეკვა შეასრულა: *"ეს ყველაფერი რიოს (ფერდინანდი) ბრალია. გოლი რომ გავიტანე, მომაძახა, ცეკვა არ დაგავიწყდესო. ძალიან გახარებული ვარ. ინგლისის ნაკრების მაისურით გოლის გატანა საუცხოო გრძნობაა."*

კრაუჩმა კაპელოს მისვლის შემდეგ ინგლისელთა ძირითადში პირველად ითამაშა. ფორვარდი თავის წარმატებას კოლეგა თავდამსხმელების ტრავმებს უნდა უმადლოდეს. ინგლისელებს ერთი-მეორის მიყოლებით დაუშავდათ **ემილ ჰესკი, კარლტონ კოული** და **დარენ ბენტი**. იტალიელ მწვრთნელს კრაუჩის გარდა, მხოლოდ **გაბრიელ აგბონლაორი** ჰყავდა. პიტერი პირობას დებს, რომ ნაკრებში ფეხის მოსაკიდებლად თავდაუზოგავად იმუშავებს.

**ყაზახეთი-ბელარუსი 1:5**

**ანდორა-ხორვატია 0:2**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 5 | 5 | 0 | 0 | 16-4 | 15 |
| 2. ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| 3. უკრაინა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| 4. ბელარუსი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-6 | 6 |
| 5. ყაზახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 6-16 | 3 |
| 6. ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |

## VII ჯგუფი

**საფრანგეთი-ლიტვა 1:0**

ლიტვის ნაკრების დამარცხების წყალობით საფრანგეთის ეროვნული გუნდი მერვე ჯგუფის მეორე პოზიციაზე დამკვიდრდა. აღსანიშნავია, რომ „მამლებს" ბალტიელების დამარცხება ძალიან გაუჭირდათ. თუნდაც ამ გუნდების პირველი შეხვედრა რად ღირს. კაუნასში ფრანგებმა დიდი წვალებით მოიგეს. საშინაო შეხვედრაში მათ დიდი უპირატესობა ჰქონდათ. ფრანგმა ვარსკვლავებმა მრავალი მომენტი შექმნეს, თუმცა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს. ის ბურთი **ფრანკ რიბერის** ანგარიშზე ჩაიწერა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბაიერნის" ლიდერმა ამ საქმეს მხოლოდ 75-ე წუთზე მოაბა თავი, მივხვდებით, რომ მასპინძლებს ძალიან ბევრი სანერვიულო ჰქონდათ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლიტველებს სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდათ. ტრავმის გამო სტუმრებს „სამპდორიას" მცველი **მარიუს სტანკიავიჩუსი** ვერ დაეხმარა. თითქოს ერთი კაცი გუნდის თამაშზე გავლენას არ უნდა ახდენდეს, მაგრამ ლიტვა გრანდთა კატეგორიას არ განეკუთვნება. ამ გუნდს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს და ნებისმიერ ფეხბურთელს განსაკუთრებული როლი აკისრია. მით უმეტეს, სკანკიავიჩუსს, რომელიც ნაკრების ლიდერი გახლავთ. საშინაო შეხვედრაში მარიუსი **დეივიდას ჩესნაუსკასმა** შეცვალა. მან მაშინ საკმაოდ კარგად ითამაშა, მაგრამ საფრანგეთში ველარ იასპარეზა. დეივიდასი გაციებული იყო და მაღალი ტემპერატურა აწუხებდა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სტუმრებს საკადრო პრობლემებმა დამატებითი სირთულეები შეუქმნა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ საფრანგეთმა თამაშში გარდატეხის შეტანა და გამარჯვება შეძლო.

**ავსტრია-რუმინეთი 2:1**

ავსტრიისა და რუმინეთის ნაკრებებს გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია სჭირდებოდათ. ამის გათვალისწინებით, ორივე გუნდი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესოით მიმდინარეობდა. მასპინძლებმა თამაში საკმაოდ ცუდად დაიწყეს და რუმინეთს რამდენიმე მწვავე იერიშის ორგანიზების საშუალება მისცეს. სტუმრებმა ამით კარგად ისარგებლეს და 24-ე წუთზე **კრისტიან ტენასეს** გოლით დაწინაურდნენ, თუმცა მათი სიხარული ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. მალე ავსტრიელმა **ჰოფერმა** წონასწორობა აღადგინა. შესვენებამდე მცირე ხნით ადრე კი ჰოფერმა დუბლი შეასრულა და ავსტრიას გამარჯვება მოუტანა.

მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა **დიტმარ კონსტანტინიმ** უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და გუნდის კაპიტანი **ანდრეს ივანიშიტცი** ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა. კიდევ კარგი, ავსტრიამ მოიგო, თორემ ამ მოულოდნელი ტაქტიკური ნაბიჯისთვის მთავარ მწვრთნელს ტყავს გააძრობდნენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-5 | 12 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| 3. ლიტვა | 6 | 3 | 0 | 3 | 6-5 | 9 |
| 4. ავსტრია | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 5. რუმინეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

## IX ჯგუფი

**შოტლანდია-ისლანდია 2:1**

„ამსტერდამ არენაზე" განცდილი მწარე მარცხის შემდეგ თავმოყვარე შოტლანდიელებს რეაბილიტაცია მართებდათ. **ჯორჯ ბარლიმ** წინა თამაშის შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში კარდინალური ცვლილებები შეიტანა. მიზეზი კი მხოლოდ ის არ ყოფილა, რომ მისი შეგირდები ჰოლანდიელებთან სამარცხვინოდ გამოიყურებოდნენ. საქმე ის არის, რომ **ბარი ფერგიუსონმა** და **ალან მაკგრეგორმა** „წაგებისგან გამოწვეული დარდის" ჩასახშობად დიდი ღრეობა გამართეს. მოგეხსენებათ, ფერგიუსონი ნაკრების კაპიტანია... პრესის წარმომადგენლებს არაფერი გამოჰპარვიათ და შესაბამისად, ბარლიზე ზეწოლა გაათმაგდა. მან, ერთი პირობა, ფეხბურთელთა მოკვეთაც კი განიზრახა, მაგრამ ბოლოს ორივე სათადარიგოთა სკამზე დასვა. ვინიცობაა და კვალიფიციური ფეხბურთელები დასჭირვებოდა? ბარიზე უკეთეს მებრძოლ შოტლანდიელს ხომ ის მთელ დუნიაზე ვერსად ნახავდა. რაც შეეხება მაკგრეგორს, იქნება და სწორედ მას უნდა უთხრას მადლობა ბარლის, რომ არა მისი ლოთობა, რეინჯერსელი ალბათ ისევ ძირითადში იქნებოდა და **კრეიგ გორდონი** გუნდს ვეღარ გადაარჩენდა. ცხადია, რომ არა „სანდერლენდის" ახალი მეკარე, სკოტები შეიძლებოდა ქულას ვერ ღირსებოდნენ. განსაკუთრებით ეს შეხვედრის ბოლო წამებზე მომხდარ ეპიზოდზე ითქმის. კრეიგი სამი ქულის, გადავსებული „ჰემპდენ პარკისა" და შოტლანდიისთვის ორ ყუმბარისებურ დარტყმას ამბრაზურასავით გადაეფარა - ეს თავგანწირვა მას ძვირად დაუჯდა. ფეხბურთელი რამდენიმე წუთი უგონოდ იწვა, ხოლო სტადიონი მის სახელს სკანდირებდა. სწორედ ასეთ დროს იბადება სიყვარული გულშემატკივარსა და ფეხბურთელს შორის.

ჯორჯ ბარლიმ არ აცია, არც აცხელა და ისლანდიელთა წინააღმდეგ სასტარტოში ხუთი ახალი ფეხბურთელი დააყენა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სკოტებს რომ არ ემარჯვათ, პრესა მათი ეროვნული გუნდის დამრიგებელს ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში დასდებდა ბრალს. საბედნიეროდ, ბარლი უფრო კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ვიდრე სხვებს წარმოედგინათ.

შოტლანდიელებმა პირველი 10 წუთი შთამბეჭდავად ითამაშეს, თუმცა საბოლოო ჯამში შეხვედრა მათთვის მაინც რთულად წარიმართა. პირველი გოლი 39-ე წუთზე გავიდა: მარჯვენა მცველი **ალან ჰატონი** მაღალ სისწრაფეზე გასცდა ერთ მეტოქეს, ბურთი საჯარიმოში შეაგდო, სადაც მას **მაკორმაკი** დახვდა და მოჭრილი დარტყმით ბადეში გაახვია. მეორე ტაიმში თავად ჰატონს ჰქონდა მშვენიერი შანსი, გუნდისთვის კომფორტული უპირატესობა დაებევებინა, მაგრამ საიმედოდ ითამაშა ისლანდიელთა მეკარე **გუნლეიფურ გუნლეიფსონმა**. ამის შემდეგ სტუმრებმა ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს: **პალმასონის** დარტყმა გორდონისგან მარჯვენა ძელს მოხვდა და იქვე მდგომ **სიგურდსონს** მიუგორდა - ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა 1:1.

65-ე წუთზე სკოტებმა კუთხური გაათამაშეს. მასპინძლებმა ის საჯარიმოს ცენტრში დააბრუნეს, ბურთს თავით ფლეტჩერი შეხვდა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. რაც შეხვედრის ბოლოს მოხდა, ამის შესახებ უკვე მოგითხრეთ.

**ჰოლანდია-მაკედონია 4:0**

ჰოლანდიას მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურამდე სამი ქულა აკლია. „ნარინჯისფრებმა" ისევ დიდი ანგარიშით მოიგეს და ისევ ძალების ზედმეტი დაძაბვის გარეშე. აშკარაა, რომ გუნდი თავის პოტენციალს ბოლომდე არ ავლენს, რადგან ამ ეტაპზე ეს მას ნამდვილად არ სჭირდება.

ჰოლანდიელებმა ანგარიში მე-16 წუთზე გახსნეს. ვერ გეტყვით, **რობენმა** კარში ურტყამდა თუ არა, მაგრამ ფაქტია, **კუიტმა** ბურთს ფეხი დაუხვედრა და მეკარეს დაბალი ბურთი გაუტანა. ცხრა წუთში თავი გამოიჩინა **კლაას იან ჰუნტელაარმა**. საგოლე კომბინაცია ისევ რობენმა დაიწყო, საჯარიმოში ბურთი შეგდება სცადა, ის ჯერ ერთ მაკედონიელს მოხვდა, მერე მეორეს, საბოლოოდ კი ის ჰუნტელაარს მიუვიდა, მესამე მაკედონიელმა მცველმა „რეალის" თავდამსხმელის ფეხებზე გაილაშქრა, თუმცა ჰუნტიმ ადვილად შეძლო თავის დაღწევა და კუთხის შესამცირებლად გამოსულ მეკარეს ტექნიკურად გადაუგდო ბურთი. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა **ვესლი სნეიდერმა** ცენტრიდან ბურთი საჯარიმოსკენ მოძრავ კუიტს გააყოლა, ლივერპულელი შევიდა საჯარიმოში, უკნიდან წამოწეულ მცველს პატარა ბავშვივით იოლად გაუსწორდა, კარგად დაუმიზნა და შორეულ, დაბალ კუთხეში გაახვია. მეოთხე გოლი კი კურიოზული გამოდგა. კაპიტანმა **ჯოვანი ვან ბრონკხორსტმა** საჯარიმოში **ვან დერ ვაარტი** მონახა, მან უხერხული მოძრაობა გააკეთა და დაეცა. ის იყო, ყველამ გაიფიქრა, ბურთისთვის ბრძოლას შეწყვეტსო, რომ მეკარეს ნაქცეულმა დაურტყა და ფართოდ გაღიმებული დატოვა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 5 | 5 | 0 | 0 | 12-1 | 15 |
| 2. შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 3. ისლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 4. მაკედონია | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 3 |
| 5. ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |



გამოვიდა ახალი ნომერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქე

# აპენინებზე რეფერი და ლიპი გააკრიტიკეს



იტალიის ეროვნულ ნაკრებს ირლანდიასთან პაექრობაში გამარჯვებამდე ხუთიოდე წუთი დააკლდა. ბუნებრივია, აპენინებზე ორი ქულის დაკარგვას სინანულით შეხვდნენ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შეხვედრის მიმდინარეობიდან გამომდინარე, სტუმრები მინიმუმ ქულას იმსახურებდნენ. მთელი მეორე ტაიმი **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდმა მეტოქის ნახევარზე გაატარა და გოლი ნამდვილად დაიმსახურა.

შეხვედრის მთავარი გმირი კი არბიტრი **ვოლფგან შტარკი** გახლავთ, ვინც მატჩის დაწყებიდან მესამე წუთზე მოედნიდან **ჯამპაოლო პაცინი** გააძევა. „სამპდორიას" ახალგაზრდა ფორვარდმა ერთ-ერთი ორთაბრძოლისას **ჯონ ოშის** წარბი გაუხეთქა და ეს უკანასკნელი სისხლში დასვრილი მწვანე მინდორზე დაეცა. ამის შეხედვარე, შტარკმა ჯიბიდან წითელი ბარათი ამოიღო და პაცინის უმკაცრესი სასჯელი გამოუტანა. გერმანელმა რეფერიმ ჯამპაოლოს დებიუტი ჩაუშხამა, დიახ, ეროვნული გუნდის სასტარტოში ახალბედა აძურელი პირველად გამოჩნდა. სანამ თემას განვავრცობდეთ, ბარემ გამცნობთ, რომ ეს გახლდათ უსწრაფესი გაძევება იტალიის ნაკრების ხანგრძლივ და მრავლისმნახველ ისტორიაში, პაცინიმ **ჯორჯო ფერინის** რეკორდი დაამხო, რომელიც 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩილესთან შეხვედრაში მოედნიდან მე-9 წუთზე მიაბრძანეს.

პაცინის გაძევებამ დიდი გავლენა იქონია შეხვედრის მსვლელობაზე და ეს ცხადზე ცხადია. სკუადრა აძურამ ბოლო წლებში ყველაზე უფრო დაცვითი ფეხბურთი ითამაშა და ნამდვილი კატენაჩო გაგვახსენა. შტარკს იტალიურმა პრესამ კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა თავს და უნდა ითქვას, რომ სამართლიანადაც. როგორც ჩანს, გერმანელი არბიტრი სისხლმა შეაშინა, წერს "გაძეტა დელო სპორტი" და ამას ირონიულ ქვეტექსტს აძლევს. მართლაც და ამ სისხლიანი ეპიზოდის უკან ერთი ჩვეულებრივი ორთაბრძოლა იმალება, რომელიც აძურასთვის ასეთი მძიმე შედეგით დასრულდა. პაცინი მაღალი ბურთისთვის საჰაერო ბრძოლაში შევიდა და მეტოქეს იდაყვი მოარტყა, მისდა საუბედუროდ, ყველაზე სუსტ ადგილას, წარბში. შტარკი **მარჩელო ლიპიმაც** გააკრიტიკა, მოვუსმინოთ მას:

*"ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე აბსურდული გადაწყვეტილება, რომელიც მსაჯს ოდესმე მიუღია. პაცინი უბრალოდ იბრძოდა და მეტოქეს ხელი შემთხვევით მოარტყა. თანაც, ოშის ძლიერი დარტყმა არ მიუღია, უბრალოდ ცუდ ადგილას მოხვდა იდაყვი. შტარკს მეტი ყურადღებით მართებდა ყოფნა, მან მთელი თამაში გააფუჭა. 90 წუთის განმავლობაში კაცნაკლულნი ვიყავით, ასეთი რამ ჩემს სამწვრთნელო კარიერაში არ მახსენდება. იმედია, ასეთი სისულელე მომავალში აღარ განმეორდება.*

*გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ და ვგრძნობ, რომ სწორი კურსით მივდივართ. ფეხბურთელებმა თავი არ დაზოგეს და გამარჯვებისთვის ყველაფერი გააკეთეს. დიახ, მეორე ტაიმში მეტოქე საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და მოგებაც შეეძლო, მაგრამ ეს გასაგები მიზეზების გამო მოხდა. დასანანია, რომ გამარჯვება ბოლო წუთებზე გამოგვგლიჯეს ხელიდან, სამი ქულა დამშვიდების საბაბს მოგვცემდა. ვის გამოვარჩევდი? – ვინჩენცო იაკვინტას, ვინც მოედანზე კოლოსალური შრომა გასწია. პაცინის გაძევების შემდეგ, შეტევის მთელი ტვირთი დააწვა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვა. შეტევაშიც იყო და დაცვაშიც, რამდენჯერმე მეტოქის კარგი იერიში ჩაშალა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრია. ბოლო წუთებზე კონცენტრაცია დავკარგეთ, რაც ორ ქულად დაგვიჯდა. ეგ კი არა, მეტოქეს ცოტა მეტი ყურადღებით რომ ეთამაშა დამაგვირგვინებელ ფაზაში, შესაძლოა თამაში წაგვეგო კიდეც. ამ ხარვეზებზე აუცილებლად ვიმუშავებთ და შედეგს უკვე მომდევნო შეხვედრაში ნახავთ".*

იტალიელი ჟურნალისტები მსაჯის კრიტიკას ერთხმად უერთდებიან, მაგრამ გარკვეული პრეტენზიები ლიპისთანაც აქვთ. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მარჩელო არასწორ საკადრო პოლიტიკას ატარებს და არაერთ ისეთ ფეხბურთელს იწვევს, რომელიც ეროვნული გუნდისთვის ჯერ არ გაზრდილა. შეხვედრის მეორე ნახევარში, ირლანდია აძურას ძალიან დააწვა და ეს კაცნაკლულობასთან ერთად, იტალიის ნაკრების შუა ხაზის სისუსტით გახლდათ განპირობებული. **პალომბო** და **ბრიგი** ბურთის დაჭერის ასპექტში ძალიან მოიკოჭლებენ და ეს ოთხშაბათის შეხვედრაში თვალნათლივ გამოჩნდა. **პირლო** და **დე როსი** მეტოქის მობილურ შუახაზელებს ვერ გაუმკლავდნენ. შედეგად, სტუმრებმა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მიიღეს. ლიპის თქმის არ იყოს, ირლანდიელებს რომ მეტი სიზუსტე გამოეჩინათ დამაგვირგვინებელ ფაზაში, შეხვედრა სკუადრა აძურასთვის კატასტროფული შედეგით დასრულდებოდა. დაახლოებით ასეთი პათოსის გახლდათ დანიელე დე როსის კომენტარიც:

*"პაცინის გაძევება შეცდომა იყო და ამაზე მგონი ყველანი ვთანხმდებით. მესამე წუთზე გუნდი კაცნაკლული დატოვო, ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია. თუმცა ამ თემაზე დიდ ხანს საუბარი უაზრობად მიმაჩნია, ჯობია, შეცდომები გავაანალიზოთ და წინ გავიხედოთ. მიუხედავად კაცნაკლულობისა, მეტოქისთვის ასეთი უპირატესობა არ უნდა მიგვეცა. მოედნის ცენტრში ბურთზე კონტროლი რომ დაგვეწესებინა, თამაში სხვაგვარად წარიმართებოდა. ირლანდიის ნაკრები ჩვენი მთავარი კონკურენტია და გამარჯვებას ვგეგმავდით, თუმცა არც ფრეა ის შედეგი, რომელიც მიზნის მიღწევას ძალიან გაგვირთულებს. მთავარია, კონცენტრაცია არ დავკარგოთ და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ".*

ასეთი "ჩვენი ფეხბურთი" კი აპენინებზე უკვე ბევრს არ მოსწონს და თუ ვითარება არ შეიცვალა, ლიპის მისამართით კრიტიკა აუცილებლად მოიმატებს. იტალია ძალიან პროგნოზირებად ფეხბურთს თამაშობს, რასაც პროგნოზირებადი ფეხბურთელები განაპირობებენ. სად არის **დელ პიერო**? **კასანო**? ან თუნდაც რატომ არ ითამაშა გამოძახებულმა **ჯუზეპე როსიმ**? ვინც ტექნიკური არსენალით იმავე ვინჩენცო იაკვინტას ბევრად აღემატება. ამ კითხვებზე ლიპი პასუხს არ იძლევა და ერთსა და იმავეს იმეორებს – *"ნუ ერევით ჩემს საქმიანობაში"*.

მაესტროს მიმართ აპენინებზე ნდობა განუსაზღვრელია და დადებითი შედეგის ყველას სწამს, მაგრამ ფეხბურთში არის კიდევ სანახაობრივი მხარე, რომელიც აძურას თამაშში სადღაც გაქრა. გავიხსენოთ ლიპის ნაკრები 2006 წლის მუნდიალზე, რომელიც გერმანიასთან პაექრობაში ოთხი ნომინალური თავდამსხმელით უტევდა და მოედანზე ერთდროულად გახლდნენ **ფრანჩესკო ტოტი** და ალესანდრო დელ პიერო. ჟურნალისტთა ასეთ შეშფოთებას არ უერთდება **ფაბიო კანავარო**, მომავალს ოპტიმიზმით უყურებს და ტიფოზებს ხარვეზების გამოსწორებას ჰპირდება:

*"სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივრებს მადლობა მინდა გადავუხადო და დავპირდე, რომ ნაკრების მონაწილეობით მომავალში უკეთეს ფეხბურთს იხილავენ. ის, რომ თამაშის უდიდესი ნაწილი საკუთარ საჯარიმოში გავატარეთ, დიდწილად რეფერის ბრალია. მესამე წუთზე გუნდი კაცნაკლული დატოვა, რისი ახსნაც ძალიან მიჭირს. იმედია, იხილავს იმ ეპიზოდს განმეორებით და მიხვდება, რომ შეცდა. შედეგით უკმაყოფილო ვარ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა. ჯგუფში პირველ ადგილს ერთპიროვნულად ვიკავებთ და ლიდერობის დათმობას არ ვაპირებთ.*

*მარჩელო ლიპის აღებულ კურსს ბოლომდე ვეთანხმები. მას კარი არავისთვის აქვს დაკეტილი და ვინც ოპტიმალურ ფორმაში იქნება, ეროვნულ გუნდში ის მოხვდება. ახალი ფეხბურთელების ინტეგრაცია კი ძალზე საჭირო პროცესია. ამის გარეშე წინ ვერ წავალთ. ვერ ვხდები, რატომ აკრიტიკებენ ამის გამო მარჩელო ლიპის. პირადად მათი თამაშით კმაყოფილი ვარ და მგონია, რომ ეროვნულ გუნდში თავის დამკვიდრების ჩინებული შესაძლებლობა აქვთ".*

ისე როგორ იქნება, რომ სიტყვა **ჯოვანი ტრაპატონის** არ გადავცეთ. ირლანდიის ნაკრების თავკაცმა ჯერ იმაზე ისაუბრა, თუ რას განიცდიდა იტალიის ჰიმნის მოსმენისას:

*"გრძნობა ისეთივე იყო, როგორც ნებისმიერ სხვა დროს. მე იტალიელი ვარ და გოფრედო მამელის ამ გენიალურ ქმნილებას ყოველთვის სიამაყით ვუსმენ. ამას არაფერი შეცვლის, სადაც არ უნდა ვცხოვრობდე და ვმუშაობდე. რაც შეეხება თამაშს, ვფიქრობ, რომ ქულა დავიმსახურეთ. დიახ, მეტოქე კაცნაკლული იყო, მაგრამ სამაგიეროდ, საკუთარ კედლებში თამაშობდა. ცოტა რომ გაგვმართლებოდა, შეხვედრას მოვიგებდით და სატურნირო მდგომარეობას კიდევ უფრო გავიუმჯობესებდით. რაც შეეხება პაცინის გაძევებას, აქ ერთი რამ უნდა ვთქვა – ჩემი აზრით, მსაჯის გადაწყვეტილებაზე არ უნდა იქონიოს გავლენა იმან, თუ რომელი წუთია წესების დარღვევის დროს. დარღვევა დარღვევაა და დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ეპიზოდი კარგად არ მინახავს, თუმცა ფაქტია, რომ ჯონ ოში კინაღამ სისხლისგან დაიცალა. ჯამპაოლო ახალგაზრდაა, ემოციური და მისი საქციელი არ მიკვირს. იმედია, მომავალში უფრო ყურადღებით ითამაშებს. ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის და შეგირდების მისამართით, სასაყვედურო არაფერი მაქვს".*

**ლაშა ნიკლაური**







William HILL

## უილიამ ჰილის კოეფიციენტები

### ინგლისი. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Blackburn-Tottenham | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Apr 09 | Arsenal-Man City | 1.44 | 3.60 | 6.50 |
| 4 Apr 09 | Bolton-Middlesbrough | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 4 Apr 09 | Hull-Portsmouth | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Apr 09 | Newcastle-Chelsea | 5.00 | 3.50 | 1.57 |
| 4 Apr 09 | West Brom-Stoke | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 4 Apr 09 | West Ham-Sunderland | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Fulham-Liverpool | 5.00 | 3.50 | 1.57 |
| 5 Apr 09 | Everton-Wigan | 1.73 | 3.20 | 4.33 |
| 5 Apr 09 | Man Utd-Aston Villa | 1.36 | 3.75 | 8.00 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Barnsley-Nottm Forest | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Blackpool-Plymouth | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Coventry-Reading | 2.90 | 3.20 | 2.15 |
| 4 Apr 09 | Derby-Burnley | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Apr 09 | Doncaster-Watford | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 4 Apr 09 | Norwich-Sheff Wed | 2.05 | 3.20 | 3.10 |
| 4 Apr 09 | QPR-C Palace | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Sheff Utd-Ipswich | 1.83 | 3.20 | 3.75 |
| 4 Apr 09 | Southampton-Charlton | 1.91 | 3.40 | 3.25 |
| 4 Apr 09 | Bristol City-Preston | 2.15 | 3.20 | 2.90 |
| 5 Apr 09 | Cardiff-Swansea | 1.95 | 3.10 | 3.50 |

### ინგლისი. I ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Cheltenham-Leyton | 2.37 | 3.30 | 2.50 |
| 4 Apr 09 | Colchester-Leeds | 2.80 | 3.20 | 2.20 |
| 4 Apr 09 | Hartlepool-Hereford | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | Huddersfield-Southend | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 4 Apr 09 | Leicester-Carlisle | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 4 Apr 09 | Millwall-Walsall | 1.60 | 3.40 | 4.80 |
| 4 Apr 09 | MK Dons-Brighton | 1.57 | 3.50 | 5.00 |
| 4 Apr 09 | Oldham-Peterborough | 2.75 | 3.20 | 2.25 |
| 4 Apr 09 | Stockport-Yeovil | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 4 Apr 09 | Swindon-Crewe | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 5 Apr 09 | Tranmere-Br.Rovers | 1.83 | 3.20 | 3.75 |

### ინგლისი. II ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Accrington-Lincoln | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 4 Apr 09 | Aldershot-Rotherham | 2.60 | 3.10 | 2.40 |
| 4 Apr 09 | Bournemouth-Rochdale | 2.62 | 3.20 | 2.30 |
| 4 Apr 09 | Bradford-Brentford | 2.25 | 3.20 | 2.75 |
| 4 Apr 09 | Darlington-Morecambe | 2.15 | 3.30 | 2.80 |
| 4 Apr 09 | Exeter-Dag & Red | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Gillingham-Barnet | 1.61 | 3.50 | 4.50 |
| 4 Apr 09 | Macclesfield-Chesterfield | 2.80 | 3.20 | 2.20 |
| 4 Apr 09 | Notts County-Chester | 1.67 | 3.40 | 4.33 |
| 4 Apr 09 | Port Vale-Bury | 3.00 | 3.20 | 2.10 |
| 4 Apr 09 | Shrewsbury-Grimsby | 1.67 | 3.40 | 4.33 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Dundee Utd-Hibernian | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Celtic-Hamilton | 1.17 | 5.50 | 12.00 |
| 4 Apr 09 | Hearts-Kilmarnock | 1.53 | 3.50 | 5.50 |
| 4 Apr 09 | Inverness-St Mirren | 2.05 | 3.20 | 3.10 |
| 4 Apr 09 | Motherwell-Aberdeen | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Falkirk-Rangers | 7.00 | 4.00 | 1.36 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Airdrie-Dunfermline | 2.60 | 3.30 | 2.30 |
| 4 Apr 09 | Clyde-Livingston | 2.62 | 3.50 | 2.20 |
| 4 Apr 09 | Morton-Dundee | 2.40 | 3.40 | 2.40 |
| 4 Apr 09 | Queen-Ross County | 2.20 | 3.30 | 2.70 |
| 4 Apr 09 | St Johnstone-Partick | 1.83 | 3.40 | 3.50 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Alloa-Peterhead | 2.50 | 3.40 | 2.30 |
| 4 Apr 09 | Ayr-Stirling | 1.61 | 3.60 | 4.33 |
| 4 Apr 09 | Brechin-Queens Park | 1.91 | 3.50 | 3.20 |
| 4 Apr 09 | East Fife-Arbroath | 1.91 | 3.50 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Stranraer-Raith | 9.00 | 5.50 | 1.20 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Annan Ath-Montrose | 1.91 | 3.50 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Berwick-Albion | 2.00 | 3.40 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Cowdenbeath-Elgin | 1.20 | 5.50 | 9.00 |
| 4 Apr 09 | Forfar-East Stirling | 2.50 | 3.40 | 2.30 |
| 4 Apr 09 | Stenhousemuir-Dumbarton | 2.50 | 3.40 | 2.30 |

### იტალია სერია A

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5 Apr 09 | Primorje-Drava | 1.90 | 3.15 | 3.60 |
| 5 Apr 09 | Atalanta-Fiorentina | 2.50 | 2.90 | 2.62 |
| 5 Apr 09 | Juventus-Chievo | 1.30 | 4.20 | 8.50 |
| 5 Apr 09 | Palermo-Torino | 1.67 | 3.30 | 4.50 |
| 5 Apr 09 | Cagliari-Catania | 1.91 | 3.00 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Reggina-Genoa | 2.90 | 2.90 | 2.30 |
| 5 Apr 09 | Siena-Lazio | 2.37 | 2.87 | 2.80 |
| 5 Apr 09 | Roma-Bologna | 1.44 | 3.60 | 6.50 |
| 5 Apr 09 | Sampdoria-Napoli | 1.91 | 3.00 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Udinese-Inter Milan | 4.33 | 3.20 | 1.73 |
| 5 Apr 09 | AC Milan-Lecce | 1.25 | 4.50 | 10.00 |

### ესპანეთი. პრიმერადივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Ath Bilbao-Mallorca | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Betis-Numancia | 1.57 | 3.50 | 5.00 |
| 4 Apr 09 | Rec de Huelva-Sevilla | 3.20 | 3.20 | 2.00 |
| 4 Apr 09 | Almeria-Villarreal | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Ap 09r | Valladolid-Barcelona | 6.50 | 4.00 | 1.40 |
| 4 Apr 09 | Malaga-Real Madrid | 4.00 | 3.40 | 1.73 |
| 5 Apr 09 | Atl Madrid-Osasuna | 1.61 | 3.50 | 4.50 |
| 5 Apr 09 | Espanyol-Deportivo | 2.25 | 3.20 | 2.75 |
| 5 Apr 09 | Valencia-Getafe | 1.73 | 3.40 | 4.00 |
| 5 Apr 09 | Gijon-Santander | 2.37 | 3.10 | 2.62 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Cordoba-Huesca | 2.35 | 2.90 | 2.80 |
| 4 Apr 09 | Las Palmas-Castellon | 2.25 | 2.90 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Rayo Vallecano-Tenerife | 2.15 | 2.90 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Real Sociedad-Gimnastic | 1.80 | 3.10 | 4.00 |
| 4 Apr 09 | Zaragoza-Girona | 1.50 | 3.30 | 6.50 |
| 5 Apr 09 | Murcia-Xerez | 2.50 | 2.90 | 2.60 |
| 5 Apr 09 | Albacete-Alicante | 1.85 | 3.00 | 4.00 |
| 5 Apr 09 | Levante-Eibar | 1.65 | 3.20 | 4.80 |
| 5 Apr 09 | Elche-Alaves | 1.90 | 3.00 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Hercules-Sevilla At. | 1.25 | 5.00 | 8.00 |
| 5 Apr 09 | Salamanca-Celta Vigo | 1.80 | 3.10 | 4.00 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Bielefeld-Schalke | 3.20 | 3.20 | 2.00 |
| 4 Apr 09 | FrankfurtCottbus | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | HamburgHoffenheim | 1.73 | 3.40 | 4.00 |
| 4 Apr 09 | BochumStuttgart | 2.75 | 3.20 | 2.25 |
| 4 Apr 09 | Hertha BerlinDortmund | 1.91 | 3.25 | 3.40 |
| 4 Apr 09 | WolfsburgBayern Munich | 2.60 | 3.10 | 2.40 |
| 5 Apr 09 | FC KolnLeverkusen | 2.90 | 3.20 | 2.15 |
| 5 Apr 09 | KarlsruheM'gladbach | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 5 Apr 09 | Werder BremenHannover | 1.40 | 3.75 | 7.00 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Augsburg-Ingolstadt | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 3 Apr 09 | Duisburg-Mainz | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 3 Apr 09 | Nurnberg-Koblenz | 1.50 | 3.60 | 5.50 |
| 5 Apr 09 | 1860 Munich-Osnabruck | 1.70 | 3.30 | 4.20 |
| 5 Apr 09 | Aachen-Greuther Furth | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Hansa-FSV Frankfurt | 1.90 | 3.20 | 3.50 |
| 5 Apr 09 | Kaisersl.-Oberhausen | 1.50 | 3.60 | 5.50 |
| 5 Apr 09 | Wehen-St Pauli | 2.50 | 3.10 | 2.50 |

### საფრანგეთი I დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Grenoble-Lorient | 2.25 | 2.87 | 3.00 |
| 4 Apr 09 | Le Mans-Lyon | 4.00 | 3.00 | 1.83 |
| 4 Apr 09 | Monaco-Le Havre | 1.50 | 3.40 | 6.00 |
| 4 Apr 09 | Bordeaux-Nancy | 1.44 | 3.60 | 6.50 |
| 4 Apr 09 | Nantes-Lille | 2.75 | 2.90 | 2.40 |
| 4 Apr 09 | Valenciennes-Auxerre | 2.15 | 2.87 | 3.25 |
| 4 Apr 09 | Caen-Toulouse | 2.80 | 2.87 | 2.37 |
| 5 Apr 09 | Paris S.G.-Nice | 1.61 | 3.30 | 5.00 |
| 5 Apr 09 | Sochaux-Rennes | 2.60 | 2.80 | 2.60 |
| 5 Apr 09 | St Etienne-Marseille | 3.00 | 2.87 | 2.25 |

### საფრანგეთი II დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Bastia-Chateauroux | 1.90 | 3.00 | 3.75 |
| 3 Apr 09 | Boulogne-Nimes | 1.80 | 3.10 | 4.00 |
| 3 Apr 09 | Guingamp-Troyes | 1.80 | 3.10 | 4.00 |
| 3 Apr 09 | Dijon-Sedan | 2.40 | 2.90 | 2.75 |
| 3 Apr 09 | Montpellier-Clermont | 1.65 | 3.10 | 5.00 |
| 3 Apr 09 | Tours-Angers | 2.05 | 2.90 | 3.40 |
| 3 Apr 09 | Reims-Vannes | 2.20 | 3.00 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Metz-Brest | 1.53 | 3.25 | 6.00 |
| 5 Apr 09 | Strasbourg-Ajaccio | 1.65 | 3.10 | 5.00 |
| 6 Apr 09 | Amiens-Lens | 2.90 | 2.90 | 2.30 |
| 5 Apr 09 | Metz-Brest | 1.53 | 3.25 | 6.00 |
| 5 Apr 09 | Strasbourg-Ajaccio | 1.65 | 3.10 | 5.00 |
| 6 Apr 09 | Amiens-Lens | 2.90 | 2.90 | 2.30 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Nijmegen-Twente | 3.40 | 3.50 | 1.83 |
| 4 Apr 09 | Utrecht-Groningen | 2.30 | 3.30 | 2.60 |
| 4 Apr 09 | Heracles-Heerenveen | 3.75 | 3.30 | 1.80 |
| 4 Apr 09 | AZ Alkmaar-Den Haag | 1.14 | 6.00 | 12.00 |
| 4 Apr 09 | Sparta -PSV | 4.80 | 3.40 | 1.60 |
| 5 Apr 09 | Roda JC-Ajax | 5.50 | 3.60 | 1.50 |
| 5 Apr 09 | Vitesse-De Graafschap | 1.60 | 3.40 | 4.80 |
| 5 Apr 09 | Willem II-NAC Breda | 2.62 | 3.30 | 2.25 |
| 5 Apr 09 | Volendam-Feyenoord | 3.75 | 3.20 | 1.83 |

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Banik Ostrava-Plzen | 1.67 | 3.40 | 4.33 |
| 4 Apr 09 | Zlin-Teplice | 2.62 | 2.87 | 2.50 |
| 5 Apr 09 | Jablonec-Ceske Budejovice | 1.70 | 3.30 | 4.33 |
| 5 Apr 09 | Bohemians -Pribram | 2.20 | 3.00 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Kladno-FC Brno | 2.62 | 2.87 | 2.50 |
| 5 Apr 09 | Mlada-Viktoria | 1.60 | 3.40 | 4.80 |
| 5 Apr 09 | Olomouc-Slavia | 3.10 | 2.90 | 2.20 |

### იაპონია J-ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Gamba Osaka-Hiroshima | 1.50 | 3.60 | 5.50 |
| 4 Apr 09 | Kashima-Kyoto | 1.33 | 4.00 | 8.00 |
| 4 Apr 09 | Kawasaki-Nagoya | 2.37 | 3.10 | 2.62 |
| 4 Apr 09 | Niigata-Yokohama FM | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | Urawa-Oita | 1.61 | 3.50 | 4.50 |
| 4 Apr 09 | Iwata-Tokyo | 2.62 | 3.10 | 2.37 |
| 4 Apr 09 | Kashiwa-Omiya | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 5 Apr 09 | Yamagata-Chiba | 2.15 | 3.20 | 2.87 |
| 5 Apr 09 | Kobe-Shimizu | 2.50 | 3.10 | 2.50 |

### აშშ. მეიჯორ ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Salt Lake-Columbus | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 4 Apr 09 | -Toronto FC-Seattle | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 5 Apr 09 | D. C. United-Dynamo | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 5 Apr 09 | New England-Dallas | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Los Angeles-Colorado | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 5 Apr 09 | Chicago Fire-Red Bulls | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 5 Apr 09 | Kansas City-San Jose | 2.30 | 3.10 | 2.70 |

### პოლონეთი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Piast Gliwice-Gornik | 2.80 | 3.10 | 2.25 |
| 3 Apr 09 | Arka Gdynia-Legia | 3.10 | 3.10 | 2.10 |
| 4 Apr 09 | Odra-Lechia Gdansk | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | Cracovia-Ruch | 1.90 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Belchatow-Slask | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 4 Apr 09 | Polonia-Polonia | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 5 Apr 09 | Jagiellonia-Lodz | 1.73 | 3.30 | 4.20 |
| 5 Apr 09 | Lech Poznan-Wisla | 1.95 | 3.20 | 3.30 |

### პორტუგალი. სუპერ ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Guimaraes-Porto | 3.80 | 3.15 | 1.85 |
| 5 Apr 09 | Maritimo-Trofense | 1.55 | 3.45 | 5.40 |
| 5 Apr 09 | Setubal-Braga | 3.10 | 2.90 | 2.20 |
| 5 Apr 09 | Naval-Pacos Ferreira | 2.10 | 2.90 | 3.30 |
| 5 Apr 09 | Leixoes-Sport. Lisbon | 3.90 | 3.20 | 1.80 |
| 5 Apr 09 | Amadora-Benfica | 4.90 | 3.40 | 1.60 |

### რუმინეთი I ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Farul Constanta-Poli Iasi | 1.90 | 3.10 | 3.60 |
| 3 Apr 09 | Unirea-Otopeni | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 3 Apr 09 | Din. Buch.-Rapid | 2.00 | 3.00 | 3.45 |
| 4 Apr 09 | Poli Timisoara-Gloria | 1.15 | 5.75 | 13.00 |
| 4 Apr 09 | Arges Pitesti-Pandurii | 1.70 | 3.30 | 4.30 |
| 4 Apr 09 | CFR Cluj-Vaslui | 1.60 | 3.40 | 4.90 |
| 4 Apr 09 | Steaua-Gloria | 1.30 | 4.20 | 8.50 |
| 5 Apr 09 | Otelul-Craiova | 2.50 | 3.10 | 2.50 |
| 5 Apr 09 | FC Brasov-Gaz | 1.55 | 3.40 | 5.50 |

### რუსეთი. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Khimki-Rostov | 1.85 | 3.00 | 4.00 |
| Apr 09 | Terek-Din. Moscow | 2.60 | 2.70 | 2.70 |
| 4 Apr 09 | Rubin-FC Moscow | 1.65 | 3.30 | 4.60 |
| 4 Apr 09 | Saturn-Kuban | 1.80 | 3.10 | 4.10 |
| 5 Apr 09 | Tomsk-Zenit | 3.60 | 2.90 | 2.00 |
| 5 Apr 09 | Lokomotiv-Kryliya | 1.95 | 2.90 | 3.75 |
| 5 Apr 09 | Amkar-CSKA Moscow | 3.80 | 3.00 | 1.90 |
| 5 Apr 09 | Spartak-Nalchik | 1.35 | 4.00 | 7.50 |

### სერბეთი სუპერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Borac Cacak-Jagodina | 1.70 | 3.10 | 4.70 |
| 4 Apr 09 | Red Star-Cukaricki | 1.20 | 5.20 | 10.00 |
| 4 Apr 09 | Javor-Rad | 1.90 | 3.00 | 3.80 |
| 4 Apr 09 | OFK Belgrade-Kula | 1.70 | 3.10 | 4.70 |
| 4 Apr 09 | Vojvodina-Napredak | 1.40 | 3.60 | 7.50 |
| 4 Apr 09 | Partizan Belgrade-Banat | 1.12 | 6.00 | 15.00 |

### სლოვაკეთი. სუპერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | FC Kosice-Ruzomberok | 1.90 | 3.20 | 3.50 |
| 4 Apr 09 | Art. Petrzalka-Tatran | 1.50 | 3.50 | 5.80 |
| 4 Apr 09 | Slovan-Banska Bystrica | 1.25 | 4.50 | 10.00 |
| 4 Apr 09 | Nitra-Dunajska Streda | 1.85 | 3.15 | 3.80 |
| 4 Apr 09 | Zilina-Zlate Moravce | 1.20 | 5.20 | 10.00 |
| 5 Apr 09 | Spartak Trnava-Dubnica | 1.40 | 3.75 | 7.00 |

### სლოვენია

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 4 Apr 09 | Domzale-Rudar Velenje | 1.55 | 3.50 | 5.20 |
| 4 Apr 09 | Nafta-Koper | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 4 Apr 09 | NK Celje-NK Ljubljana | 2.00 | 3.15 | 3.25 |
| 4 Apr 09 | NK Maribor-Gorica | 1.45 | 3.60 | 6.50 |
| 5 Apr 09 | Primorje-Drava | 1.90 | 3.15 | 3.60 |

### ირლანდია. პრემიერ დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Bohemians-Cork | 1.70 | 3.30 | 4.33 |
| 3 Apr 09 | Bray-St Patricks | 3.30 | 3.10 | 2.00 |
| 3 Apr 09 | Drogheda-Shamrock | 3.10 | 3.10 | 2.10 |
| 4 Apr 09 | Rovers-Dundalk | 2.20 | 3.10 | 2.87 |

### ირლანდია. პირველი დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 3 Apr 09 | Mervue-Shelbourne | 6.00 | 3.40 | 1.50 |
| 3 Apr 09 | Sporting-Finn Harps | 1.36 | 3.75 | 8.00 |
| 3 Apr 09 | UCD-Kildare | 1.20 | 5.00 | 11.00 |

გერმანიის ნაკრები. სკანდალი

# პოდოლსკიმ ბალაკს სილა გააწნა!

## პოლდი კაპიტანს ხელით შეეხო და ამისთვის არავინ სჯის

გერმანიის ნაკრებმა უელსთან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა (2:0), მაგრამ მეორე დღეს მთელი საფეხბურთო გერმანია ერთ მომენტზე ბჭობდა და კერძოდ იმ სცენაზე, როცა **ლუკას პოდოლსკიმ** გუნდის კაპიტან **მიხაელ ბალაკს** სახეში გაარტყა! ზოგადად, გუნდის კაპიტანი ხელშეუხებელია - ეს დაუწერელი კანონია. თუკი კაპიტანი თავის სიმაღლეზე დგას, ასეთ რამეს ვერც ერთი თანაგუნდელი ვერ გაუბედავს და თუ მაინც გაუბედა, ისეთ პასუხს მიიღებს, რომ ცხოვრების ბოლომდე სანანებელი ჰქონდეს. ახლა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა დღე დაადგებოდა პოდოლსკის, ასეთი რამ „ბაიერნში" **ოლივერ კანისთვის** რომ ექნა... მაგრამ პოლდი ოლის ასეთ რამეს ვერ გაუბედავდა, ბალაკს კი გაუბედა. ყველაზე მთავარი კი ამ შემთხვევაში ის არის, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა პოდოლსკის ეს საქციელი აპატია. ბუნდესგუნდის მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფის** თქმით, „ბაიერნის" თავდამსხმელი არ დაისჯება.

საკითხავია, რატომ არ უნდა დაეკისროს ლუკასს სანქციები? ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრების სხვა ფეხბურთელები შედარებით მსუბუქი დანაშაულების გამო ყოველთვის მკაცრად ისჯებოდნენ, პოდოლსკიმ კი, სხვა თუ არაფერი, გუნდის კაპიტანს სახალხოდ სახეში გაარტყა! და საკითხავია, რატომ სარგებლობს საერთოდ ეს ფეხბურთელი უპირატესობებით? მიუხედავად იმისა, რომ კლუბში გოლები საერთოდ ვერ გააქვს და მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხეხავს, ნაკრებში ყოველთვის იძახებენ და ათამაშებენ. ორ წელიწადზე მეტია, ფეხბურთი ხეირიანად არ უთამაშია, მაგრამ იოახიმ ლიოვი მაინც მის ფანად ასაღებს თავს. ახლა კი, არც იმის გამო სჯიან, რომ ბალაკს სილა გააწნა?

1994 წელს **შტეფან ეფენბერგი** შუა თითის ჩვენებისთვის გერმანიის ნაკრებიდან გაძევებით დაისაჯა!

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს (მექსიკაში), ბუნდესფეხბურთელი **ული შტაინი** ნაკრებიდან იმის გამო გააგდეს, რომ მთავარ მწვრთნელ **ფრანც ბეკენბაუერს** „სუფის კასპერი" უწოდა.

ცოტა ხნის წინ ლიოვმა გუნდიდან ფაქტობრივად სამუდამოდ მოკვეთა **კევინ კურანი**. მიზეზი: „შალკეს" თავდამსხმელმა რუსეთთან მატჩის დროს, რომელშიც განაცხადშიც კი არ შეიყვანეს, პირველი ტაიმის შემდეგ სტადიონი დატოვა და სახლში წავიდა. კურანი დაბრუნებას იხვეწება, ლიოვი კი ამბობს, არ უნდა მიექარა, სანამ ნაკრების მწვრთნელი ვარ, კურანის ბუნდესგუნდში ვერავინ იხილავსო...

ახლა კი პოდოლსკის შემთხვევა და ლუკასი დაუსჯელი რჩება. მაინც რა მოხდა 67-ე წუთზე? მიუხედავად იმისა, რომ გერმანია 2:0-ს იგებდა, პოდოლსკიმ და ბალაკმა უცებ დისკუსია წამოიწყეს, რომელიც ფაქტობრივად ჩხუბში გადაიზარდა. ჯერ კაპიტანი უყვიროდა პოდოლსკის, მერე კი ლუკასი უყვიროდა ბალაკს და როცა მიხაელი ხელებით მის გაწევას ცდილობდა, პოლდიმ სახეში სილა გააწნა. ამ მომენტში კინკლაობაში **პერ მერტეზაკერი** და **ფილიპ ლამი** ჩაერიენ - სიტუაცია განმუხტეს.

საინტერესოა ის, რომ პირველ ტაიმში, როდესაც ბალაკმა გენიალური გოლით ანგარიში გახსნა, მას წარმატება პირველად სწორედ პოდოლსკიმ მიულოცა და საერთოდ, აქამდე არ ყოფილა რაიმე ისეთი შემთხვევა, რაც ეჭვს გამოიწვევდა, რომ ლუკასი და მიხაელი ერთმანეთს ვერ იტანენ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ პოდოლსკი ზოგადად ძალიან აფექტური პიროვნებაა და არაერთხელ გამორჩეულა არასპორტული საქციელით - თუნდაც გერმანიისა და საქართველოს ამხანაგური მატჩი გავიხსენოთ (2:0), სადაც პოდოლსკიმ **ზურაბ ხიზანიშვილს** ჩაარტყა, რის გამოც წითელი ბარათი აუფრიალეს.

მატჩის შემდეგ შეურაცხყოფილი ბალაკი არისტოკრატიულად მოიქცა, ზუსტად ისე, როგორც ლონდონის „ჩელსის" ფეხბურთელს შეეფერება - პოდოლსკიზე აგრესიულად არ უსაუბრია. *„ლუკასი ახალგაზრდა ფეხბურთელია და ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი. მხოლოდ ფეხბურთის თამაში არ კმარა, მოთამაშემ უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს სტადიონზე. რაც შეეხება უშუალოდ სიტუაციას, მასთან შენიშვნები მქონდა, რაც ვუთხარი კიდეც. ის კი არ დამეთანხმა. საქმე ეხებოდა ტაქტიკურ დეტალებს. მე გუნდის კაპიტანი ვარ და მაქვს იმის უფლება, რომ ფეხბურთელებს ტაქტიკური შენიშვნები მივცე. პოდოლსკის უნდა მოესმინა და ჩემი შენიშვნები გაეთვალისწინებინა. მას არ აქვს იმის უფლება, რომ ხელით შემეხოს!"* - თქვა ბალაკმა.

რაც შეეხება პოდოლსკის მატჩისშემდგომ კომენტარს, მისი განმარტება ცოტათი გაუგებარია: *„ყველაფერი პირველ ტაიმში დაიწყო. მიხაელისგან მეტ პასს მოველოდი და მოვითხოვდი. მეორე ტაიმში კი რალაცეები დამიწყო, ასე და ისე მოიქეციო. შესვენებაზე ერთმანეთთან არ გვილაპარაკია. ყველაფერს სასტუმროში გავარკვევთ!"*



„ბილდის" ინფორმაციით, იოხიმ ლიოვმა მოგვიანებით მთელი გუნდი ერთად შეკრიბა და ამ ფაქტზე ისაუბრა, პოდოლსკის აუხსნა, რომ ასეთი საქციელი დაუშვებელი და მიულებელია. გუნდთან საუბრის შემდეგ კი ბუნდესგუნდის შეფები დასხდნენ და ერთმანეთში ილაპარაკეს. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ პოდოლსკიც და ბალაკიც.

*„პოდოლსკიმ ბალაკს ბოდიში მოუხადა და თქვა, რომ ძალიან წუხს მომხდარის გამო, აფექტში ვიყავიო,"* - განაცხადა ბუნდესგუნდის მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** და იქვე დასძინა, მიხაელმა და ლუკასმა ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს და იმედი მაქვს, რომ საბოლოოდ შერიგდნენო.

ალსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრებში ბოლო ასეთი დაპირისპირება ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შემდეგ იყო - ბალაკსა და ბირჰოფს შორის. მას მერე ოლივერი და მიხაელი შერიგდნენ, მაგრამ ყველამ იცის, რომ ისინი ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ. ბალაკი კი შესანიშნავ ფორმაშია და ისევე, როგორც ლიხტენშტაინთან, უელსთანაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო გერმანიის ნაკრებში. თანაც, ორივე მატჩში გენიალური გოლები გაიტანა. სამაგიეროდ, ლიოვისთვის პრობლემად რჩება **მარიო გომესი**, რომელსაც ბუნდესგუნდში უკვე 733-წუთიანი უგოლო სერია აქვს.

დაბოლოს, კარგი ნიშანი ბუნდესგუნდისთვის: ყოველთვის, როცა ბოლო 30 წელიწადში გერმანელები ჯგუფში უელსელებს ამარცხებდნენ, ფინალურ ეტაპზე კარგად თამაშობდნენ და ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალში გადიოდნენ: 1980 წელს ევროპის ჩემპიონები გახდნენ, 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა იზეიმეს, 1992 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში წააგეს, 1996 წელს კონტინენტის პირველობა მოიგეს, 2008 წელს კი ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგეს...

**გოტფრიდ ლენცი**




(გაგრძელება)

ჯერ კიდევ ინვალიდის მდგომარეობაში ვიმყოფები, თუმცა აღდგენითი პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ყოველ დილით და საღამოს მასაჟისტების დაკუნთული ხელების მსხვერპლი ვხდები. ხასიათი გამიფუჭდა, თუმცა კრისტელს ეს ყველაფერი მშვიდად გადააქვს.

როშტოც ტრავმირებულია. ჩვენ ერთმანეთს სეირნობის დროს ვხვდებით, ის თავისი ყავარჯნებით წვალობს, მე კი მტკივან ფეხს მივათრევ და ვცდილობ ტანჯული ღიმილი მაინც გავიმეტო მისთვის. მუდმივად ექიმებზე და ტრავმებზე ვლაპარაკობთ. საბედნიეროდ, კარგი ამბები მაქვს: გადამწყვეტი მომენტისთვის ფეხზე ვიქნები.

ჰოლანდიიდან ჩვენი მისამართით კეს **რიივერსის** ირონიული გამონათქვამები მოგვდის. ეს სათვალიანი ლილიპუტი თავის თავსა და გუნდის ფსიქოლოგიურ უპირატესობაშია დარწმუნებული და მისი აზრით, ეს მას უფლებას აძლევს, ჩვენი მისამართით ეკლიანი ფრაზები ისროლოს. გარდა ამისა, რიივერსი იმ გამოგონილ უბედურებებზე ლაპარაკობს, რომელიც თითქოსდა მის გუნდს თან სდევს, ასახელებს ტრავმირებული ფეხბურთელების სიას, რომლებიც, სინამდვილეში „სენტ ეტიენთან“ მატჩისთვის სრულიად ჯანმრთელები არიან.

„ჰაიდუკის“ ფეხბურთელების მსგავსად, რომლებსაც მარაგში სამი გოლი ჰქონდათ და დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ წარმატებაში, ჰოლანდიელებს ორბურთიანი უპირატესობა დიდ ფორად მიაჩნიათ და თავდაჯერებულები ჩამოდიან ჩვენთან.

ისინი გონებაში მომავალ ტრიუმფზე ფიქრობენ.

ისინი ყველგან თავიანთ უპირატესობაზე ლაპარაკობენ. ასეთი ტაქტიკა, რა თქმა უნდა, კომპლექსიანი ადამიანებისთვის არის გათვლილი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი თვალთმაქცობენ.

როგორც ჩანს, მათ წინასწარ მოიფიქრეს სტადიონზე მისვლის სცენარი. თავიანთი ჩანთები გასახდელში დააწყვეს და მინდვრის დასაზვერად გაემართნენ. მაყურებელი მათ სტვენით ხვდება. ჰოლანდიელები ამას აპლოდისმენტებითა და ღიმილით პასუხობენ.

ჩვენ ტრიბუნიდან მშვიდად ვუყურებთ ამ წინასასტარტო მოთელვას.

და აი, ჩვენს გვერდით პრესის ლოჟაში მკაცრი ფიგურები გამოჩნდნენ. არა, ესენი „ჟოფრუა-გიშარის“ სტადიონის მუდმივი სტუმრები არ არიან, როგორც ჩანს, ეს არის განსაკუთრებული დესანტი, რომელიც აქ პარიზის რედაქციებმა ჩვენი დასაფლავების სანახავად გადმოისროლეს.

ჟურნალისტებს ავტოკალმები მომარჯვებული აქვთ და მათი დახმარებით სამარცხვინო ბოძზე გაკვრას გვპირებენ.

„სენტ ეტიენი“ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. ჩვენ ეს ვიცით, ამას ვგრძნობთ.

ერბენი ამ მატჩისთვის გვამზადებდა და თან „მწვენეების“ ისტორიას გვახსენებდა. ბოლოს კი სამუდამოდ ერთგული **ოსვალდო პიაცას** ტელეგრამა წაგვიკითხა: *„გამაგრდით. ამ მატჩში ყველაფერი შესაძლებელია“.*

ერბენმა ეშმაკურად შემოგვხედა და ჩვენსკენ გამოისროლა ფრაზა, რომელიც დოპინგის ტოლფასი იყო: *„იმედი მაქვს შეამჩნიეთ, რა თვითკმაყოფილები ათვალიერებდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეები მინდორს. ისინი ისე იქცეოდნენ, თითქოს დამარცხებულ ქვეყანას სტუმრობდნენ. ჩვენ მოგვიწევს მათი გადარწმუნება და თითოეულისთვის საკუთარი ადგილის მიჩენა...“*

ყოველმა ჩვენთაგანმა მის ღიმილში ის მისია ამოიკითხა, რომლის შესრულებასაც მწვრთნელი გვავალდებულებდა.

შემდეგ სიტყვა ჩურკოვიჩმა აიღო: *„დღეს წარმატების მიღწევის მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს, მხოლოდ ერთი: პრესინგი. თქვენ იცით ეს რასაც ნიშნავს. ეს ნიშნავს ყოველი ბურთისთვის ბრძოლას, მეტოქის მუდმივ ხიფათში მოქცევას. თუ რომელიმე ჩვენთაგანი ამას არ შეასრულებს, ეს კატასტროფის ტოლფასი იქნება. ამიტომ ვიყოთ სოლიდარულები...“*

ძირითადი შემადგენლობა მხოლოდ 18 საათზე შევიტყვეთ, თამაშის დაწყებიდან ორი საათით ადრე. ერბენი ყოველთვის საიდუმლოდ ინახავს გუნდის შემადგენლობას და მას უახლოეს მეგობრებსაც არ ანდობს.

იმის გამო, რომ თითქმის მთელი თვე გამიცდა, ერბენის აზრით ერთი საათი უნდა ვითამაშო. ერთი საათი უნდა გავძლო. შემდეგ კი ჩემს ადგილს **ლორან რუსეის** დავუთმობ, რომელიც ახლახანს მომჯობინდა ქირურგიული ჩარევის შემდეგ, რამაც 14 თვით გამოშა აქტიურ სპორტს. რუსეი **პიერ გარონერის** აღმოჩენა იყო. მან ის ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში შეამჩნია და მშობლები კონტრაქტის გაფორმებაში დაარწმუნა, რამაც ფედერაციის კულუარებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მას ისევე დაჰფოფინებდნენ თავს, როგორც გამოუჩეკავ წიწილას და როცა გამოიჩეკა, საფრანგეთის იუნიორთა ნაკრების რიგებში ერთ უბრალო ამხანაგურ მატჩში ითამაშა. არაფრისმომცემ შეხვედრაში მან მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი საფეხბურთო კარიერა.

გასახდელში ის გვერდზე გავიხმე: *„ბევრი არ ირბინო, ძალებს უაზროდ ნუ დახარჯავ. 17 წლის ხარ და 14-თვიანი ტანჯვისა და აღდგენითი ვარჯიშების შემდეგ, ჯერ საკმარისი რეზერვები არ გაგაჩნია. ძალა არ გეყოფა მინდორზე მუდმივი აქტიურობისთვის. ეს დანაკლისი ტექნიკით შეავსე. ყოველთვის იფიქრე შენს ადგილზე...“*

ლამაზსახიანმა, კარგად აღზრდილმა ლოლომ შემომხედა და გამიღიმა. ამით მიმახვედრა, რომ ჩემი რჩევა მიღებული იყო.

სხვები არ იცინოდნენ.

მაგარითად, **ჯონი რეპი**, რომელიც ჯერ კიდევ განიცდიდა სტუმრად პირველი მატჩის პერიპეტიებს. ის ბოლთას სცემდა, გაუთავებლად იმეორებდა ერთი და იმავე მოძრაობებს, მაგალითად, ბუცებზე თასმები ათჯერ შეიკრა.

ჯონი ვერ იყო ჩვეულ განწყობაზე. შოკი, რომელიც „ეინდჰოვენთან“ მატჩში მიიღო, ჯერ კიდევ ახსენებდა თავს. ჩვენ მას სხვადასხვა ფრაზებითა და ჟესტებით ვამხნევებდით, ვარწმუნებდით იმაში, რომ ის ძალიან გვჭირდებოდა და რომ რევანშის აღებას შეძლებდა.

ჩვენს შორის ყველაზე მხნედ მაინც **ლარიო** გამოიყურებოდა. ის სიმხნევეს იქედან მოყოლებული არ კარგავდა, როცა პირველი მატჩის შემდეგ გასახდელში დაბრუნდა. იქ მან გამწარებულმა დაიყვირა: *„ეს საძაგელი ჰოლანდიელები, ცოტა ხანი მოიცადონ...“*

ეს გაშმაგება მთელი ამ დროის განმავლობაში არ განელებია...

გამყინავი გულგრილობითა და დაძაბული სახეებით, ორივე გუნდის ფეხბურთელები სტადიონზე გასასვლელ გვირაბში მოვეწყვეთ. მუშტები შეკრული გვქონდა, წამწამებს ნერვიულად ვაფახულებდით. ვცდილობდით ერთმანეთისთვის არ შეგვეხედა.

თამაში დაიწყო. სანამ ჰოლანდიელები თავიანთ ადგილებს იკავებენ, **ჟან-მარი ელის** გარღვევაზე გაჰყავს ლარიო, რომელიც ანგარიშს ხსნის. 1:0.

მატჩი გრძელდება. წინ გრძელი პასი **რენე ვან დერ კერკჰოფის** მისამართით. საქმეში ენერგიულად ჩაერია **ლოპესი**, ბურთი ჩაჭრა და ჩურკოვიჩს გადააწოდა. ბურთის წინ მოგერიების შემდეგ, მას მოედნის შუაში მყოფი **ვალკე** ეუფლება. ის გარკვეული ხანი ბურთს აკონტროლებს, მაგრამ მე უკვე მის გვერდით ვდგავარ. ჩემს მოტყუებას ცდილობს, მაგრამ იქვე რეპიც ეღობება წინ.

ორ კაცს შორის მოქცეული ვალკე გვნებდება. და აი, რეპი კარგი სპრინტერივით ბურთთან ერთად 30 მეტრს გარბის, კურსს იცვლის და „ეინდჰოვენის“ ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მცველს ატყუებს. მთელი ძალით წინ გავრბივარ. რეპი ურტყამს, მაგრამ ბურთი ვილაცის ფეხს ხვდება და პირდაპირ ჩემს მარჯვენასკენ მოგორავს. ზუსტი დარტყმა ვან ბევერენს უსაქმოდ ტოვებს. 2:0.

მწვანემაისურიანი ფეხბურთელები თავზე მახტებიან. როგორც იქნა ვთავისუფლდები მათი მკლავებიდან და ვამჩნევ, რომ ვან ბევერენი ჯერაც ცალ მუხლზეა დაჩოქილი. ჰაერში გამარჯვების სურნელი დატრიალდა.

ბურთი **სანტინის** მიუვიდა, რომელიც 20 მეტრს გარბის და მარცხენა ფლანგზე გადასულ **ფარიზონს** პოულობს. ის ცენტრისკენ იწევს. სამი ჰოლანდიელი მცველი ადგილზე მოწყვეტით მისკენ გარბის. მე დაცვას ხელს ვუშლი და ბურთი სანტინის უბრუნდება, რომელიც ცაციათი ურტყამს. 3:0!

მხოლოდ 135 წამი დაგვჭირდა კიდევ ორი გოლის გასატანად.

მრავლის ნანახი „ჟოფრუა-გიშარის“ სტადიონი გაოგნებულია.

რადიოსადგურები და ტელეტაიპები მთელს ევროპას ჩვენს წარმატებას აცნობენ.

„ეინდჰოვენი“ დამაჯერებლობას კარგავს. მისმა ფეხბურთელებმა თავები მხრებში ჩარგეს. დაიმორცხვეს ჩვენი გუნდის და პუბლიკის წინაშე, რომელსაც ისინი თითით მიანიშნებდნენ. მაგრამ მათი გამოსწორება ჯერ არ დასრულებულა. 25 მეტრიდან ჯარიმას ვასრულებ. ეს არის უბრალო სავარჯიშო ჩემს სტილში. კარგი მარჯვენათი დარტყმული ვან ბევერენს სახტად ტოვებს.

იმდენად გახარებული ვარ, რომ ექიმების სასარგებლო რჩევებს ვივიწყებ. მაგრამ დროა ესტაფეტა ლორან რუსიეს გადავცე - სასწაულებრივ გამოჯანმრთელებულ მეორე მოთამაშეს.

ის 74-ე წუთზე შედის მოედანზე. პუბლიკა, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში ადევნებდა თვალს მის ტანჯულ გზას, მხურვალედ ესალმება ბიჭს. ლორანი მინდორზე თავის დაბრუნებას გოლით აღნიშნავს. ეს მისი ვალია...

რჩება ერთი წუთი. გუნდი, სახელად „ეინდჰოვენი“ აღარ არსებობს. „მფრინავ“ ჰოლანდიელებს ფერმკრთალი სახეები აქვთ. რევანშის სიმბოლოდ აღიარებულ ჯონი რეპს ბოლო ბურთი გააქვს და შესაბამისად, სწორედ ის ასრულებს ჰოლანდიელთა ასე ნანატრ დასჯას. 6:0.

გასახდელში ვბრუნდებით. ღრუბლებში დავფრინავთ.

რიივერსის გუნდი „მწვანე მოქცევაში“ დაიხრჩო.

ღამით კრისტელს მომავალი გამარჯვებების შესახებ საკუთარ ოცნებებს ვუმხელ და ჩვენი გუნდის დაუმარცხებლობაში ვარწმუნებ.

ყოველ მედალს ორი მხარე აქვს. ჩვენთვის ეს არის 1980 წლის მაისი. სალონიკში წარმატებული გასტროლის შემდეგ, მეოთხედფინალში მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ წინააღმდეგ უძლურნი აღმოვჩნდით. 1:4.

იმ საღამოს **ჟორჟ მარშე** და **ფრანსუა მიტერანი** ჩვენი გუნდის მიმართ იმედგაცრუებას გამოხატავნენ. ხალხის ხმების მონადირეებისთვის კარგ ტონად ითვლებოდა ხალხის მასებში გამოჩენა. ამით ისინი დამატებით ხმებს იძენენ. მოგვიანებით, მარშემ განაცხადა: *„როცა სტადიონზე ფრანსუა მიტერანი არ არის და „ჟოფრუა-გიშარს“ მე ვსტუმრობ, ჩვენი გუნდი მუდმივად იგებს“.*





*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი — საქართველოს ჩემპიონატი




# ნაკრების წევრებს უფრთხიან

გუშინ დიღომში მდებარე **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს დარბაზში კრივის ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. ტრავმირებული **ნიკოლოზ იზორიას** გარდა, მასში ყველა უძლიერესი ქართველი მოკრივე მონაწილეობს. ჩემპიონატის მთავარი მსაჯი **დავით კვაჭაძეა**. ტურნირი მაღალ ორგანიზაციულ დონეზე მიმდინარეობს, მას მაყურებელთა ყურადღება არ აკლია. ბრძოლები სამ რაუნდად იმართება, ქართველ კოლეგებთან ერთად, ჩემპიონატზე თურქი და აზერბაიჯანელი მსაჯებიც მუშაობენ.

გუშინდელმა ბრძოლებმა, რომლებიც 11-დან 7 წონით კატეგორიაში გაიმართა, გვიან საღამომდე გასტანა. ყველაზე დიდ ინტერესს ეროვნული ნაკრების წევრების, **კახა ჟვანიასა** და **ლევან ლვამიჩავას** გამოსვლა იწვევდა. თუმცა მათ შემდეგ ეტაპზე უბრძოლველად გაიარეს, რადგან მეტოქეებმა მათთან ბრძოლა არ ისურვეს.

დღეს საქმეში უკვე ყველა წონითი კატეგორიის მოკრივეები ჩაერთვებიან, ზემოთ აღნიშნულ 7 წონაში კი მეორე წრის შეხვედრები ჩატარდება. დღეს და ხვალ ორთაბრძოლები 14 საათზე დაიწყება, ზეგ კი ფინალებია, რომელთა ნახვაც ბელიაშვილის 6 ნომერში გულშემატკივარს 12 საათიდან შეეძლება.

პირველი დღე. ტექნიკური შედეგები:

**57 კგ.**

**გიორგი ასათიანი (ქუთაისი)** – გიორგი მჭედლიშვილი (ქუთაისი)
**გიორგი გუნია (სენაკი)** – არტურ ზაროგლიანი (თბილისი)
**თურან აკბეროვი (მარნეული)** – ნუკრი გურული (ახმეტა)
**ზურაბ პეტუაშვილი (გორი)** – ჯანა მემიშიში (ბათუმი)
**გიგა სამადალაშვილი (გორი)** – ივანე ყორღანაშვილი (თბილისი)
**თორნიკე კოტრიკაძე (ქუთაისი)** – მიხეილ ავაკიანი (ბაკურიანი)
**ბექა ჩიტიძე (ტყიბული)** – დავით გასვიანი (ფოთი)
**დავით ნასარიძე (რუსთავი)** – მერაბ კაპანაძე (ჭიათურა)

**60 კგ.**

**გიორგი ჩართოლანი (მესტია)** – მინდია ჭინჭარაული (გარდაბანი)
**თეიმურაზ ღლონტი (თბილისი)** – ავთანდილ ფარტენაძე (ბათუმი)
**ბაგრატ ულრელიძე (ზესტაფონი)** – ვახტანგ ნინამძღვრიშვილი (გორი)

**64 კგ.**

**ჯაბა შალუტაშვილი (ბორჯომი)** – ირაკლი კვეკვესკირი (თბილისი)
**ლევან ლვამიჩავა (ფოთი)** – გიგა კაპანაძე (ჭიათურა)
**ბექა პაპაშვილი (თბილისი)** – გივი მარგველაშვილი (ზესტაფონი)
**სპარტაკ წონწონავა (სენაკი)** – ბექა სუთიძე (ქუთაისი)
**გიორგი ჯაფარიძე (თბილისი)** – ლადო არჩვაძე (გორი)
**ერაზ ჩნავაიანი (ახალქალაქი)** – ლევან ყვარელაშვილი (თელავი)
**ზაალ კვაჭატაძე (თბილისი)** – სემლარ გიგანი (მესტია)
**გიორგი ჯაყელი (თბილისი)** – ქირმან დვალიშვილი (ზესტაფონი)

**69 კგ.**

**გიორგი მურზაშვილი (გორი)** – ბესიკ ძაგანია (თბილისი)
**კახა ჟვანია (ფოთი)** – პეტრე ჯანგავაძე (ქუთაისი)
**გიორგი ბეროშვილი (თელავი)** – ზაზა ჯანაია (რუსთავი)
**გოჩა ბადურაშვილი (ახმეტა)** – გიოეგი კირვალიძე (ზესტაფონი)
**ამბროსი სუთიძე (ქუთაისი)** – დიმიტრი მაღრაძე (ბორჯომი)
**არტაკ ვოსკანიანი (ახალქალაქი)** – დავით ქადაშვილი (გურჯაანი)
**ჯაბა ხოსიტაშვილი (ახალციხე)** – ლევან ბენდელიანი (თბილისი)
**ბერდია უტიაშვილი (გურჯაანი)** – კახა ბინაძე (საჩხერე)

**75 კგ.**

**რაჟდენ ანიაშვილი (გორი)** – ედგარ სარქისოვი (თელავი)
**რომან თავაძე (ქუთაისი)** – თორნიკე ჭოხონელიძე (თბილისი)

**81 კგ.**

**ირაკლი დუნდუა (თბილისი)** – ლევან მეზვრიშვილი (გორი)
**ლევან კლდიაშვილი (თბილისი)** – დავით სარიშვილი (თბილისი)
**დავით ქოჩქიანი (მესტია)** – ლევან ნუცუბიძე (თელავი)

**+91 კგ.**

**ირაკლი გვენეტაძე (ქუთაისი)** – ვლადიმერ კვერენჩხილაძე (ბათუმი)

*მუქი შრიფტით აღნიშნულნი არიან გამარჯვებული მოკრივეები*

ლევან ჯანეზაშვილი

სემინარი

# ხელბურთში ცოდნას იღრმავებენ



საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ (პრეზიდენტი **ზაზა დოლიძე**) მისაბაძი თაოსნობა გამოიჩინა — ევროპის ასოციაციის დახმარებით თბილისში ოთხდღიანი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად მოიწვია ცნობილი ჩეხი სპეციალისტი, დოქტორი **მარტინ ტუმა.** სემინარი, რომელიც ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ტარდება, გახსნა ამავე უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, სპორტული ცენტრ „სპორტის აკადემიის" ხელმძღვანელმა, პროფესორმა **დიმიტრი ჯაფარიძემ**. მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი **სერგო რატიანი.**

თეორიული მეცადინეობების შემდეგ სემინარის მონაწილენი „ქარიშხალას" ბაზაზე გადაინაცვლებენ, პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება აგრეთვე ბავშვთა სახელბურთო სკოლაში.

თავისუფალი ჭიდაობა

# მედლები, თასი და ტრიუმფი რიგაში

## ახალი მიდგომები ღირსეულთა გამოსავლენად

**ახლახან ლატვიის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ახალგაზრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის, ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა ტრიუმფული წარმატება მოიპოვა. ნუგზარ სხირელის გუნდი რიგაში 12 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი და 11 შინ მედლით დაბრუნდა. ქართველებმა 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და ვინაიდან რიგის ტურნირზე ეს მათ მესამედ შეძლეს - გუნდური თასის სამუდამო მფლობელებაში დარჩათ.**

— ტურნირში 14 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა, ძირითადად ევროპიდან. ცხადია იყვნენ რუსებიც. ჩვენ და რუსები ნებისმიერ შეჯიბრებაზე ფავორიტები და შესაბამისად ერთმანეთის უშუალო კონკურენტები ვართ. სასიხარულოა, რომ გუნდურ პირველობაში მათ აშკარად ვაჯობეთ, ჩვენ 76 ქულა დავაგროვეთ, მათ კი - 40. რვიდან ხუთ წონით კატეგორიაში ქართველები ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, სამში — რუსები. რამდენიმე შემთხვევაში ქართულ-რუსული ფინალური პაექრობაც იხილა მაყურებელმა და აღსანიშნავია, რომ ეს ორთაბრძოლები მეტწილად ჩვენების გამარჯვებით მთავრდებოდა. საერთოდ, რუსები ორიენტირს ჩვენზე იღებენ ნაკრების დაკომპლექტებისას და არც სიყალბეს ერიდებიან. შარშან ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. მომდევნო რამდენიმე დღეში, მსოფლიო ჩემპიონატზე თურქეთში, რუსებმა გადაზრდილი სპორტსმენები ჩამოიყვანეს. ამასთან, ჩვენგან განსხვავებით დიდი არჩევანი აქვთ - ყველა წონით კატეგორიაში პირველობაზე 5-6 კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. ჩვენ კი შეჯიბრებებზე მხოლოდ ფავორიტების წაყვანის საშუალება გვეძლევა. მინდა მადლიერებით აღვნიშნო, რომ სპორტის დეპარტამენტმა საშუალება მოგვცა, რამდენიმე წონით კატეგორიაში, სადაც ლიდერები ჯერჯერობით გამოკვეთილები არ არიან, რიგაში ორ-ორი ფალავანი წაგვეყვანა. მომდევნო შეჯიბრებაზე ბაქოში ფედერაციის მეოხებით კიდევ ერთ წევრს დავიმატებთ - გვითხრა ნუგზარ სხირელმა.

**— უშუალოდ შეჯიბრებაზე თქვენი გუნდის წევრების მიერ ნაჩვენები შედეგებით ალბათ ძალიან კმაყოფილი იქნებით. რიგაში წარმატების შემდეგ რამდენად შეიცვლება ნაკრების შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატამდე გასამართ ტურნირებზე?**

— კმაყოფილი დავრჩი 50 კგ-ში მოასპარეზე ლაშა ლომთაძით, რომელმაც დამაჯერებლად მოიპოვა ჩემპიონობა. ამ წონაში მისი უმთავრესი კონკურენტი ალიკ ხაჩატურიანია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საშუალება არ გვაქვს, ეს უკანასკნელი რომელიმე უახლოეს საერთაშორისო ტურნირზეც გამოვცადოთ, თუმცა არაფერი გვაძლევს იმის საბაბს, რომ ამ წონაში პირველ ნომერ ფალავანს არ ვენდოთ. თითქმის ისევ უალტერნატივოა ვლადიმერ ხინჩიგაშვილი, რომელმაც ლატვიის ხალიჩაზეც ფინალში რუსეთის წარმომადგენელს სძლია. მომავალ შეჯიბრებებშიც, ისევე, როგორც ევროპის ჩემპიონატზე, 55 კგ-ში ვლადიმერი იქნება პირველი ნომერი. ფინალში რუს მოჭიდავეს მოუგო 60 კგ-ში გიორგი მაყიშვილმაც.

**— ამავე წონაში კიდევ ერთი ქართველი ფალავანი, გიორგი მაყიშვილის უშუალო კონკურენტი მურთაზ კვესაძეც გამოდიოდა.**

— ესენი ერთმანეთის პრინციპული მეტოქეები არიან და 60 კგ-ში პირველობისათვის იბრძვიან. ქვეყნის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მათი პაექრობა წილისყრით კვესაძემ მოიგო, რიგაში პირველივე შერკინებამ მათ ერთმანეთთან მოუწიათ. პირველი პერიოდში კვესაძემ ისევ წილისყრით მინიჭებული უპირატესობით აჯობა მეტოქეს, მეორე პერიოდში მაყიშვილმა იმარჯვა, შემდეგ კი მსაჯებმა კვესაძე პასიურობისთვის გააფრთხილეს და გამარჯვება მაყიშვილს მიენიჭა. გიორგიმ ჩემპიონობაც გაახერხა, კვესაძე კი მესამე ადგილზე გავიდა. ჩვენ ამ ორივე სპორტსმენს თავის გამოჩენის საშუალებას მომავალ საერთაშორისო ტურნირებზე ისევ მივცემთ. 66 კგ-ში საქართველოს ჩემპიონატზე ფინალური ორთაბრძოლა ხუჭუასა და აბრამიშვილს შორის გაიმართა. იქ ხუჭუამ მოიგო. რიგაში აბრამიშვილმა რევანში აიღო უშუალო კონკურენტზე და შემდეგ 15 წუთში ორი ორთაბრძოლის გამართვა მოუხდა, აქედან ერთი მათგანი წააგო, თუმცა ბრინჯაოს მედალი მაინც მოიპოვა. 74 კგ-ში ხუციშვილისა და გაბისიანის თბილისურ ფინალში პირველმა მათგანმა იმარჯვა. რიგაში მათაც მოუწიათ ერთმანეთის პირისპირ დადგომამ და როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც საპირისპირო შედეგი დაფიქსირდა. გაბისიანმა ბოლომდე წარმატებით განვლო ყველა ეტაპი და ჩემპიონი გახდა. ხუციშვილს მესამე ადგილი ხვდა წილად. მართალია, მანამდე თბილისში მან დაჯაბნა გაბისიანი, მაგრამ ჭიდაობის ის პასიური სტილი, რაც ხუციშვილისთვისაა დამახასიათებელი, ჩემი აზრით, საერთაშორისო არენაზე არაეფექტურია. უცხოელი მსაჯები, განსხვავებით ჩვენი თანამემამულე რეფერებისაგან, არ ერიდებიან პასიური მოჭიდავის გაფრთხილებით დასჯას.

**— ქართველი მსაჯები რატომ მიმართავენ ნაკლებად ამ მეთოდს?**

— ალბათ ფიქრობენ, რომ ამ გზით გამარჯვებულის გამოვლენისას მათ ტენდენციურობაში დაადანაშაულებენ. ქართული მენტალიტეტისათვის შესაძლოა სწორედ ასეთად მიიჩნევა გაფრთხილებით გამარჯვებულის გამოვლენა. არადა, მე ბოლო წლებში ვაკვირდები, რომ საზღვარგარეთ გამართულ შეჯიბრებებში გამარჯვებულების 20% სწორედ ამ გზით ვლინდება.

**— რაც შეეხება დანარჩენ წონით კატეგორიებს...**

— 84 კგ-ში დავით მარსაგიშვილმა მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლს დასჯერდა. ამ წონაში ფავორიტი ბექა ჭელიძეა, ვინც ამჟამად უფროსებს შორის გასამართავ ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრებში ირიცხება მინდორაშვილის ნაცვლად. 96 კგ-ში თორნიკე ხიდაშელს საქართველოს ჩემპიონატზე დამაჯერებლად მოუგო ელიზბარ ოდიკაძემ, რიგაში სწორედ ის ვაჭიდავეთ და ვერცხლი მოიპოვა, თუმცა მთლად კმაყოფილი ვერ დავრჩი და მგონია, რომ ხიდაშელს საერთაშორისო არენაზე თავის უკეთ წარმოჩენა შეუძლია. ასე თუ ისე, ორივე ამ მოჭიდავეს სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებზეც გამოვცდით. სწორედ ხიდაშელი დაემატება რიგაში მოასპარეზე ნაკრების შემადგენლობას, აპრილის ბოლოს ბაქოში გასამართავ ძლიერ საერთაშორისო ტურნირზე. მძიმე წონაში საქართველოს ჩემპიონატზე გიორგი საკანდელიძემ ფინალში მოუგო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შარშანდელ პრიზიორს ლევან ბერიანიძეს. ვფიქრობ, შეუძლებელი იყო, არ გაგვეთვალისწინებინა, მისი საერთაშორისო წარმატებები. მით უფრო, რომ ფალავანთა თბილისურ პაექრობაში მსაჯებმა შეცდომა დაუშვეს. კარგია, რომ რიგაში ორივე წავიყვანეთ. ბერიანიძემ ამჯერად მოუგო თანაგუნდელს. მერე იგი ჩემპიონიც გახდა, საკანდელიძეს კი ბრინჯაო ერგო. ეს სპორტსმენებიც აუცილებლად კიდევ ერთხელ გამოიცდებიან მომავალ შეჯიბრებებზე.

**— მაშასადამე ოთხივე წონით კატეგორიაში, სადაც ორ-ორი ფალავნით იყო ჩვენი გუნდი წარმოდგენილი, ქართველებს ერთმანეთის წინააღმდეგ შეხვედრებმა მოუწიათ.**

— ძალიან კარგია, რომ ასე მოხდა. ჩვენს მცდელობას, წონით კატეგორიებში საუკეთესოები გამოგვევლინა, ეს სასიკეთოდ წაადგა. ასეთი პაექრობების დროს მივდიოდი მსაჯებთან და ვთხოვდი, მაქსიმალურად თავისუფლად და ობიექტურად ემსაჯათ, ვინაიდან ხალიჩაზე ჩვენთვის ფავორიტი არ არსებობდა, მხოლოდ კონკრეტულ სპორტსმენებს შორის საუკეთესოს გამოვლენა გვსურდა.

**— ამ ეტაპზე რომელი წონითი კატეგორიები დარჩა, სადაც ჯერ კიდევ არ გამოკვეთილან ფავორიტები და საამისოდ მომდევნო ტურებში ორ-ორი ფალავანის წაყვანა მოგიწევთ?**

— ასეთები 60, 66, 74, 96 და 120 კგ წონითი კატეგორიებია. მაგრამ მე მაინც ვიტყოდი, რომ ეს მხოლოდ ფავორიტთა გამოსავლენი გარჯა არაა. არასწორად მიმაჩნია, რომ მწვრთნელი აქ მედლებზე ზრუნვით შებოჭილი იყოს. ამისათვის მხოლოდ პირველი ნომრები დაჰყავდეს ყველა შეჯიბრებაზე და იმავდროულად თვალთახედვიდან დაეკარგოს მოჭიდავე, რომელმაც მომავალში შესაძლოა გაცილებით უკეთ წარმოაჩინოს თავი, ვიდრე დღეს. ეს ახალგაზრდული ნაკრებია და, მოგეხსენებათ, მისი მთავარი მიზანი პირველი ნაკრებისათვის ღირსეული ცვლის მომზადებაა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ჭადრაკი

# ვინ გაარტყამს ათიანში?

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთი კვირაა, მიმდინარეობს საქართველოს ჩემპიონატი ათ წლამდე გოგონებსა და ბიჭებს შორის. ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითია: ბიჭებში 89 მონაწილეა, გოგონებში კი - 36.

გათამაშების სისტემა შვეიცარიულია, ცხრა ტურად. მოსაფიქრებლად მოჭადრაკეებს 90 წუთი ეძლევათ, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. აქ პირველ-მეორე ადგილებზე ბრძოლაა ყველას უმთავრესი მიზანი, რადგანაც პირველადგილოსანი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული კი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

შვიდი ტური მოილიეს მონაწილეებმა და გამოიკვეთნენ მთავარი ჯილდოების პრედენდენტები. გოგონათა შორის 6-6 ქულით **ნინო ჯალალონია** და **ნინო დახუნდარიძე** ლიდერობენ. მათ ნახევარი ქულით **თეა ჭოლაძე** და **ნატა ჯიბუტი** ჩამორჩებიან; ხუთი ქულა **ელა სვანიძეს** აქვს. პრიზიორებიც ამათ შორის უნდა გაირკვეს.

ბიჭებშიც ორხელისუფლებიანობაა და აქაც 6-6 ქულა აქვთ ლიდერებს - **ჯონი გოგოხიას** და **ედუარდ ბალდასაროვს**. 5,5-5,5 ქულა ერთბაშად შვიდ მონაწილეს აქვს და, ცხადია, ფინიშამდე ორი ტურით ადრე ოქრო-ვერცხლის მაძიებელნი აქ უნდა დავიგულოთ - ხუთქულიანებს შანსი კი გააჩნიათ, მაგრამ - მიზერული...

მერვე ტურში ყველაზე საინტერესო წყვილებია: გოგონებში:**ნინო ჯალალონია(6) - ნინო დახუნდარიძე(6); თეა ჭოლაძე(5,5) - ნატა ჯიბუტი(5,5); ელა სვანიძე(5) - სოფო ცაბაძე(4,5)**. ბიჭებში: **ჯონი გოგოხია(6) - ედუარდ ბალდასაროვი(6); რომან ბელქანია(5,5) - ირაკლი ტულუში(5,5); ვახტანგ კარელიძე(5,5) - ალექსანდრე ურდულაშვილი(5,5); დემეტრე ფიფია(5,5) - ალექსანდრე ფანასენკო(5,5); რატი პერტია(5,5) - ლუკა ლიჩელი(5); თორნიკე იარაჯული(5,5) - გიგილო აბსარიძე(5).**

ზვიად შათირიშვილი

კალათბურთი

ვარსკვლავთა მატჩი

# სამწვრთნელო ცვლილება ოლ სტარში



დავით უსტიაშვილი (მარცხნივ) და მიხეილ კობეშავიძე

საქართველოს ჩემპიონატის ვარსკვლავთა მატჩის მონაწილეთა გამოსავლენი გამოკითხვა რომ დაიწყო, მაშინ სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე "ენერჯი" იყო, მეორეზე – "ავიამშენი". ამიტომ გადაწყდა, რომ "თეთრებს" რუსთაველთა თავკაცი, **დავით უსტიაშვილი** გაწვრთნიდა, "ლურჯებს" – "ავიას" დამრიგებელი **ლევან მოსეშვილი**.

გუშინ გაირკვა, რომ ლევან მოსეშვილი შეუძლოდაა და "ოლ სტარში" "ლურჯებს" ვერ გაუძღვება. მის ნაცვლად მთავარი მწვრთნელის ადგილს **მიხეილ კობეშავიძე** დაიკავებს, რომლის "სასოფლომაც" რეგულარული ეტაპის ბოლო ტურში "ავიას" აჯობა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

როგორც ვარსკვლავთა მატჩის ორგანიზატორებმა გვითხრეს, მწვრთნელის ცვლილების გამო გუნდს სახელწოდება არ შეეცვლება და მას "მოსეშვილის გუნდი" ერქმევა. მეორეს – "უსტიაშვილის გუნდი".

შეგახსენებთ, რომ ვარსკვლავთა მატჩის მონაწილეთა გამოსავლენი გამოკითხვა დღეს შუადღისას დასრულდება. ხვალინდელ ნომერში ხუთეულებსაც გაგაცნობთ და იმ კალათბურთელების ვინაობასაც, რომლებიც სათადარიგოთა სკამს შეავსებენ. შეგახსენებთ, რომ შემცვლელების შერჩევა მთავარი მწვრთნელების პრეროგატივაა.

ქართული "ოლ სტარი" კვირას, 5 აპრილს ქუთაისის დარბაზში გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

18-წლამდელთა ჩემპიონატი

# აკადემიას დინამო შეუერთდა

**30 მარტი. სასოფლო**

**I ექსპ. სკოლა-დინამო 85:91**

21:15, 24:18, 17:28, 23:30

I ექსპ. სკოლა: ჩქარეული (33 ქ), წიკლაური (19 ქ), მაისურაძე (10 ქ), ბექაური (9 ქ, 15 მ)

დინამო: ბაქრაძე (26 ქ), დეკანოიძე (18 ქ), ალხანაიძე (17 ქ), კოლუაშვილი (12 ქ), კაკაურიძე (10 ქ)

**31 მარტი. სასოფლო**

**მართვე-მართვე 2 95:112**

23:25, 28:29, 24:21, 20:37

მართვე: ლაშქარაძე (22 ქ, 12 მ), ჭოხონელიძე (17 ქ), კუპატაძე (13 ქ), ოკრიბელაშვილი (12 ქ), დარბაიძე (10 ქ)

მართვე 2: ჭიჭვეიშვილი (35 ქ), ლომოური (34 ქ, 16 მ), მინაშვილი (25 ქ), ბაშარული (14 ქ, 10 მ)

**ნაკრები 93-ქუთაისი 69:72**

17:20, 22:14, 15:12, 15:26

ნაკრები: გ. მესხი (18 ქ), ლოლიშვილი (14 ქ, 10 მ)

ქუთაისი: ბერძენიძე (16 ქ), ბიკაშვილი (16 ქ), ქორიძე (13 ქ, 10 მ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. აკადემია | 15 | 11 | 4 | 26 |
| 2. დინამო | 13 | 10 | 3 | 23 |
| 3. რუსთავი | 14 | 8 | 6 | 22 |
| 4. მართვე | 15 | 7 | 8 | 22 |
| 5. მართვე 2 | 15 | 7 | 8 | 22 |
| 6. I ექსპ. სკ. | 14 | 7 | 7 | 21 |
| 7. ენერჯი | 12 | 8 | 4 | 20 |
| 8. ქუთაისი | 15 | 4 | 11 | 19 |
| 9. ნაკრები 93 | 13 | 1 | 12 | 14 |

საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატის პლეი ოფში ოთხი გუნდი გადის. აქედან გამომდინარე, შეზღუდული ადგილებისთვის დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს. ბოლო ტურში თბილისის "დინამომ" I ექსპერიმენტული სკოლა დაამარცხა და ნახევარფინალში თამაში ოფიციალურად გაინაღდა. როგორც ყოველთვის, **დავით თორთლაძის** გაწვრთნილმა დინამოელებმა მაღალ დონეზე ჩატარეს დასკვნითი მონაკვეთი და 91:85 იმარჯვეს. გუნდის სნაიპერი გამთამაშებელი **გივი ბაქრაძე** გახდა – 26 ქულა.

**კახა შენგელიას** "მართვე 2"-ს მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგული აქვს. ამის მიუხედავად, შენგელიას შეგირდებმა ბოლომდე იბრძოლეს სეხნია "მართვესთან" და მათაც მეოთხე პერიოდში შეიტანეს გარდატეხა. ამ წაგებით **გია ტეტელაშვილის** "მართვემაც" დაკარგა ოთხეულში მოხვედრის შანსი.

ასე რომ, გარკვეულია ორი ნახევარფინალისტის ვინაობა – "დინამო" და "აკადემია". დანარჩენი ორი საგზურისთვის "რუსთავი", I ექსპერიმენტული სკოლა და "ენერჯი" იბრძვიან.

**ვაჟა სიმონიშვილი**

20-წლამდელთა ჩემპიონატი

# აკადემიაც პლეი ოფშია

**30 მარტი. სასოფლო**

**აკადემია-რუსთავი 76:81**

17:17, 24:19, 16:26, 19:19

აკადემია: ბოქოლიშვილი (19 ქ), მეფარიშვილი (21 ქ)

რუსთავი: დვალიშვილი (29 ქ, 21 მ), ხმელიძე (18 ქ), ჩაჩანიძე (17 ქ)

**31 მარტი. სასოფლო**

**მაკაბი-სამედიცინო 83:73**

28:14, 18:27, 14:11, 23:21

მაკაბი: ჯანგველაძე (34 ქ, 14 მ), ლონდარიძე (16 ქ, 17 მ), თევზაძე (8 ქ, 12 მ)

სამედიცინო: ლეჟავა (25 ქ), ბექაური (12 ქ), მაისურაძე (10 ქ), პაპაშვილი (10 ქ)

**1 აპრილი. აკადემიის დარბაზი**

**აკადემია-ქუთაისი 95:65**

21:19, 19:13, 23:16, 32:17

აკადემია: ბოქოლიშვილი (25 ქ), მეფარიშვილი (15 ქ), კორსავა (13 ქ, 11 მ)

ქუთაისი: ყიფიანი (20 ქ), კანდელაკი (19 ქ, 10 მ), ტუკვაძე (9 ქ, 10 მ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 13 | 12 | 1 | 25 |
| 2. აკადემია | 12 | 8 | 4 | 20 |
| 3. მაკაბი | 12 | 6 | 6 | 18 |
| 4. მართვე | 12 | 6 | 6 | 18 |
| 5. სამედიცინო | 13 | 5 | 8 | 18 |
| 6. ქუთაისი | 12 | 0 | 12 | 12 |

ისევე როგორც ჭაბუკთა ჩემპიონატში, ახალგაზრდულშიც გარკვეულია ოთხიდან იმ ორი გუნდის ვინაობა, ვინც პლეი ოფში ითამაშებს. ეს პატივი "აკადემიამ" ქუთათურების ძლევის შემდეგ მოიპოვა. იმერლებმა "აკადემიკოსებს" დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ სეზონის პირველი გამარჯვება მაინც ვერ ჩაიწერეს.

ბოლო ტურში მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა "სამედიცინოსა" და "მაკაბის" შორის. "მედიკოსებმა" მეტოქეს 20-ქულიანი უპირატესობაც გაუბათილეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ – 65:95. ამ წაგებით "სამედიცინომ" პლეი ოფში გასვლის შანსი გაიუარესა. ოთხეულში მოსახვედრად "მაკაბი", "მართვე" და "სამედიცინო" იბრძვიან.

შეგახსენებთ, რომ რეგულარული ეტაპის დასრულებამდე 2 ტურია დარჩენილი.

**ვაჟა სიმონიშვილი**







# სანიკიძე და ცინცაძე ბალტიის ლიგის ნახევარფინალში!

## საოცარი გამარჯვება კალევთან

**ბალტიის** ლიგის მეოთხედფინალის მესამე, გადამწყვეტი მატჩი **გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის** "ტარტუ როკმა" სტუმრად ტალინში გამართა. დაძაბულ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა დამატებითი დროის ბოლო წამზე გამოვლინდა. სირენამდე 4 წამით ადრე გიორგი ცინცაძემ გვერდითი ხაზიდან ბურთი **ტანოკა ბერდს** გადააწოდა, რომელმაც სირენასთან ერთად თითქმის ცენტრიდან ისროლა და "კალევის" კალათი შეაფართხალა – 71:68.

მართალია, გადამწყვეტი ტყორცნა "როკის" ამერიკელმა ლეგიონერმა შეასრულა და მატჩის გმირიც ის გახდა, მაგრამ მასზე არანაკლები მნიშვნელობის სროლები მიითვალეს ქართველებმა... ამაში მატჩის მოკლე მიმოხილვა დაგარწმუნებთ.

პირველი პერიოდი სტუმარმა "როკერებმა" 6 ქულის სხვაობით მოიგეს – 19:13. ამ მონაკვეთში სანიკიძე-ცინცაძის ყველა ტყორცნა არაზუსტი იყო.

მეორე ათწუთეულის შემდეგ "როკი" 33:25-ს იგებდა, ქართველთა ანგარიშზე ორ-ორი ქულა იყო.

მესამე მეოთხედში **ლინეპანის** ნინამძღოლობით "კალევმა" თამაში გამოასწორა და მეოთხე პერიოდს 6-ქულიანი ფორით შეხვდა – 51:45. ამ მეოთხედში ვიქტორმა მხოლოდ 3 ქულა მიითვალა...

მეტოქის დაწინაურებამ ახალგაზრდა ქართველები აალელვა და ერთ-ერთ ეპიზოდში გიორგი ცინცაძემ და ვიქტორ სანიკიძემ კინაღამ ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს: ისინი ბურთის ასართმევად კალეველ **ნეოთ ფოქსს** დაეჭიდნენ, მასპინძელმაც არაფერი დაუთმო... კიდევ კარგი, მსაჯი ახლოს აღმოჩნდა და გაცხარებულები ცოტა დააშოშმინა...

მეოთხე რაუნდში "როკი" საკმარისად მობილიზებული გამოვიდა, სანიკიძის ოთხი და **ტანელ ტეინის** ორი ქულის წყალობით სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს – 51:51.

ამის შემდეგ სიტუაცია დაიძაბა და ბურთი კალათში ჩაშვებას ხშირად უარობდა. სირენამდე 3:40 წუთით ადრე "კალევი" 59:54 დაწინაურდა, თუმცა **მარეკ დორონინის** ორ სამქულიანს **გერტ კულმაემ** ამდენივე ზუსტი საჯარიმო მიაყოლა, ანგარიში გაათანაბრა (59:59) და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებითი დროის მეორე წუთზე მოედანზე ვიქტორ სანიკიძე დაბრუნდა, რომლის შედეგიანი გადაცემის შემდეგ ცინცაძემ სამქულიანი გამოიყენა – 63:63. გიორგიმ ერთი სამიანი არ იკმარა, სირენამდე 24 წამით ადრე შორეული ტყორცნით თანაგუნდელები 68:66 დააწინაურა. ტაბლოზე 00:04 ეწერა, როცა კალეველმა ფოქსმა ანგარიში გაათანაბრა – 68:68. დარჩენილ ოთხ წამში ტანოკა ბერდის გმირობაზე უკვე გესაუბრეთ...

მატჩის ბომბარდირი სწორედ ბერდი გახდა – 17 ქულა, 11 მოხსნა.

გიორგი ცინცაძემ შეხვედრა 8 ქულით (6 ოვერტაიმში ჩააგდო), 7 პასით და 4-4 მოხსნა-ჩაჭრით დაასრულა. მან 42 წუთი ითამაშა.

ვიქტორ სანიკიძემ 18 წუთში 9 ქულა, 3 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ასე და ამგვარად, ბალტიის ლიგის მეოთხედფინალში "ტარტუ როკმა" 2:1 გაიმარჯვა (ორჯერვე სტუმრად მოიგო) და ფინალური ოთხეულის საგზური მოიპოვა. ნახევარფინალში "როკერებს" ლიტვის "ჟალგირისის" წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ. ფინალური ოთხეულის მატჩები 24-25 აპრილს გაიმართება.

მეორე ნახევარფინალში ლიტვური "რიტასი" და ლატვიური ასკ ითამაშებენ. გამარჯვებულები ფინალში გააგრძელებენ ბრძოლას, დამარცხებულები - ბრინჯაოსთვის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ორი ნახევარფინალისტი ცნობილია



აგრარული უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ჩემპიონატის მორიგი ტურის ორი შეხვედრა გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა და ფავორიტმა დიდი ჯიხაიშის „ჯიკომ", საკმაოდ იოლად სძლია აუტსაიდერ „ქუთაისს" - 3:0 (25:11, 25:16, 25:19).

დიდ ინტერესს იწვევდა მეორეადგილოსანი „ბოლნისის" დაპირისპირება მესამე ადგილზე მყოფ „ბათუმთან". ბოლნისელებმა პირველი ორი სეტის მოგების შემდეგ 25:22, 25:16, თავს დამშვიდების საშუალება მისცეს, რისთვისაც უმალ დაისაჯნენ და მესამე სეტში ორი ქულის სხვაობით დამარცხდნენ - 23:25. თუმცა მერე ძალების მობილიზება მაინც მოახერხეს და მეტოქეს 25:20 სძლიეს.

უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პლეი ოფის ორი მონაწილის ვინაობა ცნობილია, ესენია: „ჯიკო" და „ბოლნისი". კიდევ ორის ვინაობას დარჩენილი სამი ტური გამოავლენს.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ჯიკო - 12 ქულა, 2. ბოლნისი - 11, 3. ბათუმი - 7, 4. დუშეთი - 6, 5. ქუთაისი - 6.

**დღეს:**

ბათუმი-დუშეთი

ბოლნისი-ჯიკო

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი

ინტერვიუ ლევან მგელაძესთან

# ბათუმის ელიტი ელიტაში დარჩენისთვის იბრძოლებს

## რაგბი აჭარაში ტრადიციის დაბრუნების გზას დაადგა



**საქართველოს სარაგბო ჩემპიონატი სტარტს 15 აპრილიდან აიღებს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, უმაღლეს ლიგაში 8 გუნდი ითამაშებს. თითოეული მათგანი მომავალი ბატალიებისთვის გამალებით ემზადება. ზოგი ადგილზე გადის წვრთნას, ზოგიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სანვრთნელ შეკრებაზეა. ბათუმის „ელიტი" წლევანდელ გათამაშებაში დებიუტანტია, თუმცა ბათუმური რაგბისთვის არც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაა ახალი და არც იქ მიღწეული წარმატებების ხიბლია უცხო. მაშინდელი გამარჯვებები პირდაპირ კავშირშია აჭარული გუნდის ამჟამინდელ თავკაც ლევან მგელაძესთან. ბათუმელთა სამზადისსა და გეგმებზე სწორედ მას ვესაუბრეთ.**

- სანვრთნელი შეკრება ჯერ არ გაგვიმართავს. თუმცა გუნდმა ვარჯიში ჯერ კიდევ იანვრიდან დაიწყო. მათგან ვინც შარშან „ელიტში" ასპარეზობდა, ნაწილმა თამაშს თავი დაანება. ნაწილიც ჩვენ დავითხოვეთ. გუნდში დარჩენილ მოთამაშეებს და ახალწვეულებსაც საკმაოდ მკაფიოდ ავუხსენით წლეულს გუნდის წინაშე დასმული მიზანი და მისი მიღწევის გზები.

**- ხომ ვერ დაგვიკონკრეტებდით, რა მიზანს ისახავს წლეულს „ელიტი" უმაღლეს ლიგაში და რომელი მორაგბეებით გაძლიერდა იგი?**

- გუნდის მიზანი წლეულს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება და იმ მყარი საფუძვლის შექმნაა, რომელიც საწინდარი იქნება აჭარული რაგბის ძველი დიდების დასაბრუნებლად. ალბათ ყველას ახსოვს, რომ არცთუ შორეულ წარსულში საქართველოს ჩემპიონებიც ვიყავით და თასის მფლობელებიც.

რაც შეეხება მორაგბეებს, რომლებიც დავიმატეთ - ისინი ქუთაისის რაგბის სკოლის აღზრდილები არიან: გელა სირბილაძე, ჯემალ ვასაძე, ნუგზარ კინწურაშვილი, ვაჟა ყუბანეიშვილი და თორნიკე აშვეთია. ესენი ჩვენთვის სერიოზული ძალაა და, ვფიქრობთ, კარგი გუნდის შექმნაში დიდად დაგვეხმარებიან.

**- უმაღლესი ლიგის გარდა ბათუმს გუნდი დუბლიორთა ტურნირშიც გამოჰყავს. ამას კი საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება. რა სახსრებით აპირებთ წლეულს არსებობას?**

- ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს აჭარის მთავრობა და ბათუმის მერია. ასევე გუნდის სპონსორია „აჭარგანათება". ამ დროისთვის ანგისას სტადიონზე ვვარჯიშობთ, რომლის რეკონსტრუქციაც მალე დაიწყება. აქ ევროპული სტანდარტების დონის სტადიონის მოწყობას აპირებენ. მანამდე კი, „ელიტი" სად ითამაშებს, ჯერჯერობით უცნობია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოჩამოთვლილი გუნდების გარდა ვიასპარეზებთ ჭაბუკთა A და B ლიგებში. საფესტივალო ასაკში კი, შუახევის, ქობულეთისა და ხუცუბნის ბავშვთა გუნდები გამოვლენ.

**- როგორც ჩანს, აჭარაში ამ სპორტის სახეობის განვითარებას სერიოზულად მიუდგნენ. კიდევ რა კონკრეტული ღონისძიებები ტარდება ამ მიმართულებით?**

- კარგი ისაა, რომ ქობულეთსა და ბათუმშიც სარაგბო კლუბები ოფიციალურად დაფუძნდნენ, იურიდიულად გაფორმდნენ, რაც გაცილებით აიოლებს ფუნქციონირებას. ბათუმში „ელიტის" კვალდაკვალ შეიქმნა კიდევ ერთი კლუბი „ბათუმი XV". ამასთან, რაგბი შევიტანეთ ხელვაჩაურის რაიონში დისლოცირებულ სამხედრო ბრიგადაში. აქ ქართველ სამხედროებს ოვალური ბურთით თამაშს, ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი გოჩა ხონელიძე ასწავლის.

**- მოდით ისევ „ელიტს" დავუბრუნდეთ. რამდენადაა მზად გუნდი დასახული მიზნების მისაღწევად?**

- უკვე მოვასწარით ორი სანვრთნელი შეხვედრის გამართვა ქუთაისის „აიასთან" და ფოთის „აიეტთან". ორივე მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ორჯერ გავეჯიბრებით „აიას", რომელიც სანვრთნელ შეკრებაზე ამჟამად ბათუმში იმყოფება.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ თურქეთში იყავით მიწვეული ამ ქვეყნის რაგბის კავშირის მიერ. რას ემსახურებოდა ეს ვიზიტი?**

- თურქეთში რაგბი ფეხს ახლა იდგამს. ამ ქვეყნის რაგბის კავშირმა სემინარების ჩასატარებლად მიმიწვია. სტამბოლში, ანკარასა და ერზრუმში მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარი გავმართე. ამასთან, ეროვნული ჩემპიონატის ორი შეხვედრა ვიმსაჯე.

ყოველივე ამას დაემთხვა თურქეთის ნაკრებისთვის მწვრთნელის შერჩევის პროცედურა. აქაური რაგბის კავშირი 15 კანდიდატურას განიხილავდა. ნაკრების თავკაცობა მე შემომთავაზეს. ვერაფრით დავთანხმდებოდი, რადგან კონტრაქტი ბათუმის „ელიტთან" მაქვს გაფორმებული. თუმცა, მათ მთხოვეს, ივლისსა და აგვისტოში, როცა შვებულება მექნება, ორი კვირით თურქეთის ნაკრებს სანვრთნელ შეკრებაზე წავყვე. ისინი საქართველოში ჩამოსვლაზეც თანახმა არიან და ადვილი შესაძლებელია, ქართულ რაგბისთან ძალიან მალე ახლო კონტაქტები დაამყარონ.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ევროპის ჩემპიონატი U-18

# ინგლისით ვიწყებთ

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები 5 აპრილს საფრანგეთის ქალაქ ტულონში ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას დაიწყებს. ჩვენი მორაგბეების პირველი მეტოქე ინგლისის ნაკრები იქნება, რომელმაც შარშანდელ ანალოგიურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა.

უმცროსი ბორჯღალოსნები ევროპის ჩემპიონატის ელიტურ A ჯგუფში 2004 წლიდან ასპარეზობენ და ყველაზე უკეთესი შედეგი მე-5 ადგილია. სავარაუდოდ, ჩვენი მორაგბეები წლეულსაც მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებენ. უფრო მეტის მისაღწევად კი მათ პირველივე შეხვედრაში ინგლისის ნაკრების დამარცხება მართებთ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატში ასევე მონაწილეობენ საფრანგეთის, იტალიის, ირლანდიის, რუსეთის, რუმინეთისა და ბელგიის ნაკრები გუნდები. ბოლო, მერვე ადგილზე გასული, ელიტურ A ჯგუფს დატოვებს და მას მომავალ წელს B ჯგუფის გამარჯვებული შეცვლის.

საქართველოს ნაკრები ერთ კვირაზე მეტია, ჩემპიონატისთვის ტულონში ემზადება. მათ საკონტროლო შეხვედრა გამართეს საფრანგეთის თვრამეტწლამდელთა ნაკრებთან და 8:17 დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ ფრანგულ შეკრებაზე გუნდს თან ახლდა [illegible] ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ტიმ ლეინი, რომელიც თვრამეტწლამდელთა თავკაცებს ეხმარება.

ნაკრების მწვრთნელებმა **დავით ჩავლეიშვილმა** და **პაატა ნარიმანაშვილმა** საფრანგეთში შემდეგი 26 მორაგბე იახლეს:

პირველი ხაზი: შალვა ჯაჯაია (აია), ლევან შენგელია (ყოჩები), გიორგი ვეფხვაძე (ლოკომოტივი), ლევან ჩილაჩავა (უნივერსიტეტი), ზურაბ ჟვანია (აიეტი), მერაბ მატკავა (აიეტი).

მეორე ხაზი: გიორგი ჟღენტი (უნივერსიტეტი), კონსტანტინე მიქაუტაძე (არმაზი), რევაზ ჟღენტი (არმაზი).

მესამე ხაზი: ბექა ბიწაძე (ივერია), გიორგი ტყემელიაძე (ყოჩები), გიორგი ჭყოიძე (ლელო), ლევან თხელიძე (აია), ხვიჩა ბუჯიაშვილი (ივერია).

№9: ჯიმი ლამბაშიძე (ლელო), გიორგი მისრიაშვილი (არმაზი)

№:10: ლუკა კვარაცხელია (ყოჩები), ზვიად ოდიშარია (აია).

№:12-13: დავით ლოსაბერიძე (აია), აკა ხიპაშვილი (ლელო), გიორგი მარგიანი (აკადემია).

№:11-14: ვანო გაბროშვილი (აკადემია), გიორგი ონიანი (აია), ლევან გოგოლაშვილი (აკადემია).

№:15: უჩა მჭედლიშვილი (ლელო), ბახვა კობახიძე (ყოჩები).

**ევროპის ჩემპიონატი:**

**5 აპრილი**

საფრანგეთი-ბელგია
ირლანდია-რუსეთი
ინგლისი-საქართველო
იტალია-რუმინეთი

**ბესიკ ჯანგავაძე**

წყალბურთი

# ხუთი ბალკანელი წყალბურთელთა ნაკრებში

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებში მალე ხუთი ლეგიონერი ითამაშებს. სიახლე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, **გია ნაცვლიშვილმა** გაგვაცნო.

"წყალბურთის განვითარების სერიოზული პროგრამა დავიწყეთ. ჩვენი დიდი სურვილია, ხუთ-ექვს წელიწადში წყალბურთი რაგბის დონეზე და შესაძლოა, უფრო მაღალ საფეხურზეც ავიყვანოთ. ამ სახეობაში ქართველებს დიდი ნიჭი აღმოგვაჩნდა და მეორეც, მისი გეოგრაფია გაცილებით მცირეა, ვიდრე რაგბის. თბილისსა და ქუთაისში ორი 50-მეტრიანი საცურაო აუზი გვჭირდება და ჩათვალეთ, რომ აწყობილი სტრუქტურა გვექნება. სახეობის განვითარებისთვის ესეც საკმარისი იქნება.

ახლა წყალბურთის ეროვნულ ნაკრებში კონსულტანტად უცხოელი სპეციალისტი **ელიზი** ჩამოგვყავს. სხვათა შორის, ხუთი უცხოელი წყალბურთელის ნატურალიზაცია დღეს რეალობაა. საქართველოს პასპორტი მათ უკვე აიღეს, მაგრამ ნაკრებში სათამაშოდ ერთი წელი სჭირდებათ. თითოეული მათგანი ძლიერი მოთამაშეა: ორი ხორვატია, ორი სერბი და ერთიც მონტენეგროელი. ხუთივეს სოლიდურ კლუბებში გამოსვლის გამოცდილება აქვს. მათ გვერდით ქართველი ბიჭები გაიზრდებიან და ორ-სამ წელიწადში ძლიერი და ანგარიშგასაწევი გუნდი გვეყოლება. ეს არ იქნება ფრენბურთის განმეორება, სადაც წყვილებში ყველა ბრაზილიელი იყო. წყალბურთის ნაკრებში, თხუთმეტ სპორტსმენში მხოლოდ ხუთი ლეგიონერი გვეყოლება და ისინი მონაცვლეობით ითამაშებენ. ახლა კი ჩვენს ბიჭებში კონკურენცია არ იყო და ფაქტობრივად, წყალბურთი სულს ღაფავდა. ბალკანელების ჩამოყვანით კი,ჩვენს სპორტსმენებში კონკურენცია გაიზრდება, რაც ისევ მათ პროგრესს შეუწყობს ხელს.

საბოლოო ჯამში, ლეგიონერთა მოზიდვა საქართველოში წყალბურთის განვითარებას და პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. ბოლოს და ბოლოს, წყალბურთში ფორმა იაფია, ჩემპიონატი ოთხ-ხუთ გუნდს შორის, ერთ აუზში ჩატარდება. ჩვენ საკუთარი ლეგიონერებიც გვყავს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე თამაშობენ. მათი და ბალკანელების დამატებით, სერიოზულ გუნდს ჩამოვაყალიბებთ.

ამასთანავე, შედეგის მიღწევაც რეალურია. წარმატება ბუმს გამოიწვევს და თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთსა და რუსთავში აუზები რომ ავაშენოთ, წყალბურთს უმაღლეს დონეზე განვავითარებთ. ამ ყოველივეზე ისტორიის გათვალისწინებითაც ვლაპარაკობ – საქართველოს მსოფლიო დონის ვარსკვლავები ჰყავდა, მშვენიერაძეები, ჩომახიძე, გვახარიები, ჩიქვინაია და ა.შ,"- გვითხრა გია ნაცვლიშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**

ძალოსნობა

# ორნი ბუქარესტში და ახალი პერსპექტივები

## ჩვენს ძალოსნებს იდეალური პირობები შეუქმნეს

**კვირას ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატი დაიწყება ძალოსნობაში. ფიცარნაგზე ორ ქართველს ვიხილავთ - 56 კილოგრამში ზვიად სამუკაშვილი ცდის ძალას, 105 კილოგრამში კი - გიორგი მაჭავარიანი. ჩვენი ათლეტების მზადების შესახებ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს ზვიად სამუკაშვილის პირად მწვრთნელ ზურაბ ანთაურს გავესაუბრეთ.**

**- ბატონო ზურაბ, სად გაიარეს ბიჭებმა შეკრება, რამდენი ხნით და კმაყოფილი ხართ თუ არა მათი სპორტული ფორმით?**

- სამ თვეზე მეტია, ევროპის ჩემპიონატისთვის გეგმურად ვვარჯიშობთ. საბედნიეროდ, გლდანში, ოლიმპიური მზადების ეროვნულ ცენტრში ყველა პირობაა სრულყოფილი წვრთნისა და დასვენებისათვის; კვების საკითხიც უმაღლეს დონეზეა. ამიტომ გლდანს იქით ფეხი არსად გაგვიდგამს. ამ ეტაპზე ევროპის ჩემპიონატისთვის ზვიად სამუკაშვილის და გიორგი მაჭავარიანის გვეიმედებოდა - ისინი იყვნენ ახლოს საერთაშორისო შედეგებთან. ზვიადის წვრთნას თავად ვხელმძღვანელობ და უკეთ ვიცი მისი პრობლემებისა თუ დადებითი მხარეების შესახებ. სამწუხაროდ, ჩემმა შეგირდმა ტრავმა მიიღო, უფრო სწორად, ტრავმის რეციდივი მოხდა და ამან საკმაოდ დააზარალა. საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ ზვიადს არსად უასპარეზია. გახსოვთ, რომ მაშინ საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა, მაგრამ შემდგომში წელმა დაალალატა - რადიკულიტი გაუმწვავდა და სრულყოფილად ვერ ვარჯიშობდა. ცხადია, იმკურნალა და გარკვეული დროის შემდეგ ძველებურ რეჟიმში განაგრძო ვარჯიში. შეკრებამაც ნაყოფიერად ჩაიარა და ატაცში 105 კილოგრამი დასძლია, აკვრაში კი - 135. ამას მაღალი მაჩვენებელი ჰქვია. დარჩენილი დრო შედეგის გაუმჯობესებისთვის უნდა დაგვეთმო, მაგრამ წელმა კვლავ უმტყუნა - საერთოდ ველარ ვარჯიშობდა. ლამის გამოუვალ მდგომარეობაში ჩავცვივდით - შეჯიბრებამდე 25 დღე რჩებოდა, ექიმმა კი, ვარჯიშს ვინ ჩივის, განძრევაც აუკრძალა. უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონ მანანა ალექსიშვილის კლინიკაში ლამის შეუძლებელი შეძლეს, - სპეციალური ერთი კურსის გავლის შემდეგ ზვიადი შტანგას დაუბრუნდა. მართალია, ჯერ სრულად ვერ დაიბრუნა ფორმა, მაგრამ იმედი მაქვს, ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად იქნება და ათეულში მოხვდება. არადა, მედალს ვგეგმავდით.

მაჭავარიანი ძალიან კარგ ფორმაშია, მაჯის ტრავმაც აღარ აწუხებს. ჩემი აზრით, მას სამეულისთვის ბრძოლა ნამდვილად შეუძლია. სხვათა შორის, გიორგიმაც მანანა ალექსიშვილის კლინიკაში იმკურნალა. მისი პირადი მწვრთნელია ავთო გახოკიძე, რომელიც ასევე მოემგზავრება რუმინეთში და, ვფიქრობ, ესეც დამატებითი სტიმული იქნება მაჭავარიანისთვის.

**- ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი საქართველოში არ იმყოფება. ადევნებდა თუ არა საწვრთნელ პროცესს თვალყურს და ჩავა თუ არა ბუქარესტში?**

- როგორც იცით, ვანო გრიქუროვის თანაშემწე ვარ და მართალია, ამჯერად უშუალოდ ვერ ხელმძღვანელობდა სავარჯიშო პროცესს, მაგრამ კონსულტაციებს სისტემატურად გავდიოდით და ვთვლი, რომ საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ჩემი აზრით, ბუქარესტში ბატონი ვანო არ ჩამოვა, თუმცა საქართველოს ნაკრებთან მუშაობას განაგრძობს. წლეულს, ნოემბერში, სამხრეთ კორეაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ოლიმპიადის ლიცენზიებისათვის ჩასათვლელი ქულები დაერიცხებათ ძალოსნებს. როგორც წინა ციკლში, ახლაც ლიცენზია ქვეყანას ეძლევა და არა კონკრეტულ სპორტსმენს. განსხვავება ისაა, რომ სამი მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები დაითვლება, ნაცვლად ორისა.

**- ჩვენ რამდენი ლიცენზიის მოპოვების შანსი გვაქვს?**

- ამ ეტაპზე რთულია თქვა, რამდენს შევწვდებით. მაგრამ, იმედი, ნაკრების ლიდერებიც მომძლავრდებიან და ახალგაზრდებიც დაოსტატდებიან. საბედნიეროდ, ძალიან ნიჭიერი თაობა გვეზრდება და ისინი თუ წლეულს ვერა, გაისად აუცილებლად დაგვეხმარებიან. სხვათა შორის, ვგეგმავთ სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული პერსპექტიული 7-8 სპორტსმენის შეკრებას. ქართველ ძალოსნებს, რომელთაც ჩამოვიყვანთ, ჩვენს ცენტრში დავაბინავებთ და ძლიერ სპორტსმენებად ვაქცევთ. ცოტა უცნაურია, დღევანდელ საქართველოში, ეკონომიკური კრიზისის დროს, უცხოეთიდან ვინმე ჩამოიყვანო და ყველაფრით უზრუნველყო, მაგრამ ღვთის წყალობით, გვყავს ფედერაციის შესანიშნავი პრეზიდენტი - დავით ბეჟუაშვილი, რომელმაც ძალოსნებს თავის გამოჩენის, ვარჯიშის და დაოსტატების იდეალური პირობები შეუქმნა. ასეთ გარემოში ვარჯიში გვაძლევს საფუძველს იმისას, რომ ბუქარესტშიც წარმატებაზე ვიფიქროთ და მომდევნო შეჯიბრებებშიც არ შევირცხვინოთ თავი...

**ზვიად შათირიშვილი**

ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

# საკიკი ოლიმპიადას უმიზნებს



„კოლორადო ეველანშს" თავისი ლეგენდარული კაპიტანი **ჯო საკიკი** უბრუნდება. ვეტერანმა ჰოკეისტმა ტრავმის გამო რამდენიმე თვე გამოტოვა და ახლახან განაახლა სრულფასოვანი ვარჯიშები.

39 წლის ცენტრალურ ფორვარდს სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს. თავდაპირველად, ის ამ სეზონის დარჩენილ მატჩებში აპირებს მონაწილეობის მიღებას და არც მომავალ წელს სურს კარიერის დასრულება.

წლევანდელ ზაფხულს, საკიკს „კოლორადოსთან" კონტრაქტი უმთავრდება, რის შემდეგაც შეუზღუდავი თავისუფალი აგენტი გახდება. სავარაუდოდ, ჯო იმ კლუბისგან, რომელშიც მთელი კარიერა აქვს გატარებული, სარფიან კონტრაქტს ვერ მიიღებს. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ მომავალ სეზონში საკიკი „ვანკუვერ კენაქსში" ამოყოფს თავს. ჰოკეისტს მოვლენათა ამგვარი განვითარება აწყობს. გაისად, ზამთრის ოლიმპიადა სწორედ ვანკუვერში იმართება და საკიკს სერიოზულად აქვს განზრახული ამ დიდ სპორტულ ფორუმში მონაწილეობის მიღება.

წელს საკიკმა მხოლოდ 15 მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და 12 ქულის (2 გოლი+10 შედეგიანი პასი) დაგროვება შეძლო.

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 6:1**

3:1, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 კუკი-11 (ტელბოტი-10, გილი-7), 2:0 გერინი-20 (კუნიტცი-27, მ-ა. ფლერი-1), 2:1 ჯონტა-19 (ზუბრუსი-25, კ. უაიტი-17), 3:1 მალკინი-34 (გონჩარი-10), 4:1 კროსბი-30 (ლეტანგი-21, გონჩარი-11), 5:1 ჯ. სტაალი-21 (ფედოტენკო-19, გილი-8), 6:1 კუნიტცი-23 (დუპუი-15, კროსბი-69).

**ვაშინგტონი-აილენდერსი 5:3**

0:1, 2:1, 3:1

გოლები: 0:1 ოკსოპო-18 (ნილსენი-24), 0:2 ნილსენი-8 (ტამბელინი-8, ოკსოპო-20), 1:2 ოვეჩკინი-54 (ფიოდოროვი-21, მ. გრინი-40), 2:2 კ. ოკუანი-1 (ფერი-12), 2:3 პარკი-13, 3:3 მ. გრინი-29 (სიომინი-43, ბექსტრიომი-60), 4:3 მ. გრინი-30, 5:3 ბექსტრიომი-22.

**კოლორადო-ფინიქსი 0:3**

0:1, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ბოდკერი-11 (ლომბარდი-28, ვინიკი-4), 0:2 დოუნი-30 (ჰეილი-6), 0:3 ზ. მიხალეკი-5 (პრუხა-13).

**ტორონტო-ფილადელფია 3:2**

1:1, 2:0, 0:1

გოლები: 1:0 მეიერსი-6 (შონი-10), 1:1 [illegible], 2:1 [illegible], 3:1 [illegible] უაიტი-10 (სტემპნიაკი-27, დევერო-4), 3:2 ჟირუ-7 (მ. კარლი-17, ლუპული-24).

**ატლანტა-ბაფალო 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 ვანეკი-36 (პომინვილი-43, დ. როი-40), 1:1 ბოგოსიანი-7 (კოვალჩუკი-48, ლიტლი-19), 2:1 ვიაჩ. კოზლოვი-25 (პეინსი-31, კ. არმსტრონგი-16), 2:2 ვანეკი-37 (დ. როი-41, შპაჩეკი-30), 3:2 კოვალჩუკი-41.

**ჩიკაგო-სენტ ლუისი 3:1**

2:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 ტეუვზი-31 (პავლატი-43, კეინი-41), 2:0 პალსონი-6 (ლედი-30, ბიფულინი-14), 3:0 ფრეზერი-6 (შარპი-18, ჰიალმარსონი-2), 3:1 ვოივიტკა-3 (ვინჩესტერი-7, ჰინოტი-3).

# ტორონტო ნახევარი მილიონით დასაჯეს



ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა 500 ათასი დოლარით დააჯარიმა „ტორონტო მეიპლ ლივზი" და გარდა ამისა, კანადურ გუნდს მომავალი წლის დრაფტის მეოთხე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლებაც წაართვა. ასეთი მკაცრი სასჯელის მიზეზი „ტორონტოსა" და შვედ ჰოკეისტ **იონას ფროგრენს** შორის კონტრაქტის გაფორმებისას დაფიქსირებული დარღვევა გახდა.

ახალგაზრდა სკანდინაველმა ფორვარდმა „ტორონტოსთან" 2008 წლის ზაფხულში გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება. კონტრაქტის თანახმად, პირველ წელს ფროგრენს 450 ათასი დოლარი უნდა მიეღო, რასაც 755 ათასი დოლარის ოდენობის ბონუსიც ემატებოდა. ამ ბონუსის მნიშვნელოვანი ნაწილი (400 ათასი) ფროგრენს თავისი ყოფილი კლუბისთვის - შვედურ „ფერიესტადისთვის" უნდა გადაეხადა, რადგან ამ გუნდთან თავისი ნებით გაწყვიტა მოქმედი კონტრაქტი.

NHL-ის მოთამაშეებთან გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად, დებიუტანტი ჰოკეისტის წლიური შემოსავალი 875 ათას დოლარს არ უნდა აღემატებოდეს, ფროგრენმა კი „ტორონტოსგან" ჯამში მილიონ 155 ათასი მიიღო. სწორედ ეს გახდა „მეიპლ ლივზის" დასჯის მიზეზი.

თავად ჰოკეისტის მიმართ ლიგას სანქციები არ გამოუტანია. აგრეთვე ძალაში დარჩა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც 2009-10 წლების სეზონში იონასი 900 ათას დოლარს გამოიმუშავებს.

კალათბურთი

# აივერსონი ნასვლაზე დაფიქრდა



„დეტროიტ პისტონზის" ვარსკვლავი **ალენ აივერსონი** ტრავმის მოშუშების შემდეგ, ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა შემადგენლობას, მაგრამ ბოლო მატჩებში ის თამაშებში სათადარიგოთა სკამიდან ერთვება. ამასთან დაკავშირებით ვეტერანმა მცველმა განაცხადა, რომ ურჩევნია კარიერა დაასრულოს, ვიდრე სარეზერვო კალათბურთელის როლს შეურიგდეს.

*„ამჟამად იმ როლის შესრულება მიწევს, რაც უცხო იყო მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში. ეს იმაზე გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ზურგის ტრავმის გამო, სათადარიგოთა სკამზე მიწევს ჯდომა, შემდეგ მოედანზე გავდივარ და ისევ უკან მაბრუნებენ. ასეთ სიტუაციაში რთულია თამაშის რითმის დაჭერა. ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან მძიმეა. იმას, რასაც ახლა ვაკეთებ, კარიერის დასრულება სჯობს. ასეთი თამაშით ეფექტური ვერასოდეს ვიქნები. მოკლედ, არ ვაპირებ ამასთან შეგუებას, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ბრძოლას ვერასოდეს მოვიგებ"*, - მოჰყავს სააგენტო AP-ის აივერსონის სიტყვები.

აივერსონი ამ სეზონის მსვლელობისას გადავიდა „დეტროიტში" და ტრავმამდე მისი სტატისტიკური მონაგარი 17.4 ქულას შეადგენდა, ბოლო სამ მატჩში კი შედეგიანობა 7.6 ქულამდე დაეცა.

■ ■ ■

რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს სასტარტო ხუთეულის წევრი დაკარგა „ფილადელფია სიქსერზმა". ფორვარდმა **ტადეუშ იანგმა** „ატლანტასთან" მატჩში წვივის ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა.

ექიმების დიაგნოზით, დაზიანება იმდენად სერიოზულია, რომ იანგი არა მარტო რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ ტურებს, არამედ პლეი ოფის პირველ მატჩებსაც გამოტოვებს.

ამ სეზონში იანგმა 73 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 34 წუთს ატარებდა მოედანზე.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ორლანდო-ტორონტო 95:99**

28:32, 24:21, 19:27, 24:19

ო: დ. ჰოვარდი (30+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), თურქოგლუ (19+6 პასი), ლუისი (18+8 მოხსნა), ელსტონი (12).

ტ: ბოში (24+12 მოხსნა+3 დაფარება), კალდერონი (21+8 პასი), მერიონი (17+15 მოხსნა+6 პასი), ბარნიანი (16).

**ბოსტონი-შარლოტი 111:109 (2ო)**

26:33, 28:18, 17:26, 22:16, 8:8, 10:8

ბ: პირსი (32), რ. ალენი (22+3 ჩაჭრა), რონდო (21+9 პასი+4 ჩაჭრა), პაუსი (18), პერკინსი (4+12 მოხსნა+5 დაფარება).

შ: ჯ. უოლასი (20+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), დიაო (17+7 მოხსნა+8 პასი), ოგუსტინი (14), ფელტონი (14+12 პასი), რ. ბელი (12+3 ჩაჭრა), ოკაფორი (12+10 მოხსნა), რადმანოვიჩი (10).

**ნიუ ჯერსი-დეტროიტი 111:98**

32:21, 27:27, 27:27, 25:23

ნ-ჯ: დულინგი (23), დ. ჰარისი (19+11 პასი+4 ჩაჭრა), ბ. ლოპესი (19+7 მოხსნა), რ. ანდერსონი (14), ვ. კარტერი (12+7 მოხსნა+7 პასი), ბუნი (10+7 მოხსნა).

დ: ჰემილტონი (29+6 პასი+3 ჩაჭრა), სტაკი (16+7 მოხსნა+6 პასი), პრინსი (16), ერმანი (16).

**მემფისი-ვაშინგტონი 112:107**

27:27, 30:23, 31:23, 24:34

მ: გეი (25), კონლი (22+6 პასი+3 ჩაჭრა), მ. გასოლი (18+9 მოხსნა), მაიო (18+7 პასი), უორიკი (12).

ვ: კ. ბატლერი (31+3 ჩაჭრა), ჯეიმისონი (28+10 მოხსნა), ნ. იანგი (16), კრიტერტონი (13+11 მოხსნა), ბლეტჩი (11+9 მოხსნა).

**მილუოკი-ლეიკერსი 98:104**

31:22, 26:33, 24:25, 17:24

მ: რ. ჯეფერსონი (29), სეშენსი (16+10 მოხსნა+16 პასი), გაძურიჩი (14), ვილანუევა (13+7 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (30+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), ოდომი (20+10 მოხსნა), პ. გასოლი (15), ვუიაჩიჩი (14), არიზა (12).

**დალასი-მაიამი 98:96**

26:27, 20:18, 25:28, 27:23

დ: ნოვიცკი (30), ჯ. ჰოვარდი (20+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტერი (13), ბასი (10+8 მოხსნა), კიდი (3+11 პასი).

მ: უეიდი (23+6 პასი), ჩალმერსი (18), ბიზლი (17+3 ჩაჭრა), დ. კუკი (13), ჯ. ო'ნილი (12+7 მოხსნა).

**ფინიქსი-ჰიუსტონი 114:109**

33:30, 34:26, 21:32, 26:21

ფ: ნეში (25+17 პასი+3 ჩაჭრა), ჰილი (23), შ. ო'ნილი (22+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯ. რიჩარდსონი (18), ბარნსი (16+9 მოხსნა).

ჰ: არტესტი (28), იაო მინი (20+14 მოხსნა), ბატიე (18), ვაფერი (17).

**გ. სტეიტი-საკრამენტო 143:141 (ო)**

37:40, 30:36, 43:30, 22:26, 11:9

გ-ს: ელისი (42+9 მოხსნა+9 პასი), აზუბუიკე (27+13 მოხსნა), ჰილი (23), ე. რენდოლფი (17+10 მოხსნა), კროუფორდი (15+7 პასი+3 ჩაჭრა), მოროუ (15), ტურიაფი (12+13 მოხსნა).

ს: მარტინი (50), გარსია (22+3 ჩაჭრა), უდრიხი (18+9 პასი), ტომპსონი (14+19 მოხსნა), მაკენტსი (14), ნოჩიონი (12), ჰოვსი (11+7 მოხსნა).

**კლიპერსი-ნიუ ორლეანი 98:104**

25:29, 23:22, 21:27, 29:26

კ: ე. გორდონი (25), ზ. რენდოლფი (24+14 მოხსნა), ბ. დევისი (13+12 პასი), კამანი (12+10 მოხსნა+3 დაფარება), ფ. ჯონსი (10).

ნ-ო: პოლი (30+14 პასი+6 ჩაჭრა), დ. უესტი (19), ჯ. რაიტი (18+9 მოხსნა), რ. ბატლერი (12+3 ჩაჭრა), დ. ბრაუნი (10).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2011**

**Under 21**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-ბულგარეთი | 2:0 |

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ისტბურნი-ებსფლიტი | 0:1 |
| რექსჰემი-ბაროუ | 1:1 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| როსკილდე-კიოლდინგი | 0:2 |
| აკადემისკი-სკივე | 3:2 |
| ფრედერისია-ნიკიობინგი | 1:1 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ნიონე-ვილი | 1:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

**1/4 ფინალი. IV მატჩები**

| | |
|---|---|
| ტაუ ვიტორია-ბარსელონა | 63:84 |
| რეალი-ოლიმპიაკოსი | 75:78 |
| სიენა-პანათინაიკოსი | 84:91 |

**ევროთასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| დინამო (მ)-ჰემოფარმი | 85:93 |
| ბენეტონი-ლეტუვოს რიტასი | 79:85 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| აკ ბარსი-ლოკომოტივი | 0:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 2:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-დიუსელდორფი | 6:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ჰერნინგი-სენდერიისკი | 4:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სპარტა-სარპსბორგი | 2:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-სკალიცა | 3:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-კლოტენი | 5:5 |

**ჩოგბურთი**

**WTA. მაიამი**

| | |
|---|---|
| აზარენკა-კუზნეცოვა | 6:3, 2:6, 7:5 |

TV პროგრამა

**3 აპრილი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:00 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-მაკედონია.
07:50 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
08:20 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-პერუ.
10:10 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. იტალია-ირლანდია.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:30 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. თურქეთი-ესპანეთი.
14:20 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ლიხტენშტაინი-რუსეთი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
17:35 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-უკრაინა.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-შალკე (LIVE).
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
01:10 საფეხბურთო კლუბი.
02:00 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
02:30 გერმანიის ჩემპიონატი. არმინია-შალკე.
04:20 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

**EUROSPORT**

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. V დღე. პეკინი (LIVE).
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
14:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. V დღე. პეკინი.
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. V დღე. პეკინი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. თურქეთი-ესპანეთი.
21:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-ლიტვა.
22:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. V დღე. პეკინი.
01:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
01:30 ექსტრემალური სპორტი.
01:45 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
02:15 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. V დღე. პეკინი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". 1/4 ფინალი. დინამო (რუსეთი)-ჰემოფარმი (სერბეთი).
14:30 ახალი ამბები.
15:00 ციგურებით სირბილი. ლოზანა. შვეიცარია.
16:00 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". 1/4 ფინალი. დინამო (რუსეთი)-ჰემოფარმი (სერბეთი).
16:45 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". 1/4 ფინალი. ბენეტონი (იტალია)-ლეტუვოს რიტასი (ლიტვა).
17:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
18:30 ექსტრემალური სპორტი.
19:30 ახალი ამბები.
19:45 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". 1/4 ფინალი. ვალენსია (ესპანეთი)-ხიმკი (რუსეთი) (LIVE).
20:45 ახალი ამბები.
22:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". 1/4 ფინალი. ბილბაო (ესპანეთი)-ზადარი (ხორვეტია) (LIVE).
00:45 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XXII ტური. ბურგუანი-დაქსი.
02:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1

# ჰემილტონი დისკვალიფიცირებულია

## ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ტრულის მესამე ადგილი დაუბრუნა, მოქმედი ჩემპიონი კი ქულების გარეშე დატოვა

გუშინ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ **ლუის ჰემილტონისა** და **იარნო ტრულის** ინციდენტი განიხილა და კიდევ ერთხელ შეცვალა ავსტრალიის გრანპრის საბოლოო შედეგები. „ტოიოტას“ იტალიელ პილოტს მესამე ადგილი დაუბრუნეს, ხოლო ჰემილტონს დისკვალიფიკაცია მისცეს და საერთოდ ქულების გარეშე დატოვეს.

შეგახსენებთ, რომ „ალბერტ-პარკზე“ ტრულიმ მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ მოგვიანებით მას 25-წამიანი ჯარიმა მისცეს, რამაც იტალიელი მე-12 ადგილამდე ჩამოაქვეითა, ხოლო სამეულში მოქმედი ჩემპიონი ლუის ჰემილტონი შევიდა. ტრულის



დასჯის მიზეზი ის გახდა, რომ მან იმ დროს გაუსწრო ბრიტანელს, როცა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა იყო გამოსული.

მაგრამ ფედერაციამ ხელმეორედ განიხილა ეს ინციდენტი. ამის მიზეზი გახდა ჰემილტონის განცხადება იმის შესახებ, რომ მან ბოქსებიდან სიჩქარის დაგდებისა და ტრულის წინ გაშვების ბრძანება მიიღო. „მაკლარენის“ ხელმძღვანელთა ასეთი მოქმედების შესახებ რბოლის სტიუარდებმა არაფერი იცოდნენ და იარნოც ამიტომ დასაჯეს.

საქმის გუშინდელი განხილვისას, მსაჯულებმა ავსტრალიური რბოლის დროს „მაკლარენისა“ და „ტოიოტას“ რადიოჩანაწერები მოისმინეს და ამის შემდეგ, ბრიტანელი პილოტის დასჯა გადაწყვიტეს. მათ ჩათვლეს, რომ ჰემილტონის მოქმედება საფრთხეს უქმნიდა რბოლის ჩატარებას. ლუისმა თავისი საქციელით საერთაშორისო სპორტული კოდექსის 151-ე მუხლი დაარღვია, ხოლო 158-ე მუხლის თანახმად, ბრიტანელი გაირიცხა საბოლოო ოქმიდან, ხოლო რბოლის შედეგები ხელმეორედ გადაიხედა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონატის საერთო ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა: 1. **ჯენსონ ბატონი** („ბრაუნი“) - 10 ქულა; 2. **რუბენს ბარიკელო** („ბრაუნი“) - 8; 3. **იარნო ტრული** („ტოიოტა“) - 6; 4. **ტიმო გლოკი** („ტოიოტა“) - 5; 5. **ფერნანდო ალონსო** („რენო“) - 4; 6. **ნიკო როსბერგი** („უილიამსი“) - 3; 7. **სებასტიან ბუემი** („ტორო როსო“) - 2; 8. **სებასტიან ბურდე** („ტორო როსო“) - 1.



# ალონსო: ჩემპიონატის ბედი 14 აპრილს გაირკვევა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფერნანდო ალონსოს** მიაჩნია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ საკამათო დიფუზორების პრობლემის შესახებ უნდა მიიღოს, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს წლევანდელი ჩემპიონატის ბედზე.

პრაქტიკულად ყველა პილოტი, ვის მანქანაზეც ასეთი დიფუზორი ეყენა, ავსტრალიის გრანპრიზე ძალიან ძლიერად გამოვიდა: „ბრაუნის“ პილოტებმა **ჯენსონ ბატონმა** და **რუბენს ბარიკელომ** დუბლი შეასრულეს, „ტოიოტას“ წევრები - **იარნო ტრული** და **ტიმო გლოკი** მესამე და მეხუთე ადგილებზე გავიდნენ, **ნიკო როსბერგმა** („უილიამსი“) კი მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ალონსოს, რომელმაც საბოლოოდ 4 ქულა დაიმსახურა, მიაჩნია, რომ თუ ფედერაცია ამ დიფუზორებს ლეგალურად გამოაცხადებს, „ბრაუნ გრანპრის“ ბოლიდების დაწევა თითქმის შეუძლებელი გახდება.

*„უნდა დაველოდოთ გადაწყვეტილებას, რომელსაც 14 აპრილს მიიღებენ,* - თქვა ფერნანდომ გაზეთ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში. - *თუ მათ ჩემპიონატში ასეთი მანქანებით გამოსვლის უფლებას მისცემენ, ყველა გუნდი შეეცდება ამ სიახლის გაზიარებას.*

*მაგრამ რთულია სეზონის მსვლელობისას მთელი მანქანის გადაწყობა. შეუძლებელია ერთი ხელის მოსმით ბოლიდზე დააყენო ასეთი დიფუზორი და მანქანის სიჩქარემ მაშინვე მოიმატოს. ამ ეფექტის მისაღწევად თვეებია საჭირო.*

*ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ - 14 აპრილს ჩემპიონატის ბედი უნდა გაირკვეს. თუ დიფუზორებს მაინც დაუშვებენ, ჩათვალეთ, რომ „ბრაუნ გრანპრის“ თითქმის გარანტირებული ექნება ჩემპიონის ტიტული“.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჯოკოვიჩი ათამაშდა



მაიამის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე ქალებს შორის მეორე ნახევარფინალური წყვილი დაკომპლექტდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში გასასვლელად დები **უილიამსები** იბრძოლებენ.

**სერენას** ნახევარფინალში გასასვლელად ნამდვილი ჩინური კედლის გადალახვა მოუხდა. მან ერთი მეორის მიყოლებით ჩამოიშორა გზიდან ამ ქვეყნის სამი წარმომადგენელი - **შუაი პენგი, ჟიე ჟენგი** და **ნა ლი**. ამ უკანასკნელთან მატჩში უმცროსმა უილიამსმა გვარიანად ანერვიულა თავისი გულშემატკივრები და ერთი სეტის დათმობამაც კი მოუწია აზიელისთვის. სერენას კარგად ახსოვდა შტუტგარტის შარშანდელი ტურნირი, როცა პირველი სეტი ნულზე მოუგო ლის, მაგრამ შემდეგ ორი პარტია დაუთმო მას.

ამჯერად კი კინალამ ამერიკელმა წააგო „მშრალად“ პირველი სეტი. ჩინელი 5:0 დაწინაურდა. ტრიბუნაზე შეკრებილი პუბლიკა ვერ გარკვეულიყო, რაში მდგომარეობდა სერენას ულიმლამო თამაშის მიზეზი. მაგრამ მალე მასპინძელმა თამაში გამოასწორა და ორი ბრეიკიც დაიბრუნა, თუმცა წაგებული სეტის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო - 4:6.

მეორე პარტია უკვე თანაბარ ბრძოლაში მიდიოდა, თუმცა უფრო ახლოს ბრეიკთან ნა ლი იყო და უილიამსმა დიდი ძალისხმევით შეძლო საკუთარი გეიმის გადარჩენა. მხოლოდ სეტის ბოლოს გამოიკვეთა ამერიკელის უპირატესობა. ლიმ ორი სეტ-პოინტის გაბათილება და პარტიის ტაი-ბრეიკზე გადაყვანა მოახერხა, მაგრამ „შემოკლებულ გეიმში“ კორტის ბატონ-პატრონი მასპინძელი ჩოგბურთელი იყო - 7:1.

მესამე პარტიაში სერენა კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა, ნალის თამაში კი საბოლოოდ მოიშალა და მატჩის ბოლომდე ველარაფერი მოუხერხა თავის შეცდომებს. შედეგად, მთელი სეტის განმავლობაში, ჩინელმა მეტოქის მოწოდებაზე მხოლოდ სამი (!) გათამაშება მოიგო. ახლა, სერენას აუცილებლად სჭირდება ნახევარფინალში ვენუსის დამარცხება, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე მის ადგილს რუსი **დინარა საფინა** დაიკავებს.

რაც შეეხება ვენუს უილიამსს, ის იოლად გაუსწორდა ცაცია ჩეხ **ივეტ ბენეშოვას**. პირველი სეტი ძალიან მალე დასრულდა - ამერიკელმა მხოლოდ ერთი გეიმი დათმო. როგორც ჩანს, ამან ვენუსის ყურადღება მოადუნა და მეორე სეტში კატასტროფის წინაშე დადგა. ბენეშოვა 3:0 დაწინაურდა და მეოთხე გეიმში სამი ბრეიკპოინტი ჰქონდა. ჩეხს ეს გეიმი რომ მოეგო, სავარაუდოდ, მინიმუმ მეორე სეტში გამარჯვება გარანტირებული ექნებოდა, მაგრამ უფროსი უილიამსი შექებას იმსახურებს. ის დროულად მოეგო გონს, ასპროცენტიანი კონცენტრაცია გამოავლინა და მეტოქეს მალე დაეწია. დარჩენილ დროში, ჩეხმა მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო და მეორე სეტი 4:6 წააგო.

წინ არის დების რიგით მე-20 შეხვედრა, რომლის წინ ვენუსმა ასეთი რამ განაცხადა: *„რა თქმა უნდა, სერენა ბრწყინვალე ჩოგბურთელია, თუმცა მე მხოლოდ საკუთარ თამაშზე ვაპირებ კონცენტრირებას. ბოლო მატჩებში საუკეთესო ჩოგბურთი არ მიჩვენებია, მაგრამ მთავარი ისაა, ვიცი როგორ ვიმოქმედო დის წინააღმდეგ“.*

■ ■ ■

კაცების ბადეში ამერიკელი გულშემატკივრების ბოლო იმედი **ენდი როდიკი** იყო. ეს ჩოგბურთელი 18-ჯერ იყო შეხვედრილი **როჯერ ფედერერთან**, მაგრამ მხოლოდ ორჯერ მოეხერხებინა შვეიცარიელის დამარცხება. სხვათა შორის, როჯერის ძლევა უკანასკნელად შარშან, სწორედ მაიამის ტურნირზე შეძლო და სავარაუდოდ, ეს ფაქტი ამერიკელს ოპტიმისტურად განაწყობდა. მაგრამ პირველ სეტში როდიკი ვერ განთავისუფლდა ფედერერის კომპლექსისგან: მასპინძელი ზედმეტად ნერვიულობდა, ჩქარობდა, შეცდომებს უშვებდა... ამაზე მეტყველებს თუნდაც სეტის ბოლო გეიმში დაშვებული ორი ორმაგი შეცდომა.

როცა მეორე სეტის სტარტზე, შვეიცარიელმა სამი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, ყველას ეგონა, რომ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. მაგრამ ენდიმ საკუთარ თავში მონახა ძალა სიტუაციის გამოსასწორებლად, ანგარიში გაათანაბრა, ცოტა ხანში კი როჯერისგან გულუხვი საჩუქარიც მიიღო - ფედერერი საკუთარ გეიმში 40:0 იყო დაწინაურებული და მაინც მოახერხა ამ გეიმის წაგება. ამ ბრეიკის წყალობით მეორე სეტი როდიკს დარჩა.

მესამე სეტი მშვიდად დაიწყო. მეტოქეები საკუთარ მოწოდებებს იოლად იგებდნენ. პირველად პრობლემები ფედერერს შეექმნა - მეშვიდე გეიმში მან ორი ბრეიკ-პოინტი მისცა მეტოქეს, მაგრამ იქვე გამოასწორა მდგომარეობა. შემდეგ კი თავად იბრძოლა მოწინააღმდეგის გეიმებზე - პირველ ჯერზე ბრეიკი არ გამოუვიდა, სამაგიეროდ მეორე ცდა აღმოჩნდა წარმატებული, რამაც მსოფლიოს მეორე ჩოგანს ნახევარფინალის საგზური მოუტანა.

ფედერერის მოწინააღმდეგე უფრო ადრე, **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ჟო-ვილფრიდ ცონგას** შეხვედრაში ირკვეოდა. ამ მატჩს გარკვეული ინტრიგა ახლდა თან - ფრანგს ზედიზედ ოთხჯერ ჰყავდა დამარცხებული „ჯოკერი“ და სერბი ვალდებული იყო რევანშზე ეფიქრა. ამ ტურნირზე ჯოკოვიჩმა ჩვეული თამაში დაიბრუნა, ცონგა კი პირიქით, არ იყო ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში. ამიტომაც, რევანშის შანსი საკმაოდ დიდი გახლდათ.

ასეც მოხდა. სერბმა თავისას მიაღწია, თანაც პირველ სეტში, ერთი ბრეიკპოინტიც კი არ დაუთმო მოწინააღმდეგეს. მეორე პარტიაში ჯოკოვიჩი თავიდანვე დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და ცონგაც კარგად ათამაშდა. თუმცა ნოვაკმა ორგეიმიანი უპირატესობა მაინც შეინარჩუნა და ორ სეტში მოიგო მატჩი. აღსანიშნავია, რომ თითქოსდა ჯოკოვიჩის იოლი გამარჯვების მიუხედავად, სპორტსმენებმა კორტზე თითქმის სამი საათი გაატარეს.

**ATP**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ენდი როდიკი (აშშ, 5) 6:3, 4:6, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 10) 6:3, 6:4.

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ნა ლი (ჩინ) 4:6, 7:6 (1), 6:2; **ვენუს უილიამსი (აშშ, 5)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ, 26) 6:1, 6:4.

**1/2 ფინალში ხვდებიან**

ს. უილიამსი (1)-ვ. უილიამსი (5); კუზნეცო-

